ისკარი 1852

№6//2019

ლიტერატურულ –
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიტაშვილი

რედაქტორ-სტილისტი
ქეთევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ქეთი გომართელი

სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

როინ აბუსელიძე
გიორგი ალიბეგაშვილი
ივანე ამირხანაშვილი
ბაღათერ არაბული
ლაშა ბაქრაძე
ნაირა ბეპიევი
ლევან ბრეგაძე
გენრი დოლიძე
გურამ დოჩანაშვილი
ზვიად კვარაცხელია
ლანა მანველი
გაგა ნახუცრიშვილი
გიორგი სოსიაშვილი
მაია ტურაბელიძე

ჟურნალი გამოდის
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროსა მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ciskari1852@gmail.com
https://www.facebook.com/ciskari1852

სარჩევი

 პოეზია

ანი ქავთარაძე 3

ლექსები

პროზა

თინა სიხარულიძე 11

ნოველები

ესეისტიკა. ესეისტიკა

თამარ გელიტაშვილი 29

„გოდების კედელი“ – ტკივილისა და რწმენის კავკასიური საგა

ახალი თარგმანები

კაზუო იშიგურუ 37

დარშიც და ავდარშიც

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა

მაია ბოლაშვილმა

შუასაუკუნეების სპარსული 66

პოეზიის ნიმუშები

სპარსულიდან თარგმნა

გიორგი ხულორდავამ

არტრევიუ

იოსებ ჭუმბურიძე 72

შინდისის გმირობიდან – „შინდისის“ ტრიუმფამდე

გარეკანზე – რეჟისორი **დიმიტრი ცინცაძე** ორი პრიზით: „გრან-პრი“ და „საუკეთესო რეჟისურა“

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;

გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;

ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: https://www.facebook.com/ciskari1852

ანი ქავთარაძე

●

ივლისის ბოლო. დაღლილობა. ტკივილი თავის.
დამდნარი მხრები, ამინდები, დამწვარი ეზო.
მზით გათანგული ყვავილების დამჭკნარი ტანი.
მე ისევ ვცდილობ, უჟანგბადოდ სიცოცხლე შევძლო.

იმაზე მეტი დამიკარგავს, რამდენიც ვპოვე,
დღითი-დღე წონა ემატება ეჭვების ხურჯინს,
ფიქრის ბოლომდე შეგრძნებამდე არ მიმდევს ღონე
და მეშინია, ეს ღიმილიც არ იყოს ფუჭი.

●

უფოთოლცვენოდ შემოიჭრა ზამთრის ამინდი
და მწვანე ფოთლებს იბერტყავენ თმიდან ხეები.
როგორ მოხვედი ჩემამდე და აღარ წახვედი,
ხელებში როგორ დაიგროვე ჩემი ხელები

და მე ვერ მივხვდი, ერთად ყოფნა როდის დაიწყო,
როცა სიცივეს აბრალებდი სითბოს გაცემას?!
დამავიწყდება, ჰო, ყოველი ჩვენი კამათი,
თუმც ერთად ყოფნა არასოდეს დამავიწყდება.

ქარმა მტვერი და ყველაფერი ცივი მოხვეტა,
მახსოვს, რომ მხრები მომაფარე, როცა შემცივდა.
მე მეცინება, რომ ვიხსენებ, როგორ მოხვედი,
თუმცა წასვლაზე არასოდეს გამეცინება.

სიცივისაგან სახეწაშლილ ღიმილს გიტოვებ,
ჯიბეებიდან ახლადნაშობ თითებს, ფერმიხდილს.

ჰო, კარგად მახსოვს ერთად ყოფნა როგორ დაიწყო,
თუმცა ერთი რამ დამიმალეს და მე ვერ მივხვდი...

ჩახუტება როდის დამთავრდა.

●

მე ახლა ნაზი ვარ, ვკითხულობ ჭილაძეს,
თავისთვის ჩურჩულებს Damien Rice-ი,
არ ვიცი, ის სიტყვა რას უნდა ნიშნავდეს,
ის სიტყვა რას უნდა ნიშნავდეს, არ ვიცი.

რომ ჩემი დუმილი დაშალოს მარცვლებად,
რომ ჩემი „ველარ ვწერ“ ჩაკეცოს არქივში,
ოდესმე იქნება, „დამტოვე“ დამცდება
ოდესმე იქნება, სიტყვის თქმას დაგიშლი...

უწვიმარ ქუჩებში დაბერდნენ სახლები,
კანი გამოუშრა წყურვილით ტროტუარს.
არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს სახელი,
რომელიც ჩემს დუმილს სველ სიტყვებს მოუტანს.

მე ახლა ცუდად ვარ, იმდენად ნაზი ვარ,
თვალებში მკრთალი და მსუბუქი დარდია.
მე ახლა ფიქრებით კედლებზე დავდივარ,
კედლები ფიქრებით კი ჩემზე დადიან.

ღამეა, როგორიც მსუბუქი აკორდი,
მშიერი თვალები ვარსკვლავებს კენკავენ.
წუხელ სიფხიზლიდან ძილისკენ გავრბოდი,
სიზმრეთის ქვეყნებში ჯიუტად ვრეკავდი

ზარებს და სიზმრების მეც გავხდი ნაწილი,
დუმილის მარცვლები ჩამოფშვნეს მერქნიდან.
მესიზმრა, ხელიდან იმ სიტყვებს მაცლიდი,
რომლებიც წასვლის წინ მე უნდა მეყვირა!

უწვიმარ ქუჩებში დაბერდნენ სახლები
და კანი უშრება წყურვილით ტროტუარს.
არ ვიცი, ვის უნდა დაერქვას სახელი,
რომელიც ჩემს დუმილს სველ სიტყვებს მოუტანს.

●

ქარი გაფანტავს გადაღლილ დღეებს,
ტკივილის წილი ცრემლმა წალეკა.
ნუ აბაკუნებ ბრაზისგან ფეხებს,
წუხილს მაინც ვერ მოთხრი გარედან.

მოგონებების ზღვა მომიზიდე,
გასახსენებელ წუთებს ვიზოგავ,
შენი სურვილი – მაქვს დიაგნოზი
და შენთან ყოფნის უკმარისობა.

გული კი სითბოს სუნმა მოიცვა
მაჯებში ვენებს ვითვლი თავიდან.
თვალებს ნუ ხუჭავ, თვალებს ნუ ხუჭავ,
თვალებს გაფრენა უნდათ ღამიდან.

ქარი უგრძნობელ დღეებს მიხოცავს,
შენი „მჭირდები“ წვიმით სველდება.
ჩემი მიზეზი არის სიმორცხვით,
თავის შენს მხრებზე ჩამოსვენება.

●

რა გაცვეთილ სიტყვებს მეუბნები...
ადექი და ხმელი ფოთლების თაიგული მომიტანე,
ანდა ფოთლები მძივებივით აასხი ძუაზე და მხრებზე
შარფივით მომახვიე.

წაშალე...
წაშალე ზაფხულის სიცხეები მეხსიერებიდან
და ფანჯრებიდან იმდენად მკვეთრად გადაიხარე,
რომ წვიმის ყველა ნაპერწკალის დალევა შეძლო,
მერე ეს წვიმა წვეთ-წვეთად მე გამომიზოგო.

რა ბანალურ ხასიათს იჭერ..
ჩემთვის ნაცნობი განწყობა მოგაქვს.
მწყურიასავით...
სიამოვნებით გამოვცლიდი წვიმის ფიალას.
მე ჩემს მოწყენას შენს მხრებს როგორ ამოვაფარებ,
შენი მკლავები ვერ ავსებენ ჩემს მარტოობას.

სექტემბრის ნიავს პიტნის ჩაის თავბრუდამხვევი
სურნელი მოაქვს,
შენ კი ამ დროს,
რა გაცვეთილ სიტყვებს მეუბნები.

●

მე ვიწყებ წერას და თეთრ ფურცლებზე ახალ-ახალი
სიტყვები იწყებენ თამაშს.
ტელეფონი დუმს და ამ სიჩუმის ჰარმონია ბადებს
მუსიკას.

ვწერ.
გწერ, რომ შემოდგომას ჩაბჟირებული პოეტი ჭკუას
კარგავს ქარიან ღამეებზე და წერით
იკლავს ოქროს ფოთლების მარადისობის სურვილს.

პოეტი უსმენს მუსიკას და დროგამოშვებით ელიმება...
დუმს და უყვარს ყველაფერი, რაც ასეთ ღამეებს იწვევს...
მოსწონს ამინდების ცვალებადობა და კიდევ ის, რომ შე-
მოდგომის შუაგული უფრო მწიფეა, ვიდრე მისი კიდეები.

პოეტს მოსწონს დრო, რომელიც თავის ჭკუაზე
დასეირნობს და მასაც დაასეირნებს ოქროსფერი ხეების
ხეივნებსა და ქალაქის ქუჩებში, ასფალტზე დაფენილ
ყვითელ ფოთლებში.
პოეტი ფეხს არ აბიჯებს ფოთლებს... ღიმილით
დაჰყურებს და, რომ შეეძლოს, ყველას ერთად აიყვანდა
ხელში, დაარწევდა და სიოსმაგვარ იავნანას წაუმღერებდა,

შუბლს დაუკოცნიდა და მიაძინებდა საკუთარ მკერდზე.

პოეტი აგრძელებს სიტყვებით თამაშს და წერს
ყველაფერს,
ყველაფერს წერს, გარდა ლექსების.
პოეტი არის პიანისტი და უკრავს შოპენს, მოცარტს,
ბეთჰოვენს...
უკრავს ისე, რომ არც ერთ კლავიშს აღარ ეხება.
ის ეძებს სივრცეში გაფანტულ ნოტებს,
თავს ერთად უყრის, მუსიკას ტოვებს, თვითონ კი ქრება...
სადღაც ქრება პოეტი და რჩება მისეული სივრცე,
რჩება მისეული მუსიკა და თეთრი ფურცლები, მისი
ნათითურებითა და აპრეხილი კიდეებით.

მუსიკა უწყვეტია.
ფოთლები კი ზღვა ოდენობით.
ჩნდება პოეტი.
კედელის ძირში ზის და იღიმის.
წერს და აღარც წერს.
ფიქრობს ან არა.
უკრავს ან ველარ.
პოეტს მხოლოდ დუმილი შეუძლია
და ღამ-ღამობით წერა.
ფრენა საკუთარ სივრცესა და დროში

ვწერ.
გწერ, რომ შემოდგომას ჩაბჟირებული პოეტი ჭკუას
კარგავს ქარიან ღამეებზე და წერით იკლავს ოქროს
ფოთლების მარადისობის სურვილს.
...და დუმს პოეტი,
თვალს ადევნებს სიტყვებით თამაშს.
ის წერს ყველაფერს, ყველაფერს წერს, ლექსების გარდა

და სიჩუმეა...
შემოდგომას ჩაბჟირებული „პოეტის“ დიდი სიჩუმე.

●

რა უნდა მოხდეს, დღის განმავლობაში, ისეთი ცხადი და ისეთი მნიშვნელოვანი, რომ დიდი ხნის მოწყურებული, მშვიდი ძილი შეღამებისას დალეული ფინჯანი ყავით განგებ შეიკავო?
.
ხშირად ასე ფილმებში ხდება – კარადას რომ გამოაღებ და იქიდან ყველაზე საჭირო დროს, იმ მომენტისთვის ყველაზე შესაფერისი, სიძველისაგან ყვითელკიდეებიანი,

შემოდგომის ფოთლებივით ფოტოები ჩამოცვივდება.
ასე ვარ ახლა.
.
გავიდა რამდენიმე დღე, კვირა, თვე...
თავიდან თითქოს არაფერი, მერე უკვე ეჩვევი კიდეც, ჩვეულებრივდები, შენც სხვებივით ხმამაღლა იწყებ სიცილს და საუბარს, სწრაფად სიარულს... აღარც ლექსებს წერ და პოეტის მხოლოდ ძველი სახელი შეგრჩა. ხვდები, რომ დღითიდღე, შენც იმ ადამიანებს ემსგავსები, ყოველ დღე, ყოველ დღე რომ დაღლილები ბრუნდებიან სამსახურებიდან და ხანმოკლე, ზედაპირულ ძილს აძლევენ თავს.
.
რა გინდა რომ ქნა?
გეტირება, როცა მეხსიერებაში საკუთარი სტრიქონები გაიელვებენ.
საკუთარ ლექსებს რომ იმდენად გაუუცხოვდი, რომ ვერ იხსენებ, როდის მოხდა მათი დაბადება ან საერთოდ ვისგან გეყოლა, ხარ თუ არა მათი მშობელი.
.
ბაგეები ლექსების ბუტბუტს გადაეჩვივნენ, თითები – ნოტების ფერებას. ნაბიჯები კი ველარ გრძნობენ ძირსდაფენილი, ოქროს ფოთლების ხვეწნა-მუდარას, ისე მძიმედ აბინებ ფეხებს, ქარის ჭკუზეც ისე ადვილად გადადიხარ.
.
ყველაზე საჭირო დროს მეხსიერებაში, ყველაზე საჭირო სტრიქონები იღვიძებენ.
„მინდა, მოხვიდე და ის ლექსები მომიტანო, რომლებსაც ვერ ვწერ“.
ჰორიზონტივით შორს გავყურებ მომავალ დღეებს და არსად ჩანს სიტყვის მომტანი. რამდენი რამ შეიძლება დაიწეროს ლექსის ვერ წერაზე? ჰო, ამ ლექსის ერთადერთი მნიშვნელობა ისაა, რომ კიდევ შემრჩა წერის უნარი და, სამსახურიდან დაბრუნებულს, შემიძლია, ამის გამო ფინჯანი ყავით შევიკავო ნანატრი ძილი.
.
თითქოს ნაცრისფერ ნისლში გავეხვიე და მიწაზე მხოლოდ ფოთლების იმედად ვდგავარ. თუ ვერ შევიგრძნობ ამ შემოდგომას, ეს საყრდენიც გამომეცლება. გამოდის, მხოლოდ შეგრძნებაა გადარჩენის წინაპირობა.
.
ადრე თუ გვიან, ყველა ბრუნდება საკუთარ თავთან.
მით უფრო მაშინ, ყველაზე საჭირო დროს, როცა ბაგეებს ყველაზე საჭირო სიტყვა წამოსცდებათ.

●

რატომ არ იწერება ლექსები შენზე, რომ სათაური
მოგიფიქრო?! რატომ შეგაჩვიე სამწერტილით აწყობილ
შენს სახელწოდება?!

შენი შინაარსი დაშლილი და გაფანტულია. მას ერთ მუჭში
ვერ მოაგროვებ. უნდა დავხუჭო თვალები და სათითაოდ
ყველას შევეხო,
ჩემი თვალებით, ხმით და ხელებით.

მინდა, ჩემი ტანსაცმლის კარადის კარი გამოვაღო და
იქიდან შენი პერანგები გადმოცვივდეს.
მინდა, შენს სურნელს ვიმახსოვრებდე,
მინდა, ჯიბეში მზესუმზირასავით ჩამიტოვო შენი თითები
და მათი სითბო მთელი ზამთრის განმავლობაში
გამოვიზოგო.

რატომ არ იწერება მტკივნეული ლექსები შენზე?
რატომ არ მტკივა ბედნიერება?!
რატომ ვერ მჭირს სიყვარულის ავადმყოფობა?!
როგორ გავხდე გრძნობებით ავად?!
როდის უნდა დამეხვეს თავბრუ და როდისღა უნდა
შემამცივნოს შენი თვალების გაუჩინარებისას?!

იქნებ, ესაა სიყვარული –
რაც შენ მოხვედი, ფოთლები არ იხოცებიან.

●

გამომაღვიძა ახალი დღის სუსტმა თენებამ,
როცა სინათლე შემოვიდა მკრთალად თვალებში.
მშვიდმა მუსიკამ დაანგრია წასვლის შენობა.
აღარ წავედი.

ეს დღეებია, უნებური გავხდი სრულიად,
თავს ველარაფერს ვუხერხებ და ჯიბრით ვიძინებ.
ახალი დილა შენზე ფიქრის დასაწყისია.
იცინე...

მინდვრის ყვავილებს ვერ მომიტან შორეულ მთიდან,
სუფთა ჰაერს ვერ მომიზიდავ ტყიდან ვერასდროს.
ჯერ რა დროსია, რა დროსია... ოცნება მჭირს და
საკუთარ თავსაც გზა მივეცი, თუმცა ველარ ვცნობ.

მსუბუქ ნაბიჯებს როგორ ვადგამ დამწვარ ბალახებს,
როგორ ვუსწორებ ნამძინარევ თვალებს მზის სხივებს,

გადაღლილ სხეულს პეპლის ფრთები როდის შეასხი,
რომ ვერ ვიგრძენი ჩემთვის უცხო სტუმრის სიმძიმე.

გამომაღვიძა ახალი დღის სუსტმა თენებამ.
თვალები დამრჩა მიპყრობილი ფარდის ფრიალზე.
უგრძნობელ დღეთა მოსალოდნელი დასასრულია,
ვეღარ ვძლებ...

იცინე,
სულში ყვავილები ფერებს იცვლიან,
იცინე,
წვიმას ველოდები ისევ, შენ – არა.
ჩემმა ფიქრებმა შენზე უკეთ როდი იციან,
გულის ჭიშკარი ვის გავუღო, როდის ვის არა.

გათენდა,
სარკმელს დამჩნევია დილის იერი
და ხვეულები, თეთრი ფარდის, ერთურთს კოცნიან.
მარტოობისას ჩვენ ვიარეთ, დიდხანს ვიარეთ,
ეს წუთები რომ მომავლისთვის გამოგვეცლია

ხელებიდან და... აგვისტოა. რაც შენ მოხვედი,
ჩემი თითები თითქოს უკვე გრძნობენ სიგრილეს.
შემოდგომისფრად ჩამოცვივდნენ მარტო ყოფნები,
მკრთალ სინათლესთან ერთად ფრთხილად გამოვიღვიძე.

თინა სიხარულიძე

ჩემი მოხუცები

ზამთრები სოფლად სულ სხვანაირია. შეიძლება თოვდეს, შეიძლება, არც თოვდეს. მაინც სხვანაირია ზამთრები – ცივი, მკაცრი... სახლებს შორის ჩაწყვეტილი ბილიკებით. ადამიანები მარტო არიან, არავინ არავის სტუმრობს; თავის გატანის, გამოზამთრების რეჟიმზე გადაეწყობიან ხოლმე ზამთრობით სოფლებში, მეტადრე მოხუცები – მარტოკები, ერთმანეთს შეჩერებულები.

ამ სახლშიც ასე იყო.

იმ ზამთარს თოვდა. კაცი იწვა. გამხდარი იყო და უღონო. ქალი ღუმელთან იჯდა და ფიქრობდა. დამჭკნარ, დაღლილ ხელებს, მტკივან მუხლებს ითბობდა. თვალს აყოლებდა, როგორ ერეოდა ცივ ჰაერს საკვამურიდან გასული კვამლი; იჯდა და ღონეს იკრებდა.

– თინა, წყალი მამიტანე! – მიუტანა.

– აჰაა, შენი წნევის წამლები. ნუ გავიწყდება, კაცო, დალევა!

– რა გინდა, ქალო, ჩემგან, რათ არ დამაცდი სიკვდილს?! გამიშვი!

– ნეტა კი ჩაგიწყდებოდეს ხმა და წამლებს დალევდე! აბა, წამოიწიე! აი, ეგრე. ინდე, ეს მეორეც. მალე დალიე, ვეღარ გიჭერ!

– კი არ უნდა დამიჭირო, უნდა გამიშვა. აგე ბალიში და რო დავიძინებ, ჩუმად გამგუდე.

– შენი ხმის წყვეტა იყოს, შოთა. ეს მეორეც დალიე და მერე გაჭმევ რამესა.

– არა მშია, თინა. ინდე, გუშინდელებიც გულზე მადგია.

– შენი სიკვდილი გადგია გულზე! პირი დამიღე. აი, ეგრე. ჩაგიკუწე, ბევრი ღეჭვა აღარ უნდა, გადაყლაპე. სარეცხი მაქვს დასარეცხი, დაბინდებამდე უნდა მოვასწრო, ორი პირია.

– გაუშვი, გაანებე, თავი თინა. ჩემები აღარ დარეცხო, ხვალ-ზეგ ან ვიქნები, ან არა.

– კაცო, არ გეშინია, ეგეთი ღმერთის უმადური რო ხარ?! შვილები გვყავს, შვილიშვილები, შვილთაშვილიცა გვყავს. ადგები მალე, ფეხს გამართავ, კარგად იქნები.

– ქალო, რათ მინდა ეგეთი ძაღლუმადური სიცოცხლე? გტანჯამ!

– რასა მტანჯამ, ჩემი კაცი ხარ, განა სხვისა! ხო ხაარ ჩემი კაცი?

– ვარ, მაშ! – შეიფერა კაცმა და ულვაშებთან ღრმა ნაოჭები თითქოს გაუქრა.

მორჩნენ ჭამას. თინამ დასვრილ თეფშში ცხელი წყალი ჩააყენა, ქურთუკი შემოიცვა, ფეხები მაღალყელიან ბოტებში ჩადგა, ეზოში გავიდა და ცეცხლზე შემოდგმულ დიდ ქვაბს ჯოხით ამოურია. სარეცხი იხარშებოდა – სულ ქათქათა თეთრეული.

იდგა თინა სიცივეში, უყურებდა თოვლიან გზას და ფიქრობდა: ნეტაი ეხლა აემ გზაზე გოგო ჩამოივლიდეს. რა ხანია, არა ყოფილა. ჩამაიყვანდეს ჩემი სიძე და ბარემ კაცსაც ვაჩვენებდი, იქნება იცოდეი რამე ამი ფეხზე დასაყენებელი. ქალაქში იქნება გამაიგონეი რამე სხვანაირი წნევის წამალი. შვილიშვილებსაც ჩამამიყვანდა – ბიჭსა და ჩემს სეხნიას. მამენატრნენ, დაეწამლოთ ბაბო; ჩულქებს ან რამეს სხვასაც ჩამამიტანდა. მე გავატანდი ვაშლებს, აემ ხისას, ცალკე რო გადავინახე მარანში... სხვასაც ყველაფერს გავატანდი. აბა, მე რად მინდა ამოდენა. სახლსაც ცოტას მიმილაგებდა. ჩხუბით, მაგრამ მაინც ხო მიმილაგებდა?! ნეტაი ქვემოდანაც ამოვიდოდეს გოგო, ბიჭებსაც ამაიყვანდეს, ანასაც მაჩვენებდნენ, იმ თოჯინას ვაჩუქებდი, გაიხარებდა, მაგრამ აბა, როგორა... ზამთარია, ყველას თავისი საქმე აქ. დაიცათ, მოვიდეს გაზაფხული და ყველანი ჩამამივლენ. ე კაციც ადგება.

თინამ კიდევ ერთხელ ღონივრად ამოურია სარეცხის ქვაბს და უეცრად მარცხნივ, სადაც გულია, ძლიერი ტკივილი იგრძნო. გააშეშა. დაყვირებაც ვერ მოასწრო. ერთხანს ასე იყო, მერე შეძლო მოძრაობა. შეეშინდა. ფეხაკრეფით შეიპარა სახლში. შოთას საწოლს გვერდით ჩაუარა, არაფერი უთხრა, შეიძლება ეძინა კიდეც. სხვა ოთახში შევიდა. ჩუმად დაწვა, ერთი გაფიქრება კი გაიფიქრა – ნუთუ პირველი მე?.. საბანი წაიფარა და გულზე დაისვენა დაღლილი მკლავები. ტკივილი ისევ მოვიდა, ამჯერად უფრო ძლიერი და გაუსაძლისი. თინამ საბნის ქვეშიდან მოგუდულად, ყრუდ იყვირა. ხმა არავის გაუგია.

პირველი თინა იყო.

ეზოში ცეცხლი ჩაქრა.

შოთამ დაიძახა: თინა, თინა, თინა! ზამთარში ხმა ცუდად ისმის, ფიზიკის კანონია. მეზობლებმა ვერაფერი გაიგეს. დიდი ხნის მერე შეაღო ერთმა მეზობელმა კარი.

– თინა, სახლში ხარ? აბა, ერთი, წნევა გამიზომე და თუ დაბალი მაქ, ყავა დავლიოთ.

– ვეძახი და არა ჩანს. სად წავიდა, ვერა გავიგე, რა. გაგონილა ამდენი ხნით წასვლა?! – ხელებს შლიდა და ჩხუბობდა გაავებული შოთა.

– თინა, ქალო, სადა ხარ? – შეშფოთდა მეზობელი, მისი ბოტები და ქურთუკი რომ სახლში დაინახა.

შევიდა მეორე ოთახში და იყვირა.

ჩაწყვეტილი ბილიკები ერთმანეთს გადაება... ყველანი ჩამოვიდნენ.

პირველი თინა იყო...

ერთი თვის თავზე მისი კაციც გაჰყვა...

მეშახტეების ცოლებო...

მეშახტეების ცოლებო, გოგოები, ქალებო...

აი, აქ ვარ ოთხთაგან ერთი მეშახტის ცოლი და გელაპარაკებით.

ჩემი კაციც წავიდა იმ დილით და აღარ დაბრუნდა.

წაიღო ერთი ქილა ლობიო თავისთვის და ძმაკაცებისთვის, ერთი პური და მეოთხედი წველა ყველი...

ჩაალაგა ტყუილი ადიდასის გაქექილ ზურგჩანთაში და წავიდა.

დატოვა მაღაზიის ვალი და ბიჭის-

თვის მიცემული პირობა, რომ დაბადების დღეზე ლეკვს აჩუქებდა.

გოგოსთვის წართმეული სიგარეტი მოსაწევად არ წაიღო, გადაყარა და თქვა, დღეიდან ამ სახლში აღარავინ აღარ მოწევსო.

ვიჩხუბეთ იმ დღეს –

იცოდი შენ, რომ ჩვენი გოგო ეწეოდა და არ მითხარიო.

არ ვიცოდი-მეთქი, ვერ დავაჯერე და გავებუტე.

მბრძანებელი ხარ-მეთქი ამ ოჯახში.

ორი კაპიკი შემოგაქვს და თავი მეფე გგონია, მე კი შენი მონა-მეთქი. ეს ვუთხარი ბოლოს.



გავაგრძელე ლობიოს შეკმაზვა და ბიჭის პირით შევუთვალე: დიდო მეფეო, ხვალ შეგიძლია ლობიო წაიღო-მეთქი საგზლად.

აღარაფერი უთქვამს, ეწყინა. როგორც იცოდა ხოლმე – თვალის კუთხეებთან შავი ნაოჭები უფრო ჩაუმუქდა, ნიკაპი აუკანკალდა, კედლისკენ მიიხედა და არ ვიცი, რა იფიქრა.

დილით ხმაურით ადგა; უნდოდა, გამღვიძებოდა და გამოვლაპარაკებოდი.

მე კი, მეორე მხარეს გადატრიალებულს, თვალები მაგრად დამეხუჭა და მის დაბრუნებამდე არ ვაპირებდი შერიგებას. ვიცოდი, დაბრუნებისას შოკოლადს ან ლამაზ წინდებს მომიტანდა

და მე ვეტყოდი: შეგირიგდი, ბიჭო, აბა, რა ვქენი. ხო იცი, შენს იქით გზა არ მაქვს.

მასაც გაეღიმებოდა და თმას ამირევდა დაღლილი ხელებით.

ასეთი იყო ჩემი გეგმა და დუმილით გავაცილე ქმარი.

წავიდა უთქმელად. საბანი შემისწორა და წავიდა.

დამიტოვა სახლი, დამიტოვა შვილები და იფრინა 400 მეტრი.

არ შევურიგდი ჩემს ქმარს, ისე გავუშვი ბნელ გვირაბებში.

არ შევურიგდი ჩემს კაცს, არ გავუნელე კაცური დარდი,

არ გავაყოლე ჩვეული კოცნა...

მარტო ერთი ქილა ლობიო გავატანე.

და ჩვენში ხომ ქელეხებიც სულ ლობიოთი იციან...

დავუწყობ ახლა სუფრაზე ცხელ კოცნებს, რაც აქამდე მიკოცნია და, რაც აწი უნდა მეკოცნა.

ლობიოს ვერ გავაკეთებ, ქალებო, ლობიოს როგორ შევხედო დღეის მერე, გოგოებო...

მე რა ვქნა, ქალებო, რომელი ლეკვი ვუყიდო ჩვენს ბიჭს, ორ კვირაში რომ ხუთის ხდება,

რა ვასწავლო ჩემს თოთხმეტი წლის გოგოს, როგორ დავუშალო მოწევა, დარდის ჩაკვლა ობოლ გოგოს...

რა კუბოში ჩავაწვინო ჩემი დაბეგვილი კაცი, რომ შვილებმა ვერ დაინახონ...

თქვენ ხომ შერიგებული გაუშვით თქვენი ნატანჯი კაცები, თქვენი მეფე კაცები, გოგოებო?

ხომ გაატანეთ ფრთებად თქვენი კოცნები, ხომ გაატანეთ ბალიშებად თქვენი თმების სიმსუბუქე, თქვენი მკერდის სირბილე?

დათვებზე

დათვი ჩამოსულა ერთ ღამეს ბარში. ტყე-ტყე ჩამოურბენია მოყინული ფერდობი და მოსდგომია ჩვენს უკანა ეზოს. შუაღამე გადასული იყო. პაპაჩემს იმხანად უკვე სახსრების ტკივილები არ ასვენებდა და არ ეძინა. გაუგონია ტოტების ლეწვის ხმა და მიუყურადებია საძინებლის დარაბებს უკნიდან. ხმა არ წყდებოდა... გაუხედავს – დათვია, ტოტებს ამტვრევს უკანა ეზოს ტყემალს, ღობეს ეჯაჯგურება და იძახის. პაპაჩემს სახსრები სტკივა, თან ეშინია და არ იცის, რა ქნას, რას ელოდოს გამხეცებული ტყის ნადირისგან. დათვი კი იძახის – კაცივით, ძაღლივით, მგელივით... ბუქნაობს და ტორებით აპობს პირველი თოვლის სიცივისაგან ჩამკვრივებულ ჰაერს. თოფმომარჯვებული პაპაჩემი რის ვაი-ვაგლახით გადის გარეთ. ფეხები ქუსლებჩათელილ ფეხსაცმელში წაუყვია, ესაყვედურება და თან მკაცრად, მაგრამ დაყვავებით ემუქრება დათვს: რისთვის ჩამოსულხარ, ერთი, შე ჩემი ცოდვით სავსევ, რა დაგკარგვია, გშია თუ გტკივა რამე? გხედავ, არაფერი არ უნდა გტკიოდეს, ღონე გერჩის. აბა, აქედან დაგვეკარგე და ძილი გვაცალე, თორემ ხომ იცი, ამას ვერ წაუხვალ! მამისეულ თორმეტკალიბრიანს უღერებს. დათვი ტირილზე გადადის, სულ მთლად გიჟდება და, თითქოსდა უარყოფის ნიშნად, თავს იქნევს. შფოთავს პაპაჩემი, უხერხულადაა, რომ სათქმელს ვერ მიუხვდა შუაღამის სტუმარს. დათვი უკანა ჭიშკართან კაცივით დგას და გეგონება, რომ შემოიპატიჟო, კაცივითვე მარჯვედ გააღებს ჭიშკარს; აქა მშვიდობაო, იტყვის და შემოვა, ექიმი პაპაჩემი სნეულთან რომ წაიყვანოს ჩქარი ნაბიჯით და გზად ავადმყოფის შესახებ უამბოს.

პაპაჩემი თითქოს უგებს უცებ და ეუბნება: ხო, კარგი, კარგი, ჩავიცვამ. უკიდურესად ჩაფიქრებული შინ ნელა შემოდის. დათვი მშვიდად ეშვება წინა ფეხებზე, ელოდება. დროდადრო თავის აქნევით პირველ თოვლს ნერვიულად წაჰკბენს, თითქოს უბრაზდება, რამ მოგიყვანა დაზამთრებამდეო. მოთმინებით უცდის პაპაჩემს. პაპაჩემი ჩაცმული კია, მაგრამ ერთხანს ფეხს ვერ ძრავს, ჭრაქიდან უკიდებს ჩიბუხს, ფიქრობს – არ იცის სად მიდის, რისთვის, რომელ ერთი წაიღოს – ექიმის ჩანთა თუ იარაღი? ბოლოს ექიმის ჩანთას გადაიკიდებს, იარაღს კართან მიაყუდებს და მიდის. მისი ჩრდილი შავი მდინარესავით წვება ჩვენი ეზოს თეთრ, გაუკვალავ თოვლზე და ჭრაქის შუქი მაღლა, ტყის სიღრმეში მიირწევა.

მიდიან კაცი და დათვი. გვერდიგვერდ მიდიან, არ ლაპარაკობენ. გმინვა აღმოხდება გზადაგზა დათვს და მოლეწილი ტოტების სიღრმეში შავი მრის-

ხანე თვალების კვესებით მიიკვლევს გზას. მიჰყვება პაპაჩემი – სახსრების ჭრიალით, ჭრაქის ხრჩოლვით, ხელების ფშვნეტით. მიდიან სულ მაღლა. ჰაერში სუსხი იმატებს, ახალი თოვლის ქვეშ მიწაც შიგადაშიგ გაყინულია და დაფერდებულზე ფეხი ცურავს. დათვი დროდადრო დრუნჩს წაჰკრავს პაპაჩემს ზურგზე და მიდიან. ტყის სიღრმეში შორიდან ისმის კივილი – რისი ან ვისი?! ალბათ, ჭოტს ან ტურას თუ შესცივდა უდროოდ მოსულ პირველ თოვლში. ერთგან შეჩერდება პაპაჩემი, აჩქარებულ სუნთქვას ვერ იმორჩილებს, მუხლები სტკივა. დათვს ხელის აწევით ანიშნებს და ეუბნება: „ხომ ხედავ, გიჯერებ, ხომ ხედავ, მოგყვები, სრულ ჭკუაზე აღარ ვარ, რომ ამოდენა კაცი შუაღამისას, თოვლში, უკუნეთში დათვს მთაში მოგყვები. აქ შევისვენოთ“. დათვი შედგა, იქვე ჩაჯდა, ჩაყუნტდა და იცდის. პაპაჩემმა ჩიბუხი გააბოლა, ძვლებმა იგრძნეს სითბო, დაუამდა ტკივილები, ფეხებში ძალა დაუბრუნდა და გზა განაგრძეს. კიდევ ორგან შეისვენეს, ამჯერად უსიტყვოდ. მესამე შესვენებისას დათვმა პაპაჩემს ჩიბუხი გამოართვა. სახტად დარჩა პაპაჩემი, ეს ამდენის მნახველი კაცი, დათვი რომ იჯდეს და ჩიბუხს აბოლებდეს, ვის უნახავს?! კაცივით, დინჯად და გამოზოგვით ეწევა, გმინვასაც ამოაყოლებს კვამლს და შავ, საშიშ თვალებში, თითქოს, რაღაც სევდა აქვს, რაღაცას დარდობს. „კარგი, დროა!“ – ამბობს პაპაჩემი და მიდიან. კივილი ახლოვდება – არც ჭოტია, არც ტურა. დათვი იქით მიუძღვება, საიდანაც ხმა მოდის. ბუნაგს უახლოვდებიან. ყვირილი სიღრმიდან ისმის და, როცა ახლოს მიდიან, პაპაჩემს ტირილი ესმის, ქალის ტირილი და – „ვაიმე დედა!“ თვალთ უბნელდება და, როცა დათვი იქით გაუძღვება, სადაც ძონძებსა და ხმელ ბალახზე მშობიარე ქალი წევს, საბოლოოდ უღონდება გული. გონზე ისევ ქალის ყვირილს მოჰყავს: „დამეხმარე, არ მოვკვდე!..“ – ამბობს. თვალები არ უჩანს. პაპაჩემი მტკივანი ხელებით ეხმარება, სიცივეში, ჭრაქის შუქზე. ტირილით ჩნდებიან. ორნი არიან – ბიჭები – ნახევრად დათვები, ნახევრად ბავშვები. ძუძუს ეძებენ. რძე არა აქვს დედას, მკვდარია. დამარცხდა პაპაჩემი. ველარასდროს გაიგებს დათვის ცოლის ამბავს. როგორ მოხდა, რომ ქალი დათვს ცოლად დაუჯდა და შვილებიც გაუჩინა. ტირის დათვი, მამა დათვი, უფრო – ქმარი დათვი. მიხვდა, რაც მოხდა ან თავისი მხეცური ყნოსვით სიკვდილი იყნოსა. მივიდა ქალთან, გადაუწია თვალებთან თმები, შავი, ველური, გრუზა თმები და უღრიალა თვალებში ჩაშტერებით, გულისგამგმირავად. ხელებსა და ყელზე ცხვირი ფრთხილად შეახო და დაემშვიდობა. ასწია მერე, ხელებზე კაცივით გადაიწვინა და ბუნაგიდან გაიყვანა. თან ზურგიდან ერთი ავად მოხედა პაპაჩემს – არც იფიქროო გამოყოლა და ხელის შეშლაო. პაპაჩემი, სუსტი აღნაგობის კაცი, აბა, როგორ შეაჩერებდა ცოლმკვდარ დათვს, არც ცდილა. ფეხაკრეფით მიჰყვა უკან, მაგრამ იმ უკუნეთში რას დაინახავდა ცეცხლის გარეშე. უკან მობრუნდა აბღავლებულ ბავშვებთან. სციოდათ და ერთმანეთს მიჰკვროდნენ. შეახვია ქალის ნაწოლ ძონძებში, ჭრაქი ახლოს მიუტანა სითბოსთვის და მორჩილად დაუწყო ლოდინი დათვს. თითქმის საათი გავიდა, სანამ დაბრუნდებოდა. დაბრუნდა ჩუმად, ხმელ ბალახზე მიწვა და თვალებზე შემოიწყო მიწასა და თოვლში დამზრალი ტორები. უხმოდ ტიროდა და ფერდები შეკავებული ღრიალისგან უკანკალებდა. მივიდა პაპაჩემი, ფრთხილად მიუახლოვდა, გაუბედავად დაადო მხარზე ხელი და მიეფერა.

დათვი ალაპარაკდა.

– მიყვარდა და იმასაც ვუყვარდი.

სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა.

ბოლოს პაპაჩემმა ძლივს შეჰბედა:

– დათვს ქალი როგორ გამოგყვა?!

– ყური დამიგდე, ადამიანო! თქვენ, კაცებმა, არაფერი იცით სიყვარულისა. ქმარს მოვტაცე, ხელიდან გამოვტაცე. სცემდა, მოკვლა უნდოდა, ყველას რატომ აყურებინებ, ასეთი ლამაზი რომ ხარო. ეს საწყალი ეხვეწებოდა – ეზოში ყვავილების მოსარწყავად გამოვედი და, თუ ესეც არ შეიძლება, ბარემ მომკალიო. შემეცოდა და კაცს თავზე წამოვადექი, გვერდით გადავაგდე და ქალი ჩემთან წამოვიყვანე, ჩემი ქალი რომ ყოფილიყო. გამომიდგა ქმარი ყვირილით – მიშველეთ, დათვს ჩემი ცოლის მოკვლა უნდაო. მდია და დაიღალა. ვიცოდი, აღარც მოძებნიდა, ახალს იპოვიდა და ძველს დაივიწყებდა.

მე ეს ქალი იმ დანახვითვე შემიყვარდა. ვეფერებოდი და ვათბობდი. ყვავილები მომქონდა, საჭმელიც ამომქონდა სოფლებიდან. წასვლას არ ჩქარობდა. ვფიქრობდი, ერთ ზამთარსაც გამოიზამთრებს და წავა ადამიანებთან-მეთქი, მაგრამ თანდათან მივხვდი, რომ დარჩა; მივხვდი, რომ არ წავიდოდა; მივხვდი, რომ ჩემი ცოლი გახდებოდა. მადლიერების გრძნობა იქნებოდა თავიდან, აბა, რა იქნებოდა?! მერე შევუყვარდი. ერთ ღამეს ჩემს საწოლთან მოვიდა, კაბა გაიხადა, თმა გაიშალა და ჩემი ცოლი გახდა – დათვის ცოლი. ერთიც მომაწევინე, ადამიანო.

პაპაჩემმა ჩიბუხი აკანკალებული ხელით გააწყო, მიაწოდა და ამბის გაგრძელების მოსასმენად გაინაბა. ცნობისწადილი ეტყობოდა სახეზე. დათვმა აღარ ისურვა.

– დავმარხე. ვერ იპოვით ვერც შენ და ვერც სხვა. ეს ქალი არავის არ უნდოდა ცოცხალი. ცოცხალიც ჩემი იყო და მკვდარსაც მე ვიგლოვებ.

ხმაში ეტყობოდა, შეუვალი იყო. თავი დაუქნია პაპაჩემმა.

– ბავშვებს რძე უნდათ. აქ დაიხოცებიან. შენ გაბარებ. მოუვლი?

ბევრი იფიქრა პაპაჩემმა, სანამ უპასუხებდა.

– მოვუვლი. რძალი მყავს მეძუძური. რას დაარქმევ ბალღებს?

– ბახვას და ნუგეშას დავარქმევ, დედამისს ასე ენდომებოდა. კაცებად დამიზარდეთ, დათვებად თქვენ ვერ დაზრდით.

– მოვუვლი და კაცებად დავზრდი! – იყო პასუხი.

– მადლობა!

ბოლო სიტყვა...

დადუმდა დათვი...

წელში მოხრილმა პაპაჩემმა სვენებ-სვენებით წამოიყვანა ნახევრად დათვი, ნახევრად ადამიანი ძმები. ნელა ეშვებოდა დათოვლილ ფერდობზე და ფრთხილობდა – ერიდებოდა კაცსაც და მხეცსაც.

ვერცხლისფრად იყო უკვე გათენებული, უკანა ეზოს დაღლილ-დამზრალი რომ მოადგა. ბოლო ძალები ბოლო ნაბიჯების სიმყარისათვის აღარ ეყო და შუა ეზოდან ძალიან, ძალიან ჩუმად დაუძახა დედაჩემს. გამოვიდა დედაჩემი, უცნაური დაძახილით გაკვირვებული – „ქალო, მხარში შემიდექი, სახლში შემიყვანე და არავინ გააღვიძოო“. შემოიყვანა დედაჩემმა და აი, ამ ტახტზე დასვა მამამთილი. „ფარდები ჩამოუშვი!“ – დაუჯერა. ხელი წაიღო პაპაჩემმა ქურთუკის უბისკენ და, სანამ ბოლომდე ამოაჩენდა ნახევრადადამიანებს, უთხრა:

– ობლები მოგიყვანე, რძე სჭირდებათ, დაიხოცებიან უშენოდ. ხომ გაქვს რძე?

(მე იმხანად ჩვილი ვყოფილვარ და დედაჩემსაც რძე ჰქონია). დაბნეულა: „მაქვსო“, მაგრამ როცა პაპაჩემს დაუნახვებია ნახევარდათვები, მაშინ კი გული წასვლია დედაჩემს. მოაბრუნა პაპაჩემმა და რძალი, რომელიც სულ ემუდარა თურმე – „ნუ გამიკეთებ ამას, ამათი ნაპირალი ძუძუ როგორ ვაწოვო ჩემს შვილსო“. „პირობა მივეციო“, – შევედრებია პაპაჩემი.

დედაჩემი კარგი ქალი იყო, ვერ გაიმეტა ობლები და დაზარდა ჩემთან ერთად. დაგვაგორებდა ხოლმე ორ დათვსა და ერთ ბავშვს უკანა ეზოს მინდორში, მზეზე და დავცოცავდით დათვებივით. მერე, უფრო დიდობაში, ბავშვურ თამაშებს ვთამაშობდით. ჩამოვიდოდა იმათი მამა და ტყის ძღვენს ჩამოუტანდა პაპაჩემს, პირის გასასველებლად. აღარ ლაპარაკობდა.

ხვდებოდა დათვი, რომ ადამიანებად იზრდებოდნენ მისი შვილები და მხოლოდ შორიდან უყურებდა. მადლიერი შებრუნდებოდა და აუყვებოდა ფერდობს ჩაფიქრებული. ვინ იცის, თავის ქალზე და იმაზე ფიქრობდა, რომ არ მოჰკვდომოდა, როგორ იცხოვრებდნენ და როგორ დათვებად გაზრდიდნენ შვილებს.

ერთ ოთახში ვიძინებდით მე და ჩემი ძმები და არ ვიცოდით, თუ ერთი დედმამის შვილები არ ვიყავით.

პაპაჩემმა ერთადერთხელ გვიამბო ეს ამბავი – სიკვდილის წინ. ტიროდა და დაკუტებული ხელებით სამივეს გვეხვეოდა: „ხომ სწორად მივიქეციო“, – ვედრებით გვეკითხებოდა. ცამეტი წლისები ვიყავით მაშინ. „კიო, სწორად მოიქეციო“, – უთხრეს. – „მშვიდად იყავიო“.

იმ დღიდან დედა აღარ იცინოდა, ვერ აპატია პაპაჩემს ამ ამბის გამხელა. თავისი შვილებივით უყვარდა ჩემი ძმობილები, ჩემი ძუძუმტეები.

მოკვდა პაპაჩვენი მოხუცი და სულ მთლად კუტი.

თოთხმეტი წლისები რომ შესრულდნენ, ტყეში წავიდნენ და აღარ დაბრუნდნენ. მას მერე აღარავის უნახავს არც ცოცხლები, არც მკვდრები.

დაუჯერებელი ამბავია. ხანდახან ვფიქრობ, იქნებ არც არასოდეს ყოფილან და პაპაჩემს ეზმანა ან იქნებ ყველას ერთად გვესიზმრა ჩემი ბომბორა ძმები – ბახვა და ნუგეშა. იქნებ არც ის ნაკბილარი ყოფილა დედაჩემის ძუძუზე და არც ის ცერისტოლა მოცვლილი კბილები ყრია სხვენზე, თაგვს რომ უნდა წაეღო და, რომ ვერ მოერია; არც მაგათი ნაქონი გოლიათური ფეხსაცმელები გვიწყვია ფარდულში და არც ჩვენი სიყვარული და დარდია ნამდვილი.

იქნებ არც პაპაჩემის სიკვდილის ღამეს მოსულა დიდი დათვი, არ დამდგარა ჩვენს ეზოში, ხის ძირას და გამეტებით არ წაუშენია თავში ტორები, არც კაცივით უტირია...

მოსაცდელში

ბერნიდან შინ, ფრანკფურტში ვბრუნდებოდი. მატარებლით მომიხდა გამგზავრება და საშინლად ვბრაზობდი. მოსაცდელში, ხმაურიან კაფეში ვიჯექი. დრო უნდა გამეყვანა, ჩაის ვსვამდი და სიახლეებს ვეცნობოდი. ცხვირი ბოლომდე მქონდა ჩარგული სმარტფონში და ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევდი, გამვლელების ფეხსაცმლის ლანჩების გარდა. დრო ნელა გადიოდა. კაფეში ყველა მაგიდა მომლოდინე ხალხით დაკავებული იყო.

– უკაცრავად, შეიძლება, თქვენს მაგიდასთან დავჯდე? – ქალის ხმა იყო. არც ამიხედავს, ისე დავთანხმდი.

– დიახ, რა თქმა უნდა.

დაჯდა და მაგიდაზე ხმაურით დაიწყო ფორთოხლის წვენი და კრუასანები. ვითომ ის არ მეყოფოდა, კაფეში რომ გუგუნი იდგა ამდენი ხალხის ჩუმი საუბრებისგან, ახლა მისი ხრიგინ-წკარუნისთვისაც უნდა გამეძლო. კონცენტრირებისთვის ლამის ცხვირით მივებჯინე სმარტფონის ეკრანს და კითხვა განვაგრძე.

რამდენიმე წუთით აღარ დაურღვევია ჩემი მყუდროება. მერე მაგიდაზე თითების კაკუნი და სტვენით ნამღერი ვივალდის „შემოდგომა“ მომესმა, მერე ჩახველება, მერე სიგარეტის კვამლი ვიგრძენი. ეს უკვე მეტისმეტი იყო. თუ

რამეს არ ვიღონებდი, ასთმის შეტევა დამემართებოდა.

– თუ შეიძლება, ნუ მოწევთ, მის!

– ამ კაფეში მოწევა ნებადართულია, მისტერ, – ირონიულად, მოჭუტული თვალებით მიპასუხა.

თვალი შევავლე. ძალიან ლამაზი იყო. სქელი წაბლისფერი თმა, ყავისფერი თვალები, სწორი ცხვირი და ვარდისფერი დაბურცული ტუჩები ჰქონდა. ხელში ლამაზად ეჭირა წვრილი სიგარეტი და გამოშვებულ კვამლში მეორე ხელის თითებს აფარფატებდა. რაღაცნაირად, კატას ჰგავდა, შავ, მოქნილ კატას.

– ასთმის შეტევა დამემრთება, მის, შემიბრალეთ!

უკმაყოფილოდ ჩააქრო სიგარეტი, ღრმად ამოისუნთქა და ისე შეიმართა, როგორც კატა, რომელიც თაგვზე თავდასხმისთვის ემზადება. რაღაცის თქმა უნდოდა. ვანიშნე, გისმენთ-მეთქი.

– მაშინ ჩემი სულელური ამბები უნდა მოისმინოთ. მე სულ ვლაპარაკობ. რომ არ ვილაპარაკო, ვეწევი. თუ არ მოვწევ, უნდა ვილაპარაკო. რას კითხულობთ, სერ?

– პოლიტიკურ სიახლეებს.

– პოლიტიკოსი ხართ?

– ექიმი გახლავართ.

– რისი ექიმი?

– კარდიოლოგი.

– ცუდია. მე ფსიქიატრი მჭირდებოდა.

– რისთვის გჭირდებოდათ ფსიქიატრი?

– მე ცოტათი შეშლილი ვარ, – თქვა ხელზე ნიკაპდაყრდნობილმა და მაგიდაზე გამომწვევად აარაკუნა მეორე ხელის თითები.

– რაში გამოიხატება თქვენი შეშლილობა? – გულწრფელად დავინტერესდი.

მან სივრცეში გაიხედა და თითქოს თავისთვის თქვა:

– თავგადასავლების ძიებაში.

ეს ნამდვილად არ იყო ის სიტყვები, რომლის გაგონებაც ახლა მინდოდა. მატარებლებს ვერ ვიტანდი და თან საშინლად დაღლილი ვიყავი. მხოლოდ ის მინდოდა, შინ სწრაფად ჩავსულიყავი და პირდაპირ თბილ აბაზანაში დამეძინა. იმედი მქონდა, მე არ ვიქნებოდი მისი მორიგი თავგადასავალი. ამბის მოსმენას კიდევ არა უშავდა.

– ურიგო მსმენელი არ ვარ. შეგიძლიათ, ილაპარაკოთ.

და დაიწყო ლაპარაკი. თავი „ფორესტ გამპის“ გვერდით, ძელსკამზე მჯდომ უცნობად წარმოვიდგინე და, რა საოცარია, რომ მანაც ისევე დაიწყო, როგორც ფორესტმა.

– „დედაჩემი ყოველთვის ამბობდა, ცხოვრება შოკოლადის ყუთს ჰგავს, არასოდეს იცი, რა შეგხვდება...“

ჩემი გაოცება რომ შენიშნა, გადაიკისკისა.

– რა მოხდა, გიყვართ „ფორესტ გამპი“? აი, მე კი ვერ ვიტან. იმიტომ, რომ მშურს მისი.

– რატომ გშურთ?

– მას ყველაფერი ჰქონდა – თავგადასავლები, ემოციები, შეგრძნებები...

– და თქვენ არ გაქვთ?

– მე ვეძებ.

– სად ეძებთ?

– აი, აქ.

– სად აქ?

– აქ. მთელ ევროპაში დავეხეტები – სადგურები, ხალხი, კაფეები...

– და რა საჭიროა ეს ყველაფერი? რას ეძებთ, რას გულისხმობთ თავგადასავლებში?

– რომ ცხოვრობ, ამის შეგრძნებაა თავგადასავალი. გულის რიტმის ცვლილებას რომ ხშირად იგრძნობ, ესაა ცხოვრება.

– გულის რიტმის ხშირი ცვლილებები, ეს ხომ არითმიაა? – ვთქვი და ვინანე. მას არ მოეწონა ჩემი კარდიოლოგიური რეპლიკა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და განაგრძო.

– როცა ერთი ზურგჩანთა და შიგ ორი ხელი ჩასაცმელია მხოლოდ შენი ტვირთი და, როცა გული მატარებლის ვაგონივით მძიმე გაქვს, შეგიძლია, იარო, იარო, იარო... ევროპის რკინიგზის ქსელში ბუზივით გაიხლართო და გაჩერებებზე პატარა ქვებად ჩამოარიგო შენი დარდები, ტკივილები და სამაგიეროდ, შეივსო ახალი ადამიანების სიმსუბუქით, მათი გამოხედვების სიმსუბუქით, მათი სუნთქვების სიმსუბუქით, მათი შეხების სიმსუბუქით... ღრუბელივით აიმსუბუქო გული. მოსაცდელის სკამზე რომ გძინავს და ელოდები, როდის ჩამოდგება ბაქანზე შენი მატარებელი, ეს ის მომენტია, როცა არსად არ ხარ, არ არსებობ. მერე მოდის მატარებელი და შენ იწყებ მოძრაობას ერთი ადგილიდან მეორესკენ, ანუ შენს არსებობას აზრი ეძლევა, ძარღვებში სისხლი იწყებს მოძრაობას, იღვიძებ. ელოდები, როგორ თანამგზავრს შეგახვედრებს შემთხვევითობა.

საერთოდ, მატარებლების ამბები ბევრგან წამიკითხავს და ყველა ერთმანეთს ჰგავს, ყველა სულელურია, მაგრამ, სანამ ახალია, მანამდე ჭკუას კარგავ ამ ამბებზე. დრო გადის და ხედავ, არაფერია, არაფერი გრჩება და ასეც უნდა იყოს. მატარებლების ამბები დასავიწყებელია.

მე, ზოგადად, ისეთი ტიპი ვარ, სულ ვფიქრობ, ვინ მომიჯდება მატარებელში გვერდით, ვინ – თვითმფრინავის ბორტზე, ვინ – მეტროში. მინდა, რომ გვერდით მჯდომმა სულ მიყუროს, ღრმად ისუნთქოს, ვითომ შემთხვევით, მსუბუქად შემეხოს პერანგის სახელოთი, მერე მინდა, რომ მე ცალი ყურსასმენი ვათხოვო და ერთად ვუსმინოთ მუსიკას, ჩემი „კოკა-კოლა“ გავუყო, ჩასვლის დროს კი თვალებში შემომხედოს. პატარა ლავ სთორიდ შეიძლება, აქციო ყველა მგზავრობა. ამაზე ფიქრი მართობს. ალბათ, დაულაგებელი მაქვს რაღაც. შეიძლება, ვაფრენ კიდეც. ზუსტად არ ვიცი. აკი გითხარი, ფსიქოანალიზი მჭირდება.

ეს ამბავი სულ ახალია და, სანამ დამვიწყებია, მოგიყვები.

გუშინ ერთ კაცს შევხვდი. უცნაური კაცი იყო. რომ ამოვიდა, ვიფიქრე, ღმერთო, ოღონდ ეს კაცი არ დამისვა გვერდით და აღარაფერს გთხოვ-მეთქი. ბილეთს დახედა და პირდაპირ ჩემი სავარძლისკენ წამოვიდა. გვერდით მომიჯდა. ბალახებისა და მენთოლის სუნი ჰქონდა. დაბალი, წითური წვერი, გარუჯული სახე და სათვალე – მწვანე თვალებზე; ხელში გაზეთში გახვეული სულელური ყვავილები ეჭირა. სულელური იმიტომ, რომ სხვისთვის იყო და, როგორ შეიძლება, სულელური არ იყოს, სხვისთვის განკუთვნილი ყვავილებით რომ გიზის კაცი გვერდით?! შენ კიდევ აპირებდი, რომ რამდენიმე საათიანი ლავ სთორი შეგექმნა.

– ლამაზი ყვავილებია, – ვუთხარი და ჩემს თავზე გავბრაზდი. ხომ ვიცოდი, რომ აზრი არ ჰქონდა გამოლაპარაკებას.

– გმადლობთ, ცოლისთვისაა.

შესანიშნავი ამბავია, ვერაფერს იტყვი... სხვა ქალისთვისაა, თანაც ცოლისთვის. ხმა აღარ ამომიღია. მერე თავი მოვიმძინარე. კეფა სავარძლის საზურგეს მივაბჯინე. მერე, ვითომ ჩამომივარდა, ძალიან ნელა ჩამოვაცურე და მის მხარზე ჩამოვდე. ის შეკრთა, იუხერხულა, მაგრამ ჩემი მშვიდი სუნთქვით მოვითვინიერე. ღრმად სუნთქვა დაიწყო და თავი თავზე დამადო. ცოტათი შევიშმუშნე, ბუნებრივად. მომწონდა მისი ბალახებისა და მენთოლის სუნი, მისი სუნთქვის რიტმი, მატარებლის რხევებს რომ იმეორებდა. უცებ ხელზე, მისი ხელის ზურგის მსუბუქი შეხება ვიგრძენი; მერე მან ჩემი ხელი თავის დიდ ხელში მოიქცია და თავისკენ მიიზიდა... და ვიყავით ასე... მეგონა, მართლა ჩამეძინებოდა ამ ძლიერი, მზისგან გარუჯული კაცის გვერდით –

მშვიდად და დიდი ხნით. მოულოდნელად, ჩურჩულით მკითხა:

– რას კითხულობ?

ისე შევშინდი და ისე შემრცხვა, თითქოს ამერიკის პრეზიდენტი ვიყავი და ინაუგურაციაზე შიშველი გამოვდიოდი. იცოდა, რომ მე არ მეძინა. თავი ავიღე, თვალები გავახილე და მან ღიმილით შემომხედა. რაღაცნაირი ღიმილი ჰქონდა, თბილი და გამომწვევი.

– აბა, რას კითხულობთ?

– მე... მე... ისა. ფიცჯერალდს ვკითხულობ, – ვუთხარი ის, რაც თავში პირველად მომივიდა.

– არა უშავს, იმედს ნუ დაკარგავ, – დამცინავად მითხრა და ისევ შემრცხვა.

ვუთხარი:

– სინამდვილეში, არაფერსაც არ ვკითხულობ და საერთოდაც... რა შეკითხვაა...

– როგორ თუ არაფერსაც არ კითხულობ?!

– აი ასე! კითხვა არ ვიცი, – გავიბუტე. ორივეს გაგვეცინა.

მან ქურთუკიდან კამიუ ამოაძვრინა და მითხრა:

– ისწავლე კითხვა და ეს წაიკითხე.

გამოვართვი და დამარცვლით წავიკითხე: „შა-ვი ჭი-რი“. ისევ გაგვეცინა ორივეს.

– კაფკა გიყვარს? – მკითხა.

მე მიყვარს კაფკა და ვუპასუხე, მიყვარს-მეთქი.

– აი, მე კი არ მიყვარს, გიჟი იყო კაფკა, შეშლილი.

მე ჩავიცინე და ვუთხარი:

– კაფკას სიგიჟე რას მოვა ჩემთან?!.

– რატომ ხარ გიჟი?

– აი, ასე, მატარებლით ვმგზავრობ და კაცებს ვუახლოვდები, მერე კი ვხოცავ.

– რატომ ხოცავ?

– რომ არ შემიყვარონ.

ისევ ორივეს გაგვეცინა.

მან თავისი ყვავილები გვერდით დაუწყო და მითხრა:

– მადრიდში ადამიანი მოვკალი.

– ამას რატომ მეუბნები? – ძალიან შევშინდი და ჩემი სიკვდილის ათასნაირი სცენა წარმოვიდგინე. მიყურა, მიყურა და გადაიხარხარა. მე გავიბუტე და ხელი ვკარი. მან ხელები დამიჭირა და თვალებში შემომხედა.

– ლამაზი თვალები გაქვს.

– მაჩუქე მაშინ ეგ ყვავილები!

– ამათ ვერა, სხვებს გაჩუქებ, სხვა დროს.

– სხვა დროს ველარ მნახავ.

– ყვავილებს ვერ გაჩუქებ. გინდა, დაგხატავ?

– არ მინდა. რაც დიდხანს დამრჩება, არ მინდა. ყვავილები დაჭკნება, გადავყრი და დამავიწყდები.

– შენ, მგონი, მართლა კაფკაზე გიჟი ხარ, – მითხრა და მაკოცა. ჩვენ წინ მჯდომმა შუა ხნის კაცმა გაზეთის ზემოდან ამოგვხედა და ცხვირი ხმამაღლა მოიწმინდა. ჩვენ გაგვეცინა.

– ჩემი ცოლი არ მიყვარს, – მითხრა მან. გავჩუმდი. რაღაც მეტკინა გულში, ერთი წერტილი.

– მე კი მართლა ასე დავდივარ და კაცებს ვაცდუნებ.

– რატომ მეუბნები?

– მომწონხარ და მინდა, იცოდე.

– მადლობა ამისთვის.

– ეტყვი ცოლს, რომ აღარ გიყვარს?

– არა. მინდა, ბედნიერი იყოს. კარგი ქალია.

– გასაგებია. წამო ტუალეტში.

– წამო.

ეს იყო და ეს. მერე თავის ცოლთან წავიდა და გაზეთში გახვეული სულელური, სულელური ყვავილები მიუტანა.

საერთოდ, ამ ამბებში ან არ უნდა გაეხვე, ან უნდა დაივიწყო. მე მირჩევნია, გავეხვე და მერე დავივიწყო. მე ასეთი ვარ, – თქვა და თითქოს უფრო ბედნიერი და უფრო მიმზიდველი გახდა. იჯდა და ბოლო სცენის შემდეგ, აპლოდისმენტების მოლოდინში მყოფს

მსახიობს ჰგავდა.

მთელი ეს ამბავი სუნთქვაშეკრულმა და მუშტებშეკრულმა მოვისმინე. გული ჩამწყდა. ამ ქალის გადარჩენა მომინდა. მომინდა, ჩემთან წამეყვანა და ათასი კაცისგან, უსარგებლო თავგადასავლებისგან გადამერჩინა. წავიყვანდი და სიმშვიდეს ვაჩუქებდი.

– გინდა ჩემთან? – ვკითხე და მოუთმენლად ველოდი პასუხს, რომ მერე მეთქვა, სამუდამოდ დარჩი-მეთქი.

ქალი გაჩუმდა. საათზე დაიხედა, მერე კარს გახედა. კაფეში სამნი შემოვიდნენ – მაღალი მამაკაცი და ბაფთიანი გოგონები, ალბათ, შვიდი და რვა წლისანი.

– ვერონიკა, ჩვენ მოვედით! – თქვა მაღალმა მამაკაცმა და ბართან შესაკვეთად გაჩერდა.

გოგონები გამოიქცნენ და ვერონიკას „დედიკო, დედიკოს“ ძახილით ჩაეხუტნენ.

ვერონიკა უსიტყვოდ ადგა და, ვიდრე წავიდოდა, შვილებს თითით ანიშნა, განზე გამდგარიყვნენ, მათკენ ზურგით დადგა და მითხრა:

– სინამდვილეში, ესაა ჩემი ცხოვრება – ორი ლამაზი შვილი მყავს, კეთილი ქმარი და საშუალოზე დიდი სახლი აუზით, მაგრამ მეტი მჭირდება, ბევრად მეტი. დღეს აი, აქ, შენთან, პირველად ვიყავი ის, ვინც მინდა, ვიყო. აი, რატომ ვერ ვიტან ფორესტს. ის იმ ძელსკამზე ნამდვილ ამბებს ჰყვება, მე კი მატარებელში არასდროს ვმჯდარვარ, არც თვითმფრინავში. შვეიცარიის გარეთაც არასდროს ვყოფილვარ. დღეს პირველად უნდა ვნახო ზღვა.

ვერონიკა იდგა და მიყურებდა. შავ კატას აღარ ჰგავდა, ცხვარს ჰგავდა, თავდახრილ, გაპარსულ ცხვარს. იდგა და ვიცი, ამ წამებს იმახსოვრებდა, მეხსიერებაში საგულდაგულოდ ინახავდა მატარებლით მოხეტიალე ქალის ამბებს და იმ ამბების მსმენელს, მერე შებრუნდა და წავიდა.

მაგიდაზე ხელუხლებლად ეწყო ფორთოხლის წვენი და კრუასანები. საფერფლეში ახალმოკიდებული, თავმოგრეხილი სიგარეტის ნამწვი ეგდო. ის ვერონიკას ცხოვრებას ჰგავდა – სანახევროდ ნაცხოვრებ, გემოჩაუტანებელ ცხოვრებას.

და როგორ მინდოდა, გავყოლოდი უკან, შემეჩერებინა და ყურში ჩუმად მეთქვა: „შენ, ბედნიერი ხარ, ვერონიკა, იცხოვრე ლამაზად ლამაზ შვილებთან და კეთილ ქმართან ერთად, საშუალოზე დიდ, აუზიან სახლში!“

არა, გიჟი იყო, მართლა საოცრად გიჟი იყო ვერონიკა! მაინც როგორ მოიფიქრა ეს ამოდენა ამბავი, ეს კაცი, რომელსაც კაფკა არ უყვარდა და ბალახებისა და მენთოლის სუნი უდიოდა, ეს ამოდენა დიალოგები... იქნებ ახლა კი არ მოიფიქრა, როგორც წარმოდგენას, წლების განმავლობაში სარკის წინ დგამდა და შავი კატის მიმოხვრაზეც საათობით ვარჯიშობდა... არა, ვერ გახდებოდა ეს ქალი ბედნიერი!

და მე გავიფიქრე: „ამაღამ ზღვაში თავს დაიხრჩობ, ვერონიკა“.

ჩემი პირველი ოპერაცია

ახლაც მახსოვს ის სუნი, მაგრამ ვერ ვიხსენებ, ტყემლის მურაბისა იყო თუ ქლიავის მურაბისა. ვიხსენებ და ვერ გამიხსენებია, დავიწყების ბურუსშია ვანილშეყოლილი, ნაცნობი მსუბუქი არომატი. ვინ უმატებს ქლიავის ან ტყემლის მურაბას ვანილს, ვანილს ხომ მხოლოდ ატმის მურაბაში იყენებენ სხვა ქალები... საავადმყოფოს დერეფანში, სამზარეულოს წინ, შეფიქრიანებული დავდივარ და, ალბათ, გამვლელებს ვაშინებ. ვგრძნობ, ეს თეთრი ხალათი და ჩემი ღრმად ჩაფიქრებული გამოხედვა სრულებით არ ეხამება ერთმანეთს, მაგრამ ფიქრები, ფიქრები... ასე იცის ნაცნობმა სუნმა – მოგონებებს აგიშ-

ლის და შორს, შორს გაგიყვანს, ღრმა ბავშვობაში. დღეს პირველი დამოუკიდებელი ოპერაცია მაქვს, მე კი ხალხით სავსე დერეფანში, სრულიად არასაქმიანი გამომეტყველებით, ბოლთას ვცემ და ქლიავისა თუ ტყემლის მურაბასა და ბებიაჩემზე ვფიქრობ.

ქალაქელი ქალი იყო ბებიაჩემი – მუსიკოსი. საშინლად სწყინდა, როცა მუსიკის მასწავლებლად მოიხსენიებდნენ. ცხოვრებამ მოიტანა, რომ დიდ ოცნებებზე უარი ეთქვა და უწესო ბავშვებისთვის მუსიკა ესწავლებინა. მაინც უყვარდა თავისი საქმე. შავი, პრიალა როიალის წინ ლამაზად გამართული, თვალებს ხუჭავდა ხოლმე გრაციოზულად აიღებდა კლავიშებიდან ხელს, წამოდგებოდა და უხილავ აუდიტორიას ღიმილით უკრავდა თავს; ყვავილებსაც უხვად იღებდა (ხელების მოძრაობაზე ვატყობდი); მერე მოსასხამის ჯიბიდან საჩქაროდ ამოიღებდა მაქმანებიან ცხვირსახოცს და უხმოდ გადიოდა თავის ოთახში.

მე მაშინ პატარა ვიყავი და ეს სანახაობა სასაცილოდ მეჩვენებოდა. წლების შემდეგ ვიგრძენი, რომ ეს უპუბლიკო, ეს თვალდახუჭული კონცერტები სულაც არ იყო სასაცილო და ცრემლები მადგებოდა ბებიაჩემის უხმო აპლოდისმენტების გახსენებაზეც კი.

თორმეტი წლისამ მუსიკაზე შესვლა მოვითხოვე. როცა ჩემი მშობლები ეყრებოდნენ, ბებიაჩემთან ცხოვრება გადავწყვიტე და არა რომელიმე მშობელთან. ხელი არც ერთს არ შეუშლია, პირიქით, მგონი, სიხარულით დამთანხმდნენ და ბებიაჩემის სახლში, ქობულეთის ქუჩაზე, პატარა ოთახი გამომითავისუფლეს. ბებიაჩემი ჩემი გადასვლის წინააღმდეგი იყო. „მე ვერ მოგივლი, მე მხოლოდ მუსიკა ვიცი, სხვა არაფერი. აირჩიე დედა, გოგოებს დედა უნდა ჰყავდეთ, დედებთან უნდა იზრდებოდნენ“, – მეუბნებოდა და თვალს მარიდებდა, რომ მის გამოხედვაში არ მეგრძნო, რა ბედნიერი იყო ჩემი იქ ყოფნით. მე ზურგის მხრიდან ვეხვეოდი და ვეუბნებოდი:

– ბე, რომ დაბერდები, შენი მაქმანებიანი ცხვირსახოცები ვისი გახდება?

– რა, სიბერეში ცხვირსახოცი აღარ სჭირდებათ?! – მკაცრად მეტყოდა და სახელოში შემალავდა ლამაზად დაქარგულ, ჰაერზე უფრო მსუბუქ ცხვირსახოცს.

– არა, ბე, სულ რომ დაბერდები, აი, რომ... მოკვდები, – ეშმაკურად შევღიმებდი.

ბებიაჩემი უცებ გაითავისუფლებდა თავს ჩემი აბეზარი მკლავებისგან და მკაცრი ტონით მიპასუხებდა:

– საფლავში ჩამაყოლეთ! უკლებლივ ყველა! გასაგებია?

– რატო, ბე, იქაც სულ უნდა იტირო? – ვეტყოდი და როიალის სკამზე უსწრაფესად შემოვბზრიალდებოდი.

სკამზე ბზრიალი და მისი მტირალა ხასიათისთვის ხაზის გასმა ბებიაჩემს აცოფებდა, მაგრამ გაცოფებული კიდევ უფრო მეტად მიყვარდა. ჩემი ტოლი მეგონა იმ დროს, თითქოს დედოფალა არ ვათხოვე და გამებუტა.

დილაობით ძალიან ჯავრობდა ხოლმე ბებიაჩემი.

– რა გაჭამო, მითხარი, რა გაგიხარდება?

მე არ მინდოდა ჭამა, თანაც ბებიაჩემს საჭმელი არასდროს გამოსდიოდა ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. ხან დაუმლაშდებოდა, ხან, პირიქით, დააკლებდა, ხან ძირი მიეწვებოდა, ხანაც სანახევროდ უმი გამოუვიდოდა... მერე დაჯდებოდა და ტიროდა. მე კი ვეფერებოდი და მისი საძინებლის კამოდის ზედა უჯრიდან მაქმანიანი ცხვირსახოცები გამომქონდა... და ვაგროვებდი ბებიაჩემის ლამაზ ცრემლებს.

– არ იტირო, ბე, გემრიელია. უბრალოდ, მე არ მიყვარს ჭამა. ხო იცი, ბე, ჩემი ამბავი... წამო, მურაბა გავხსნათ.

– რომელი გინდა? – წამსვე გახალისდებოდა.

– ატმის მინდა, ვანილიანი.

ჩავიდოდი სარდაფში, თვალს ჩავაყოლებდი ლამაზად გამწკრივებულ ქილებს და თან დავითვლიდი, რამდენი ტკბილი დღე, რამდენი ვანილისსურნელიანი დღე მქონდა დარჩენილი. მეგონა, რომ, როცა ეს ქილები ამოიწურებოდა, ბებიაჩემიც წავიდოდა. შიშით ვითვლიდი დარჩენილ დღეებს, მაგრამ ზაფხულობით კიდევ ბევრი ქარვისა და ლალისფრად მოელვარე ქილა ემატებოდა ძველი ხის თაროს და სიმძიმისგან იზნიქებოდა.

ავდგებოდით ზაფხულის დილას, გავიქცეოდით სოფლის ავტობუსის დასახვედრად, რომელსაც ბებიაჩემის დის გამოგზავნილი სულ ნარჩევი ხილი ჩამოჰქონდა; ავიკიდებდით სავსე კალათებს, გზად – ტრამვაიში – ბებიაჩემი დის წერილებს კითხულობდა და არასოდეს მიმხელდა, რას იწერებოდა სოფლიდან გამწყრალი და. მე მაინც ვიცოდი, ქმართან დაშორებას ისევ ვერ პატიობდა უფროსი, სულ მთლად თეთრი და, სულ მთლად ოჯახის ქალი. მათ ახალგაზრდობაში ქმრებს არ ეყრებოდნენ, მით უფრო, ღალატის გამო. ბებიაჩემმა არ აპატია და გაეყარა. სოფელში ვეღარ ჩამოხვალო, დას უთქვამს და აუსრულებია კიდეც. მთელი ათწლეულები ენატრებოდა ბებიაჩემს ბავშვობის სახლი, მაგრამ აღარასდროს ჩასულა. ხანდახან და ჩამოაკითხავდა, კაბების სიგრძეს შეუსწორებდა, პომადებსა და სუნამოებს ავად გადაათვალიერებდა, როიალს ზღურბლიდანვე შეუთვლიდა წყევლა-კრულვას, თითქოს მის ნატიფ კლავიშებს აბრალებდა უმცროსი დის შერცხვენილ მარტოობას. „ქმარს ყველაფერი უნდა აპატიო, თუ კაი ქალის სახელი შენთვის რამეს ნიშნავს," – მეტყოდა და ისე წავიდოდა, თითქოს ბოლოჯერ გვხედავდა.

ხილის გადარჩევა-გარეცხვისა და დაშაქვრის შემდეგ იწყებოდა ჩვენს სახლში ნამდვილი ზღაპარი. ვხედავდი, როგორ იქცეოდა ჯადოქრად მხოლიდ მუსიკის და სხვა არაფრის მცოდნე ბებიაჩემი. ჭრელ წინსაფარს აიფარებდა, ლამაზჩიტებიან თავშალს წაიკრავდა და ქურაზე შემოდგმული ჯადოსნური თასიდან საოცარ სურნელს დაღვრიდა. ხის კოვზი ისე ეჭირა, როგორც დიდ მაესტროს და თან ამბობდა:

– გახსოვდეს, მარიანა, ვანილი არის გემოს მუსიკა და, როგორც ყველაფერს ცხოვრებაში აქვს თავისი მელოდია, ისეთ მელოდიად უნდა გასდევდეს ყველა ტკბილეულს ვანილის გემო, ზოგს მეტად, ზოგს – ნაკლებად, ზოგს, საერთოდ რომ ვერ იგრძნობ, ისე, მაგრამ

მაინც სადღაც, ენის რომელიღაც ერთ წერტილში, გემოს ერთმა რეცეპტორმა რომ იგრძნოს... თან ძველებურ ფირსაკრავზე რომელიმე უეჭველად ლამაზ მელოდიას ამღერებდა; ხის კოვზით გრაციოზულად ხდიდა მურაბას ზედაპირზე მოკიდებულ ქაფს, დროდადრო თეთრ თეფშზე გადმოიღებდა, შუქზე გახედავდა, ფერს შეამოწმებდა, მოეწონებოდა, გააგრილებდა და ლამაზ ქილებში ჩამოასხამდა. თავსახურებს მაქმანებსა და ლენტებს შეაბამდა და მე ვგრძნობდი, რომ ამ დროს ის ისევე ბედნიერი იყო, როგორიც იქნებოდა დიდ სცენაზე, ორკესტრის გვერდით, როიალთან, ლამაზ საღამოს კაბაში აპლოდისმენტებამდე წამის მეასედით ადრე, მდუმარების წამს. სხვა არაფრის კეთება არ ეხერხებოდა ბებიაჩემს, მაგრამ მურაბა... ო, იმ მურაბის გემო, იმ მურაბის სურნელი, ნაზი მუსიკა, ნიავის მსუბუქი წამობერვა, თვალების მილულვა და გარინდება...

ვფიქრობდი, მაინც რა იყო ეს გემო... ახლა ვხვდები, ბებიაჩემის აუხდენელი ოცნებების გემო ჰქონდა მის მურაბებს, მისი ალქიმია, მისი ოქროდ და ქარვად ჩამდნარი სიტკბო გზას მიხსნიდა ჩემი ოცნებებისკენ.

– ბე, მე მუსიკოსი ვერ გამოვალ. ექიმი მინდა ვიყო. შენ ხომ არ გეწყინება, ჩემო ტკბილო ბე? – ვუთხარი ერთ დღესაც, თექვსმეტი წელი რომ მისრულდებოდა და სკოლის გამოსაშვები საღამოსთვის შოპენის ვალსს რომ ვამზადებდი.

– შენ, შენი ბედნიერება უნდა იპოვო, მარიანა. მთავარია, არ იყო მარტო.

– სანამ შენ მყავხარ, მარტო არ ვიქნები, ბე.

– საკუთარი თავის პოვნა უკვე ნიშნავს, რომ მარტო არ ხარ. იპოვე საკუთარი თავი, მარიანა. მე დიდხანს ვეღარ გეყოლები, მაგრამ შენ ნუ შეგეშინდება. აი, გაზრდილ და ლამაზ გოგოს გტოვებ, – მითხრა და თვალი ვეღარ გამისწორა.

ავად გამხდარა საწყალი ბებიაჩემი. დიდი ხნის წინ შეუნიშნავს და არავისთვის უთქვამს.

მერე, მე რომ ვნახე მისი საწყალი ძუძუები, მისი გაქვავებული, დაწყლულებული ძუძუები, მეც გავქვავდი. დიდხანს გონებიდან არ ამომდიოდა მისი დახრილი, ტკივილიანი თვალები.

ფული არ გვქონდა. როიალი გავყიდეთ, რომ ოპერაცია გაგვეკეთებინა. ექიმები შფოთავდნენ და თავს სინანულით აქნევდნენ, უკვირდათ კიბო ორივე ძუძუზე და ბებიაჩემის არაადამიანური ტკივილების ატანის საოცარი უნარი.

სახლში დაბრუნება ერთი სიკვდილი იყო. როიალის ადგილას აღარაფერი იდგა. იმ ადგილისგან, მთელი დღეები, ზურგშექცევით იჯდა მკერდდაბინტული და ხელებშეკრული ბებიაჩემი. ვეღარ მართავდა უმაყურებლო კონცერტებს და ვეღარც ჯადოსნურ მურაბებს ადუღებდა. ხუთი მტკივნეული თვე გაიარა ფიქრსა და ცრემლებში და ახალ წლამდე ორი დღით ადრე დამტოვა მძინარემ. ასეთი სიკვდილი უნდოდა სწორედ, – „დავიძინო და აღარ გავიღვიძოო“, – ხშირად ამბობდა და, მართლაც, გარდაცვალებას ჰგავდა მისი ყოველი დაძინება. გულზე დაიკრეფდა შეშუპებულ ხელებს და ყოველღამ მზად იყო სიკვდილისთვის.

მახსოვს მისი პანაშვიდები, მისი სევდიანი პანაშვიდები და მეზობლის ქალი, რომელმაც თქვა, რომ კარგია, როიალი რომ გავყიდეთ და მისი სხვა ოთახში გახრიგინება არ დაგვჭირდა კუბოსთვის ადგილის გამოსათავისუფლებლად... და მახსოვს ის ტკივილი, ენა რომ ვერ იტყვის.

დავდივარ წინ და უკან საავადმყოფოს თეთრ დერეფანში და ბებიაჩემის მოდუღებული მურაბის სუნს ვგრძნობ. ამ საავადმყოფოში მოაჭრეს ბებიაჩემს ძუძუები, დედაჩემის გამზრდელი

ძუძუები. დღეს მე ვაჭრი სხვა ქალს ძუძუებს და თვალებიდან ბებიაჩემის გაკეთებული მურაბის წვენი მომდის ცრემლებად.

მესამე იოსები

– რა ქენი, მოუხერხე რამე?

– ააარა, ძმაო, კიარა და, ისა, ირაკლი ბიძია, მე მაგ ქალთან მეორედ მიმსვლელი აღარ ვარ! – ავტომობილში ორნი ისხდნენ, ერთი ახალგაზრდა და მეორე მხცოვანი, ერთ ღერ სიგარეტს რიგრიგობით ეწეოდნენ ფიქრებში ღრმად წასული თვალებით და აღარ ლაპარაკობდნენ ანკი რაღა იყო სალაპარაკო. ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მათი საქმე კი – წასული. ხვალვე მოუწევდათ გათავისუფლებაზე განცხადების დაწერა, რადგან მისია ვერ შეასრულეს. ორივე დარდობდა. სიგარეტი კი სწრაფად იწვებოდა, ბოლო ღერი სიგარეტი. მოუწევდათ უკაპიკოდ დარჩენა, შვილების, შვილიშვილების, ცოლების კმაყოფაზე. ჩაიწვა ის ბოლო ღერი. ირაკლიმ ნამწვი თითებით მოსრისა, ხელში დაატრიალა, კარგად დაყნოსა და, მონაცრისფრო საღამოს ჰაერში გატყორცნილს, ბეტონზე დავარდნამდე გააყოლა დაჟინებული მზერა, დაემშვიდობა.

წავიდნენ.

– არ მინდა, ბიჭო, აგერ გამიჩერე და ჩემით წავალ.

– მოიცა, რა, ირაკლი ბიძია, ბოლო სამუშაო დღე გვაქვს ერთად და შუა გზაში ჩამოგსვა?!

– იქნება რამე კიდე გვეცადა, ა, ბიჭო?

– რაღა ვცადოთ, ირაკლი ბიძია, იარაღით ხო არ შევაშინებ, ცოდვაა ეგ საწყალი, – თქვა ახალგაზრდამ და შუქნიშანზე ბოლო წამსღა დაამუხრუჭა ავტომანქანა.

– კი, ცოდვაა, ეგ ჩემისა, მართლა ცოდვაა, ნახევრად ბრმაა და თან ძაან ბებერი, მაგრამ ჩვენ ხო იმას ვთხოვთ, რაც სწორია? ჩვენ ხო თავისას არაფერს არ ვართმევთ?

ახალგაზრდამ მცირეოდენი პაუზის შემდეგ გაუბედავად თქვა:

– რა ვიცი, ირაკლი ბიძია, ხანდახან მეჩვენება, რო ზუსტადაც ვართმევთ და მომკალი ახლა, თუ გინდა, – თქვა და ხმა აუკანკალდა. უკნიდან გაბმული სიგნალები შემოესმათ, მწვანე ანთებულიყო. ახალგაზრდამ ფანჯრიდან ხელი გადაყო, რაღაც ანიშნა სხვა მძღოლებს და მანქანა გზის სავალი ნაწილიდან ნერვიულად გადაიყვანა.

– მისი წერილი თუ წაიკითხე, ირაკლი ბიძია?

– ვიცი, რაც წერია მაგ წერილში.

– არა, პირადად თუ წაიკითხე? სიტყვა-სიტყვით თუ წაიკითხე, რას წერს, როგორ წერს, რას ყვება? – და უბიდან წიგნაკში ჩაწყობილი ოთხად გაკეცილი ყვითელი პერგამენტის ფურცლები ამოაძვრინა.

– წაიკითხე, ირაკლი ბიძია, აგერ, ჩემ თვალწინ წაიკითხე! ხმამაღლა!

– სათვალე დამრჩა, ბიჭო, საკითხავი და ვერ წავიკითხავ. გამატანე, სახლში გადავხედავ.

– მე ის გითხარი, ირაკლი ბიძია, გადახედე-მეთქი? მისმინე, მე წაგიკითხავ და ამის მერე შენ მითხარი, რო ცუდი პოლიციელი ვარ და იმიტო ვერ გავაკეთე საქმე.

შეწინააღმდეგებას აზრი არ ჰქონდა.

მანქანაში სინათლე აანთო და კითხვას შეუდგა.

„მივმართავ ქალბატონ კულტურის მინისტრს!

გამარჯობა, ქალბატონო მინისტრო. მე ვარ ვენერა შველიძე. მე ვარ ხუთი შვილის, ცხრა შვილიშვილის და თექვსმეტი შვილთაშვილის მშობელი. მე ვარ ქვრივი. ქმარი რო მომიკვდა, ვიყავ ოცდათორმეტი წლისა. დავრჩი წვრილშვილით, ძუძუთა ბავშვით. არ შევშინდი

და ქვეყანას ყველა შვილი გავუზარდე. კი უნდოდათ ჩემი წაყვანა, არ გავყე. ვიწვალე, ვიწვალე, გამჩენმა ღმერთმა ნუ გაწვალოთ, ქალბატონო კულტურის მინისტრო. ხო ქალი ხართ? ასე მითხრეს, რო ქალი ხართ. მანდ ვიყავი მოსული, არც გვარი მითხრეს თქვენი, არც სახელი. ვიღაც გოგო-ბიჭები შემხვდნენ, გამიცინეს და მითხრეს, არ არი საჭირო, ისე დაწერე, ბებოო.

სანამდის გავთხოვდებოდი, იმ ამბებსაც გეტყვით:

მე გავიზარდე თბილისში, ბავშვთა სახლში, სადაც ჩამომიყვანა ერთმა კეთილმა კაცმა, რომელმაც სამი წლისა ტყის შუაგულში მიპოვა სულ მარტო დაგდებული. მახსოვს ყველაფერი, როგორ დამტოვა მშობელმა დედამ, მაგრამ ვერ გამიხსენებია, ისეთი რა დავუშავე, რო ასე მომექცა. აპრილის თვეში წამიყვანა ტყეში. ვიარეთ, ვიარეთ, არც არაფერი დაგვიკრეფია, ჩქარა მივყავდი; ფეხები მიცურავდა ხის პრიალა ფესვებზე, წავიფორხილებდი, წავიქცეოდი, ჩქარა ამაყენებდა. მერე მითხრა აქ დაჯექიო და კუნძზე დამსვა. თვალები დახუჭეო, დამალობანა ვითამაშოთო. მე ტირილი დავიწყე, არ მინდა დამალობანა, არ დამემალო-მეთქი. მიყვირა, მაშინ მე ყვავილებს დავკრეფავ და ახლავე დავბრუნდებიო. შენ მანამდე რამე სიმღერა იმღერეო. არც დაელოდა ჩემს დაწყნარებას. ასე აბღავლებული დამტოვა და ბოლო სიტყვა იყო, ფეხი არ მოიცვალო, თორე სახლში მიგიყვან და მაგრად გცემო.

მე თვალებზე ხელები ავიფარე. ვეღარ გამეგო, დამალობანას ვთამაშობდით თუ არა. იმ კუნძზე ვიჯექი, ფეხებს ვაქანავებდი და სიმღერებს ვმღეროდი. ბევრი სიმღერა ვიმღერე და, რო დაღამდა და, რო ძალიან მომშივდა პური, მაშინღა მივხვდი, დედაჩემი აღარ მოვიდოდა. ვიტირე დილამდე. კიდევ კარგი და ღმერთს მადლობა, აპრილი იყო და დიდად არ ციოდა, არც ნადირი დამსხმია თავს. დილით ხელახლა გამახსენდა ყველაფერი და იმოდენა ტყეში სირბილი დავიწყე. დავრბოდი, ვყვიროდი, ხეებს ვეხუტებოდი, ვტიროდი, პური მშიოდა. იმ კაცმა ჩაძინებული მიპოვა, მოკუნტული, ზურგზე შემისვა და თავის ცხრა შვილთან მიმიყვანა. ცოლმა უთხრა, ცოტა ხანს გვყავდეს, მოვაღონივროთ, ეგებ ვინმეც ეძებდეს, თუ არავინ გამოჩნდა, წაიყვანე და ჩააბარეო.

კარგი ხალხი იყო. ერთი წელი შვილივით მიპატრონეს. არავინ მოსულა ჩემს წასაყვანად. მე, ასე პატარამ, ვიცოდი, არავინ მოვიდოდა, მაგრამ მაინც მინდოდა დედა. ვტიროდი ხოლმე ღამე და იმ ღამეებში ნინა, ჩემი დედობილი, ჩემ გვერდით იძინებდა. მერე გაუჭირდათ და ჩამაბარეს. მე მაინც ვემადლიერები. კარგი ხალხი იყო, მხეცის საგლეჯად კი არ დამტოვეს, თბილისს ჩამომიყვანეს და თვალებცრემლიანებმა დამაბინავეს. ცხრავე ბალღი გამომეტირა, მაგრამ, აბა, იმათ ხო არ ჩააბარებდნენ და მე დამიტოვდნენ?!. უპატრონოთა სახლში შევიტყვე, რომ თვალის დაავადება მქონდა და მალე სინათლეს დავკარგავდი. ის იყო, ათი წლისა გავხდი. მას შემდეგ თანდათან მაკლდებოდა. ბოლოს მარტო ლანდებსღა ვხედავდი. უსინათლოთა სკოლაში გადამიყვანეს. იქ ვისწავლე ხელსაქმე, ბნელში სიარული, ბრაილის დამწერლობა; იქ მყვანდა მეგობრები, იქ გავიცანი ჩემი ქმარი, ცხონებული იოსები. კარგი ვაშკაცი იყო. ბევრს ვმუშაობდით და ერთხელაც გავიგეთ, პეტერბურგიდან ხირურგი ჩამოდიოდა და ხალხს თვალებს უხელდა. ჩემმა იოსებმა, რაც კი ფული გვქონდა, მოჰკიდა ხელი და ოპერაცია გამიკეთა. მომატყუილა, დღეს შენ, ხვალ კიდე – მეო. თურმე სულ ბოლო კაპიკი დამახარჯა და თვალი ამიხილა, თვითონ დამირჩა ისევ ისე, ცალი თვალით ბრმა, ცალით ლანდებსღა ხედავდა. მე ყველაფერი

თავიდან დავინახე და თავიდან შევიყვარე სიცოცხლე. ჩემი იოსები სახლში დავსვი, აღარ ვამუშავებდი, დღედაღამ ვმუშაობდი და ასე ვცდილობდი მადლობის თქმას. ხუთი შვილი გვეყოლა. ხუთივე კარგები, საღები. ბოლო გოგო, თამუნა ძუძუზე მყვანდა, ჩემი იოსები რო გზაზე მომიკლეს ყაჩაღებმა და, რო უნახავთ, არაფერი ჰქონდა წასართმევი, მკვდარი უწამებიათ და უწვალებიათ, მის სულს ვენაცვალე.

რო დავქვრივდი, დავავლე ხელი ბალღებსა და იოსების მამულში დავბრუნდი, რომელიც არის ვანში. იქ დამეზარდნენ ყველანი კარგები. კარგი განათლება მივეცი – უფროსი მეღვინე მყავს, ზურაბი, მერე ორი გოგო, ექიმები, მერე ღვდელი სიმეონი, ჩემი მოძღვარი და ჩემი შვილი, დედა ენაცვალოს და სულ ბოლო თამუნა, ჩემი ჯავრისგან გამშრალი ძუძუებით გამოზრდილი – სკოლის მასწავლებელი. ყველა თბილისს მყვანან. აქ დავათხოვე და დავაცოლშვილე, შვილიშვილებიცა და იმათი შვილებიც სულ კარგები, ლამაზები. კარგი თვალები გამოადგათ, ჯვარი ეწეროთ. ერთი შვილთაშვილი მყავს იოსები, იმის იმედი მაქვს, იმისი ნათელი თვალებისა, საარტისტოზე სწავლობს. ისეთია, გოგოებს სულ ელეთმელეთს მართებს. ერთხელ თბილისს ვიყავ და წამიყვანეს მაგის თეატრზე და მე კი ვერაფერი გავიგე, მაგრამ იოსები ლამაზად არტისტობდა; რას ცეკვავდა, რას მღეროდა, რა ხმით ლაპარაკობდა... ჩემი იოსები გამიცოცხლა.

ქალბატონო კულტურის მინისტრო, მე შვილიშვილები რო დავაზრდევინე შვილებსა, ვანში დავბრუნდი და დავიწყე მარტო ცხოვრება. არავინ შევაწუხე, შაოსანი ქალი რა საყურებელია ყოველდღე...

მერე იყო და შევიტყე, თვალებს ისევ ვკარგავდი. ექიმთან ჩამოვედი, გლაუკომაა. ვიწვეთე, არაფერი მიშველა. ძვირიანი იყო წამლები, ქალბატონო კულტურის მინისტრო. ვითხოვე დახმარება თავრობისგან. არავინ მე არ დამეხმარა. ვანის მერიიდან გამომაგდეს, ჯანდაცვიდანაც გამომაგდეს. ვერ ჩავიწვეთე წვეთები. ჩემი პენსია მარტო მაგეებზე არ მეყოფოდა. შვილები არ შევაწუხე. თავიდან დავკარგე თვალები, ქალბატონო, შენ გენაცვალე, კულტურის მინისტრო. მარტო შუაშიღა ვხედავ და ისიც მალე აღარ იქნებაო. ჩემმა შვილიშვილებმა რო გაიგეს, კიდე ოპერაცია გამიკეთეს და ახლა წვეთები აღარ მჭირდება. დავდივარ ასე, ნახევრად ბნელში, ვუვლი ბოსტანს, ორ ძროხას. შიმშილით არა მშია, მე ვინ მომაშიებს, მაგრამ აღარ მინდა მე ცხოვრება. დიდხანს ვიცხოვრე, ბევრი ვნახე. ღმერთს ვუყვარდი, დედაჩემს – არა. მე კიდე მერჩივნა, რო დედასა ვყვარებოდი.

ახლა, ჩემო მინისტრო, ჩემი იოსების ქორწილია. კარგი ბალღი უპოვნია – ლამაზი, მოხდენილი, ეშხიანი. ერთხელაც ვხედავ, მოდის ვინმე ბიჭურად გაკრეჭილი გოგო ჩემს ჭისკარზე. მეო, ქალბატონო ვენერაო, ევენტ მენეჯერი გახლავარო და შენი ეზო ქორწილისთვის უნდა მოვაწყოო. მე ვეკითხები, ვისი ქორწილისთვინ, შენი ჭირიმე, ბებო გენაცვალოს. შენი შვილიშვილი იოსებისაო. შვილთაშვილია ეგა-მეთქი. აბაო, ქალბატონო ვენერა, თქვენ ყოფილხართ ნამდვილი გმირი ქალიო. მე ეს სიტყვები გამიხარდა და შემოვუშვი, რო ევენტი გაეკეთებინა. დაათვარიელა ეზო-კარი. ყველაფერი ლამაზიაო. მაშმეთქი, მაგრამა აი, ესაო, ეს კაქტუსიო აქ არ უნდა იყოსო, ამოვათხრევინებო. ჩემი აგავა იყო. არ ამოვათხრეინე. მიწა გავჭრა ჯერა და ხვალ მოდი და გადმოიტანე-მეთქი. ავდექი დილიდანა. გავჭერი სხვა მხარეს მიწა, ბარს ძლივსღა ვეჭიდებოდი, მაგრამ მაინცა ვთხრიდი. გავიხედე და, რაც მე დავინახე, ეს უკვე ჩემზე კარგათ მოგეხსენებათ, ჩემო

ქალბატონო. მე მასეთი ლამაზი არაფერი მინახავს და ეზოში კი მქონია დაფლული ამდენი საუკუნე. მე ერთსა გთხოვ, ჩემო კარგო მინისტრო: ქალი ქალად აღარა ვარ, თვალი თვალად აღარ შემრჩა, მე რად უნდა გამოვიყენო ეგ კომპენსაცია, პური არა მშია, მეტი რაღა უნდა მინდოდეს მე ბებერსა...

ორ კვირაში ჩემი იოსების, ჩემი თვალის შერჩენილი სინათლის ქორწილია. მომეცი ჩემს ეზოში ნაპოვნი გვირგვინი, დავიხურავ ქორწილში, შენი ჭირიმე, არაფერს დავუშავებ, ძალიან გავუფრთხილდები; მექნება ის დღე, ერთს ვიცეკვებ, თავს მოვიწონებ, გოგო-ბიჭებს ვახალისებ და ეგებ მეორე დღეს აღარცა ვიყო, შენი ჭირიმე. მიყავი სიკეთე და მომეცი ის ერთი დღე ჩემი იოსების მიწაში ნაპოვნი გვირგვინი. ფული დაიტოვე, არ გეკითხები, რამდენია, სულ შენ დაიტოვე, მომყიდე ერთი დღით ჩემი გვირგვინი. ჩემი იოსებისთვის მე დედოფალი ვიყავ. ეგებ დედოფლადაც წავიდე მეორ-მესამე დღეს.

პატივისცემით ვენერა შველიძე“.

იოსებმა წერილის კითხვა დაასრულა, ლამაზად შეკრეჭილ წითურ წვერებში ცრემლების ზღვა ჩაჰგუბებოდა და ირაკლი ბიძიას მავედრებელი თვალებით უყურებდა.

– ამისთვის ჩამოვიდა ეს მოხუცი ქალი. მატარებლით ჩამოვიდა, ირაკლი ბიძია, მინისტრისთვის ეს წერილი უნდა მიეცა. ეგებ დავეხმაროთ. მე მივუტან მინისტრს, მე შევალ და ვაჩვენებ. იოსები მაინც არ დაგერქმია ჩემთვის, ირაკლი ბიძია, ხო შენ დამარქვი... ვაჩუქოთ ერთი ბედნიერი დღე ჩვენ, ჩვენ ორმა. ჩემს კაცობას გეფიცები, ჩემს ნუციკოს გეფიცები, ესაა სწორი. მუზეუმში იქნება აწი ის გვირგვინი, აქამდე ხო სულ მიწაში იყო და...

ირაკლი იოსებს და უთხრა გადაეხვია:

– ჩემი და ყველაზე მაგარი ქალია, შენ რომ გაგზარდა!

– ჩათვალე, რომ შენს დას ადგამ იმ გვირგვინს.

– ჩავთვლი! – ჩუმად თქვა ირაკლიმ და ცხვირის გვერდითა ნაოჭებზე ერთმანეთის მიყოლებით გადმოუგორდა დიდი ხნის ნაგროვები ცრემლი.

ღამე იყო უკვე.

მეორე დილით ბატონ კულტურის მინისტრთან ახალგაზრდა იოსები შევიდა. ირაკლი მოუსვენრად ელოდა გარეთ და უსიგარეტო თითები მალ-მალე მიჰქონდა ტუჩებთან.

გამოვიდა იოსები და სანამ ქუჩაში არ გავიდნენ, ირაკლიმ მის სახეზე ემოცია ვერ ამოიკითხა. უცებ იოსებმა მაგრად შემოხვია ხელები, ჰაერში ასწია და დააბზრიალა.

ირაკლი დაიბნა და ქალივით დაიწყო ფეხების ქნევა, მაგრამ მერე სიხარულმა სძლია და დანებდა, როგორც ქალები ნებდებიან ხოლმე.

– დამსვი, შე მამაძაღლო, ყველა ჩვენ გვიყურებს! – უთხრა ბოლოს.

– წამო, ირაკლი ბიძია, დავლიოთ, ნუციკოს დაბადების დღის ნასუფრალზე გეპატიჟები.

წავიდნენ.

ორ კვირაში ვანის გარეუბანში, ძველი ხის სახლის ლამაზ ეზოში, ყვავილების თოვასა და ლამაზი მუსიკის ხმებში, სუფრასთან ისხდა ოთხი თაობა. დიდი ჟრიამული იდგა ნეფე-პატარძლის ირგვლივ და თბილისელ სტუმრებს შორის საპატიო ადგილას მჯდარ ქალბატონ კულტურის მინისტრს სახეზე ღიმილი არ შორდებოდა, ისე ძალიან მოსწონდა ლურჯ კაბასა და კაშკაშა ოქროს გვირგვინში გაპრანჭული ნამდვილი დედოფალი ვენერა.



თამარ გელიტაშვილი

„გოდების კედელი“ – ტკივილისა და რწმენის კავკასიური საგა

„ვაება-ვაებისა!..“

რად არ გებრალვის, ადამიანო, მოყვასი შენი?! – სიცოცხლეს ართმევ! სამშობლოს ართმევ!

რად არ გათრთოლებს მათი ბედი, ვის მტრადაც იქეც! რად არა გბორკავს სამშობლოწართმეული კაცის ხვედრი?!

რად ძალუძს შენს სასთუმალს აიტანოს შენი მშვიდი ფშვინვა და ეს მაშინ, როცა შენგან შორს, კავკასიონის მთებს მიღმა, ათი ათასობით ადამიანს გაუფრთხე ძილი და, კერამორღვეულებს, დღენიადაგ უწივით ყურებში თავიანთი საცხოვრისის ცეცხლის ტკრციალის ხმა, იმ ცეცხლისა, საკუთარი ხელებით რომ ააბრიალე და ერთ დიდ, გავარვარებულ თონედ აქციე უთვალავი ქალაქი თუ სოფელი; იმ ცეცხლისა, გავეშებული ენით რომ ლოკავდა კავკასიას, შენ კი – სულიერად დამჭლეევებული, ზედ ცოდვილ სხეულს ითბობდი და ასპიტივით გაციებულ გულ-გვამს უფიცხებდი; იმ ცეცხლისა, უამრავ ბავშვს რომ ჩაუფერფლ-ჩაუნახშირე შენ მიერ ბალავარიანად დანგრეული ბავშვობა, შურისძიების წყურვილი რომ ასწავლე და სიძულვილის მარცვალი ჩაუგდე აღმოსაცენებლად, სიცოცხლის საზრისი რომ მოუსპე და გულში ბალღამისა და შხამის ვეება ტბორი დაუტოვე!..

„ვაება-ვაებისა!..“

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან შემორჩენილი არმაზის ბილინგვასავით გოდებენ გიორგი სოსიაშვილის რომანის – „გოდების კედლის“ – პერსონაჟები. შეიძლება ითქვას, რომ ეს სქელტანიანი ნაწარმოები ერთი დიდი ამოკვნესაა ჩვენი უახლოესი ისტორიისა. იმდენად დიდი და მრავლისმთქმელია ეს კვნესა-ვაება, რომ მწერალს ამის გადმოსაცემად ერთი წიგნი არ ეყო, ერთმა ტომმა ვერ დაიტია ჩვენი და არა მარტო ჩვენი, ზოგადკავკასიური სატკივარი.

●

რამდენ მწერალს უწერია სამშობლოზე, რამდენს ამოუღია გულიდან ვარამი მამულისა და ლექსად თუ სიმღერად გარდაუქმნია... ქართველებს ბედად დაგვყვა ჩვენი ქვეყნის მარა-

დიული სატკივარი, მისი გამუდმებული ტორტმანი ქცილასა და ქარიბდას შორის. თითქოს ყველაფერი ვნახეთ, ყველაფერი წავიკითხეთ საქართველოში ბოლო დროს წარმოებული ომების შესახებ; ავად თუ კარგად, ტკივილებიც დავიამეთ, მაგრამ გიორგი სოსიაშვილის „გოდების კედელი“ გაცილებით ვრცელი და მასშტაბურია – ის მთელ კავკასიას მოიცავს. მწერალი, თავისი მამხილებელი პათოსით, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ისტორია შეცდომების დაშვებას არ გვაპატიობს.

რომანში აღწერილი თითოეული ფაქტი, თითოეული ამბავი თუ ეპიზოდი ისეთი ძალმოსილებით არის გაცოცხლებული, ძნელია, ერთმანეთისგან გაარჩიო სინამდვილე და მხატვრული გამონაგონი. ისეთი სიცხადით, ისეთი ხელშესახები ბუნებრიობით მიმდინარეობს თხრობა, თითქოს მკითხველიც, პერსონაჟებთან ერთად, ნაწარმოების ბინადარია და არა გარედამკვირვებელი; რომანის ყოველი მონაკვეთიდან ცხადად გაისმის ლიახვის ჭალების სუნთქვა და, რჩება განცდა, რომ ჩვენ, ყველა, იმ დიდი ტრაგედიის უშუალო მონაწილე ვართ, ხეობელებმა რომ განიცადეს.

ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა არ არის აგებული მხოლოდ ერთ კონკრეტულ ამბავზე, აქ ცხოველმყოფელ ინტერესს ფაბულათა მრავალფეროვნება განსაზღვავს, რაც, თავის მხრივ, რომანის მეორეულ პლანს წამოქმნის. მასში იმდენი ამბავია ერთად თავმოყრილი, მისი დიფერენციაცია რომ მოვინდომოთ, არაერთი მოთხრობა თუ ნოველა შეგვრჩება ხელთ, თავიანთი დამოუკიდებელი სიუჟეტებით. სწორედ ამბავთა სიმრავლით განიზომება „გოდების კედლის“ კომპოზიციური სირთულე. მწერალმა აფხაზეთის, ლიახვის ხეობის, ჩეჩენი ხალხის ტრაგედია ერთ საერთო იდეას თუ კონცეფციას დაუქვემდებარა, ერთ საერთო არქიტექტონიკურ ყალიბში ხატოვნად ჩამოასხა, საგულდაგულოდ შეკრა და ასე შეასხა ფრთები დასახულ ამოცანას – ჩვენამდე ცხადად მოეტანა საკუთარი მიწა-წყლის, სახლ-კარისა თუ ახლობლების გარეშე დარჩენილ ადამიანთა ენით აუწერელი ტრაგედია.

სადაც არ უნდა ხდებოდეს მოქმედება – ლიახვის აქეთ თუ იქით, აფხაზეთში, პანკისში, ჩეჩნეთსა თუ რუსეთში, ყველგან ერთი ვარამი დაჰყვებათ პერსონაჟებს, ყველას ერთი სატკივარი აერთიანებს – საერთო მტერი, რომლის მხეცურ, დაუნდობელ ქმედებას ერთადერთი ველური ინსტინქტი წარმართავს – კავკასიელთა სიძულვილი (!). საკუთარი ეროვნება და წარმომავლობა სასჯელად ექცათ კავკასიელებს. სწორედ ეს უდიდესი ტკვილი გამოსჭვივის გიორგი სოსიაშვილის ვრეცელი პროზაული ქმნილებიდან.

●

რომანის მთავარი გმირი ლიახვისპირელი ბაქარია – დაბადებიდან ტრაგიკული ბედის მქონე ბიჭი. დედ-მამით ობოლს მკაცრი პაპის ხელში მუდმივად თან სდევს ყოფიერების გაუნელებელი ტკივილი, საკუთარ „მე“ დაკარგულს ბავშობიდან აწუხებს პასუხგაუცემელი კითხვა – „ვინ ვარ მე?!“ ან „რისთვის გავჩნდი?!“ ბაქარს, რომლის მშობლებიც ავღანეთის ავადსახსენებელმა ომმა მოინელა, ვერ აუხსნია, რატომ ექცევა საკუთარი პაპა ასე მკაცრად, მაგრამ პაპამისი აბიათარი ბრძენი კაცია, რომელმაც ზუსტად იცის, რა სასტიკია ცხოვრება, როგორ დაუნდობლად ამოსდებს ჭანგს მის შვილიშვილს. ამიტომაც ცდილობს, ტკივილისა და ჭირის გამძლეობას შეაჩვიოს თავისი ერთადერთი მონაგარი, ერთადერთი იმედი და ნუგეში. ბაქარი ამას გვიან გაიაზრებს, მაშინ, როცა მარტო რჩება იმ პირდაფჩენილი ურჩხულის წინაშე, წუთისოფელი რომ დაურქმევიათ და,

ილიას ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, „ერთი ბეწო ხანს თუ თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

სიყმაწვილეში პაპის დარიგებებითა და შეგონებებით გაბრუებული ბაქარი დიდობაში აცნობიერებს წინაპრის სიტყვის ძალასა და მნიშვნელობას. „შენი დაბადება სიცოცხლის სესხია, რომელიც შენივე სიცოცხლით უნდა დაუბრუნო გამჩენს!“ – აბიათარის ეს აფორისტული გამონათქვამი ადამიანური ყოფიერების, მისი ცხოვრებისეული საზრისის მანიფესტია. ამიტომაც არის, რომ პაპის ხმა მისი სიკვდილის შემდეგ ბაქარს ყველგან და ყოველთვის, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, აჩრდილივით დაჰყვება, არასოდეს ტოვებს და უამრავი წინააღმდეგობის დაძლევაში ეხმარება. თუ კარგად დავუკვირდებით, ტექსტში წაშლილია ზღვარი პაპის ხმასა და შვილიშვილის შინაგან ძახილს შორის, რაც იმის მანიშნებელია, რომ ბაქარს, აბიათარის ხმით, საკუთარი ორეული სდევს თან, საკუთარი სინდისის ხმა კარნახობს, როგორ მოერიოს და გაფანტოს თავისი ცხოვრების გზაზე შავ ნისლად ჩამოწოლილი უბედურება.

სინდისის ხმა ავაზაკს არ აწუხებს, ეს მხოლოდ ზნესრული და ზნემაღალი ადამიანების ხვედრია. უზნეო, დემორალიზებული ადამიანი მდაბიო, ქვენა გრძნობებით მოქმედებს და სულ ეს არის მისი ხვედრითი წონა – ვერც თავისი შინაგანი ხმა და ვერც სხვისი აზრი მასზე გავლენას ვერ ახდენს, მაღალი ზნეობისა და მორალის მქონე კაცი კი გამუდმებით სინდისის კარნახით მოქმედებს. სწორედ ასეთი ახალგაზრდაა ბაქარი. ამიტომაც არასდროს ანებებს თავს თავისივე ორეული, რომელსაც საკუთარ თავგადასავალს უამბობს. ამას თავისი ახსნა აქვს – ისე ვერავინ ამხელს ადამიანს, როგორც თავისივე მეორე „მე“, ისე ვერავინ უბიძგებს ჭეშმარიტებისკენ, ოღონდ, როგორც ითქვა, ეს პროცესი აბიათარის ხმით ხორციელდება, იქიდან გამომდინარე, რომ ბაქარს პაპა ყველაზე ჭკვიან, ყველაზე დასაფასებელ ადამიანად მიაჩნია.

ღირსებით სავსე ბაქარს ყველაზე დიდი გაბოროტების ჟამსაც კი არ სურს კაცის კვლა, სინდისის ძახილი ამის უფლებას არ აძლევს. როგორც ყველა ნამდვილ ვაჟკაცს, მოსვენებას უკარგავს მეგობრების მკვლელების პოვნისა და მათზე შურისძიების წყურვილი; გზას უღობავს, ღირსეულად წარსდგეს გეგასა და ჯარაფის, აგრეთვე საკუთარი ოჯახის წევრების სულების წინაშე. არადა, მკვლელი ნამდვილად არ არის ბაქარი. ასე ისადგურებს მის არსებაში სულიერი ჭიდილი:

„რისთვის გამზარდა იმ ცხონებულმა პაპაჩემმა. რისთვის ვარსებობდი, რა იყო ჩემი ამქვეყნად მოსვლის მიზანი, ვერაფრით ამეხსნა, – ამბობს იგი, უფრო სწორად, საკუთარ ორეულს, საკუთარ შინაგან ხმას ესაუბრება.

ბაქარმა დაკარგა სულიერი წონასწორობა, არსებულმა სისასტიკემ მას მიწიერი საყრდენი გამოაცალა და შურისმაძიებელ კაცად აქცია. ამ დროს მასში ერთდროულად მიმდინარეობს ადამიანური ვნებების აფეთქებაცა და სულიერების პროცესიც, რა დროსაც მის არსებაში მკვიდრდება სინთეზი – ველური პირუტყვისა და ზეკაცისა. უაღრესად კეთილშობილ ადამიანში იძულებით აღვიძებენ სისხლმოწყურებულ მხეცს, თუმცა, ამ სულიერი ძვრების დროს, ბაქარში მაინც ქრისტიანული მორალი მძლავრობს – „არა კაც ჰკლა!“ და, როგორც გზააბნეული მრევლი, აღსარებასავით ამოთქვამს თავისი შინაგანი ტვირთის სიმძიმის ამბავს, თანაც ისე, როგორც ერთ გრძელ, ხანგრძლივ კვნესას ამოაყოლებს ხოლმე ადამიანი გულ-მუცელს.

როგორც ყოველთვის, ამ რომანშიც

გიორგი სოსიაშვილი სიტყვის მაგიას ფლობს და ბაქარის მხატვრულ სახეს, მის შინაგან ბუნებას ისე ხატოვნად, ისე ხელშესახებად აღწერს, თითქოს აგერ, ჩვენ წინ დგას სულდასერილი პერსონაჟი და ნატანჯი, შუბლზე ნაოჭებად გადაგლესილი დარდითა და ტკივილით გვიამბობს საკუთარ ტრაგედიას, რომელიც ორგანულად არის გადაწნული ზოგადეროვნულ, მეტიც, ზოგადკავკასიურ სატკივართან. ბაქარმა დაკარგა ღვთაებრივი რწმენა, ცხოვრების საზრისის დაკარგვამ კი მისი პიროვნება მარტოობის მწარე ნისლში გაახვია, მისი არსება სევდამ და უიმედობამ მოიცვა; ის დაიქანცა და გამოიფიტა. მის ყოფაში ფუნდამენტური აბსურდულობა ჩასახლდა. ამიტომაც ამბობს გულდათუთქული: „ასე მგონია, მეც დავმთავრდი!“

●

როგორც ითქვა, რომანში არაერთი ამბავია მოთხრობილი. შეუძლებელია, რომელიმე მათგანი უცრემლოდ წაიკითხო; შეუძლებელია, ნებისმიერმა მათგანმა არ შეგძრას. აქ ტრაგიკული ამბების მთელი ჯაჭვია, სადაც სიუჟეტები კინოკადრებივით ენაცვლება ერთმანეთს. ასე გგონია, რომ მრავალსერიან, მძაფრსიუჟეტიან ფილმს უყურებ, თითქოს ყველაფერი რეალობაში ხდება და გულში ლოცულობ, ყველაფერი კარგად დამთავრდესო. „გოდების კედელი“ ლიტერატურულად გარდაქმნილი მხატვრული ფილმია, ჩვენივე სინამდვილიდან აღებული რეალისტური ეპიზოდებით.

გარდა იმისა, რომ რომანის მთავარ თემას მაინც კავკასიაში რუსეთის მიერ წარმოებული სისხლისმღვრელი ომები წარმოადგენს, ნაწარმოები ქვეთემებით არის დატვირთული, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს მის სიუჟეტურ სირთულეს. აქ ყოველ ნაბიჯზე გხვდება ქვეყანაში გამეფებული უსამართლობა, ძლიერთა ამა სოფლისათა გაუგონარი თავგასულობა, რუსის ჯარსა თუ ციხეებში გაბატონებული სისასტიკე და ძალადობა, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს დამყარდა მაშინდელ საბჭოთა რესპუბლიკებში. ეს ის რეჟიმი იყო, რომელიც, ძაღლივით მიგდებული სიცოცხლის სანაცვლოდ, საკუთარი ქვეყნის მოღალატეებად აქცევდა თვით ყველაზე პატრიოტ და სინდისიერ ადამიანებსაც კი. ამის მაგალითია „გაკაკებეშნიკებული“ ბერი მაკარი, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნისას, უსამართლოდ ჩაგრული, იძულებით აქციეს მკვლელად, შემდეგ კი – ქვეყნის მოღალატედ. სინდისიერმა კაცმა ვერ გაუძლო საკუთარი ცოდვის სიმძიმეს, ბერის ჩოხა ჩაიცვა და მონასტრის კედლებს შეაფარა თავი.

საგულისხმოა ერთი ფაქტიც – მამა მაკარი ბაქარს აღსარებას აბარებს და მას „მამაოს“ უწოდებს. ბერის მხრიდან ასეთი უცნაური საქციელი ბუნებრივად აჩენს კითხვას – რასთან გვაქვს საქმე?

თავის დროზე სწორედ მამა მაკარიმ შეიფარა მონასტერში ბაქარის დედა და მისი ადგილსამყოფელი მარადიულ გამოცანად დაუტოვა მის ვაჟსა და მამამთილს. როგორც ჩანს, ეს ამბავი სულით-ხორცამდე ტანჯავდა ბერს, ამიტომაც იყო, რომ ბაქარის გამოჩენისთანავე სთხოვა მას შენდობა, ოღონდ როლები უნებურად გაიცვალა. ბაქარი მამა მაკარისთვის ის ადამიანი იყო, რომლის კეთილ ნებაზეც იყო დამოკიდებული, მიუტევებდა თუ არა ბერს, რომ დედის ხილვის საშუალება მოუსპო. როგორც ცოდვით დამძიმებული მრევლი გაუმხელს ხოლმე მოძღვარს თავისი სულის ფორიაქის მიზეზს, ისე აბარებს ბერი ბაქარს აღსარებას – სრული სიცხადით, დაუფარავად და შეულამაზებლად. ამიტომაც ეძახის მას „მამაოს“.

არც აბიათარს დააყარა სიკეთე რუსეთის მიერ შექმნილმა რეჟიმმა. ამ უდანაშაულო კაცს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს. იცის აბიათარმა, რა უკულმართად არის მოწყობილი ეს ქვეყანა, იცის და ეშინია, რომ მისი ერთადერთი შვილიშილი არ დაჯაბნოს უსამართობამ, გაუტანლობამ, სისასტიკემ, ძალადობამ... იცის და ამიტომაც ზრდის ასე მკაცრად, სასათბურე პირობებს მიღმა.

რუსულ აგრესიას შეეწირა ელიზბარიც – ოდესღაც ღირსეული და სწორუპოვარი ვაჟკაცი ნაკაცარად რომ უქცევია აფხაზეთის ომს; მანამდე კი ავღანეთის ომმა მოინელა ბაქარის მამა ვანო, რომლის ფსიქიკამაც ვერ გაუძლო ამდენ სასტიკ სისხლისღვრასა და უბედურებას და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ზოგადად, რომანის ყველა პერსონაჟის ტანჯვისა და ვაების სათავე ერთი საერთო ქვეყნიდან იწყება, მაგრამ ყველასა და ყველაფერზე მეტად მაინც პატარა ჩეჩენი ბიჭის, ჯაბრაილის უბედურება შეგძრავს და შეგაძრწუნებს. ძალით დაობლებული, უპატრონო, უსამშობლო ბიჭის ტრაგედია გულის ძარღვებს სწვდება და დაჭიმული სიმებივით ჟღარუნობს.

●

„გოდების კედელი“, როგორც აღვნიშნე, მარტო ქართველთა ვარამს არ მიუძღვნა გიორგი სოსიაშვილმა. ის ფაქტი, რომ ერთნაირი სადარდებელი აქვთ ქართველ ბაქარსა და ქისტ ჯარაფს, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ ორ ქვეყანას ერთი საერთო მტერი ჰყავს, ერთი საერთო ჭირი შეჰყრია. მწერალს ამ ნაწარმოებით იმის ხაზგასმაც სურს, რომ ერის ღირსება ერთი-ორი ნაძირალა კაცუნათი არ ფასდება და განიზომება, მტრად მოვლენილ ხალხშიც შეიძლება იყვნენ ზნემაღალი ადამიანები და ვერც აფხაზეთში ზოგიერთი ჩეჩენის ვანდალური ქმედება გახდება ჩვენ შორის მტრული განწყობის საბაბი. ამიტომაც არის ორი მაღალი ზნეობისა და ღირსების მქონე ძმადნაფიცი – ბაქარი და ჯარაფი – ერთნაირი ბედისა და ისტორიის მქონე. ბაქარიც საკუთარი მიწა-წყლის მადიდებელია და ჯარაფიც, რომლის ფესვებიც ჩრდილო კავკასიიდან მოდის და ისტორიული სამშობლოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს თავს. ჩეჩნეთში ომის დაწყების პირველივე დღიდან მიდის თავისი ხალხის დასაცავად და კავკასიელისათვის დამახასიათებელი შემართებით ებრძვის მომხდურს. ჯარაფი მხოლოდ ერთადერთი იმედით სულდგმულობს – საკუთარ ხალხს თავისუფლება დაუბრუნოს და ძმადნაფიცის სისხლი აიღოს. მანამდე კი მთელ თავის ადამიანურ რესურსს ჩეჩენი ჯაბრალის აღზრდაში ხარჯავს.

უდიდესმა ტკივილმა დააკავშირა ერთურთს ბაქარი და ჯარაფი, რომლის შესახებაც ავტორი ამბობს: „ქისტი აქ (საქართველოში – თ.გ.) ჩეჩენია და ჩეჩნეთში – ქართველი“. ორი სამშობლო რომ აქვს ქისტს და ორივეს სიყვარული სისხლხორცეულად გასჯდომია, კიდევ ერთხელ იკვეთება რომანიდან.

ბაქარიც თავისი ძმაკაცის, გეგას ოჯახის ამომწყვეტელის კვალს ეძებს და ამ მიზნით ჩადის პანკისის ხეობაში, ჯარაფთან, რომელსაც ჩეჩნეთში ჯაბრაილის პაპის ჩამოსაყვნად მიჰყვება. სწორედ აქედან იწყება მეორე ეტაპი ბაქარის ცხოვრებისა – ამქვეყნიური ჯოჯოხეთი, სადაც ორი კავკასიელი ძმობილი ერთმანეთის კვალს სამუდამოდ კარგავს. განგებამ ისე ინება, რომ სწორედ ბაქარი აირჩია ქისტი ბიჭის მკვლელების სისხლის აღების მაძიებლად.

„გოდების კედელში“ ქართველი ბაქარი და ქისტი ჯარაფი ორი ქვეყნის ტრაგიკულ ბედს განასახიერებენ, შინაურისა თუ გარეულისაგან ორმაგად

გაყიდულსა და გასხვისებულს, სისხლის ტბორებში ჩამხრჩვალისა და თავისუფლებაწართმეული ორი ერის სახეს, რომლებსაც ერთნაირად სტკივათ დაუნდობლად მიყენებული იარები. მათ ზუსტად იციან, რა წარმოშობს ომებს:

„ომი და იარაღის ჟღარუნი ვის აწყობს, რა დიდი მიხვედრა უნდა. ფული კეთდება, ფულის კეთებაში ადამიანთა ტკივილი, წამება, სიკვდილი, ოჯახების გაუბედურება ვის ახსოვს?! ფულის საკეთებელ დაზგად ვიქეცით...“, – ამ სიტყვებით ყველას სათქმელს ამბობენ პერსონაჟები.

●

მიუხედავად იმისა, რომ რომანი ძირითადად მაინც ოსურ/რუსულ/-ქართულ საომარ დაპირისპირებაზე აიგო, ნაწარმოებში არც ერთი სიტყვით, არც ერთი ფრაზით არ არის ოსი აუგად მოხსენიებული. მხოლოდ სინანული გასდევს ნაწარმოებს ფონად, რომ სასტიკად მოტყუვდნენ ჩვენი ოსი ძმები, რომლებთანაც, დიდი ხანია, სისხლისმიერი ერთობა გვაკავშირებს; მოტყუვდნენ და, შეცდომაში შეყვანილებს, გონება აურიეს. ნაწარმოებში, პერსონაჟთა პირით, ხმამაღალი გოდება გაისმის ჩვენი მიწა-წყლისა და თანამოძმეების დაკარგვის გამო:

„ხო ამდენი უბედურება ტრიალებდა, სულ სროლის ხმა, სისხლი, სისხლი, სიკვდილი... დღე არ გავიდოდა, რომელიმე ოჯახი არ გამწარებულიყო, მაინც დავრწმუნდი, რომ ქართველების და ოსების ურთიერთსიყვარული სადღაც შეუბღალავი, ხელშეუხებელი იქნებოდა, ტყვია ვერ აღწევდა, ვერც ჩექმა ეხებოდა“, – ვკითხულობთ „გოდების კედელში“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი სოსიაშვილმა რომანი ქართველებისა და ოსების, ქართველებისა და აფხაზების, ქართველებისა და ქისტების, ქართველებისა და ებრაელების სადიდებლად შექმნა. ამის მაჩვენებელია ბაქარის ურთიერთობა და ძმური სიყვარული ოს ბათირასთან, ქისტ ჯარაფთან, ებრაელ ტატოსთან... განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ამაღელვებელია ბათირასა და მისი ოსი ნათესავების, აგრეთვე რიგითი ოსების დამოკიდებულება ქართველების მიმართ.

●

„აღარ არსებობს ერთიანი კავკასია – გადაღობილია“, – გვესმის რომანიდან და მერამდენედ გვბორკავს ტკივილი.

„გოდების კედელი“ ლაღად წასაკითხი წიგნი არ არის; თხემით ტერფამდე გვზარავს უმძიმესი ფაქტები ჩვენი უახლოესი წარსულისა, თვალწინ გვიცოცხლდება ის სასტიკი სინამდვილე, სადაც საშველი და სამართალი აღარსად არის. ცრემლმორეული ვკითხულობთ წიგნს და ვგრძნობთ, თითქოს რომანის იმ პერსონაჟივით – უხმოდ, უძრავად მდგარი, მშობლებდაკარგული, პატარა ყრუ-მუნჯი ბიჭივით დამუნჯდა სამყაროც, ჯიუტად რომ იდგა გაეროს შტაბ-ბინის წინ და მათგან ელოდა შველას...

ვკითხულობთ და გვაძრწუნებს იმ შვილდაკარგული დედის განცდები, წერილობით რომ გადმოსცა და რუს მესაზღვრეებს გულის მოსალბობად დაუტოვა;

ვკითხულობთ და ვგრძნობთ, იმ მავთულხლართზე მოფრიალე, უმისამართო წერილში დავტოვეთ ჩვენი დარდი და მწუხარება.

●

რომანში განსაკუთრებული ადგილი უკავია სიზმარს, რომელიც ბაქარის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ეს სიზმრები თუ ხილვები ალეგორიულ-მეტაფორული თხრობის პრინციპზეა აგებული და ფსიქოლოგიური სიღრმით გადმოსცემს პერსონაჟის შინაგან სამ-

ყაროს. უმძიმესი რეალობა და სინამდვილის მისტიკური ხილვა ნაწარმოებში ერთ ფენომენად იკვრება. აქ სიზმარს ორმაგი დატვირთვა აქვს – ერთი, რომ ის მთავარი გმირის რეალობიდან გაქცევის მცდელობაა. იმ სასურველსა და სანატრელს გამოხატავს, რომლის ასრულებაც ცხადში შეუძლებელია და მხოლოდ სიზმარშია შესაძლებელი; მეორე – ბაქარისთვის სიზმარი სულიერი გამოცდის ადგილია, კათარზისია, წმინდა არეა. მისტერიათა მიზანი ხომ ადამიანის სულის განწმენდაა, როგორც მწერალი ამბობს, „სულის გამოფენაა“. რეალობაში, სადაც თითქოს ბაქარის წილი ჰაერიც კი აღარ არსებობს, სადაც სიცოცხლის საზრისსდაკარგული ჩივის – „კერა ხომ დავკარგე, მავთულხლართებს იქით დარჩა ჩემი დანახშირებული ბავშვობა, სიყმაწვილე, მოგონებები, მაგრამ აქეთაც სხვაგან ვიყავი, სხვა ხალხი დამხვდა, გულგაციებული ხალხი...“ – სიზმარი გამხდარა მისთვის ერთადერთი თავშესაფარი.

ღრმა აზრობრივი კოდის შემცველია რომანის სათაურიც – „გოდების კედელი“. სწორედ მის მრავალპლანიანობაში იმალება რომანის უმთავრესი სათქმელიცა და ქვეტექსტიც. წმინდა მიწაზე არსებული „გოდების კედელი“ ბაქარის „მეორედ დაბადების“, სულიერად განახლება-აღორძინების, საკუთარი თავის პოვნის ადგილად იქცა. აბიათარის შვილიშვილს ამ „მეორედ დაბადებაში“ დახმარების ხელი ებრაელმა ბიჭმა, მისმა ბავშვობის მეგობარმა ტატომ გაუწოდა – თავისთან, ისრაელში წაიყვანა და საკუთარ სამხატვრო სახელოსნოში „ხელუხლებელი ლიახვის ხეობა“ დაახვედრა, რითაც ბაქარს თავისი სოფლის სუნთქვა ხელმეორედ აგრძნობინა.

წმინდა ქალაქში ჩასული ბაქარი ტატოსთან ერთად დაადგება გოლგოთის აღმართს, რომლის ავლაც ძალიან გაუჭირდება. მაცხოვარსაც უჭირდა ამ გზის ავლა, მაგრამ მაინც შეძლო, მაინც აიარა. ყოველ ერს აქვს საზიდი თავისი ჯვარი, ყველას აქვს ასავლელი თავისი „გოლგოთა“ და მეორე – ამ მონაკვეთში მწერალმა თითქოს წაშალა ზღვარი და სამანი ორ სარწმუნოებას შორის. ბაქარიც და ტატოც ერთად მიუყვებიან გოლგოთის აღმართს და ერთად მიდიან „გოდების კედელთან“. გოლგოთასაც და „გოდების კედელსაც“ ნაწარმოებში საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია.

ათასგზის დაანგრია მტერმა იერუსალიმი და წმინდა ტაძარიც გადაწვა, მაგრამ მაინც გადარჩა მისი დასავლეთი კედელი. ის დღემდე დგას – შეურყევლად და ჯიუტად. რამდენჯერაც არ უნდა იმძლავროს ბოროტმა ძალამ, ის მაინც გადარჩება. დავითისა და სოლომონისდროინდელ ებრაელთა სამეფოს აღდგენას ნატრობენ მასთან მიახლებული აბრაამის შთამომავლები. „გოდების კედელი“ ანდამატური ძალით იზიდავს იუდეველებს. ის ჩაგრული და მტრის წინააღმდეგ შემართული ებრაელი ერის გაუტეხლობის, შემკრებლობის, სიძნელეთა გადალახვის, დროთა კავშირის ურღვეობისა და, რაც მთავარია, საბოლოო გამარჯვების რწმენისა და იმედის სიმბოლოდ იქცა. ებრაელი ხალხის მსგავსად, ქართველებმაც გაიარეს ტანჯვისა და წამების გზა. ამიტომაც შემთხვევითი არ არის ებრაელისა და ქართველის – ტატოსა და ბაქარის მიახლება „გოდების კედელთან“. ცრემლიან-ტკივილიანი გზის გავლის შემდეგ, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ებრაელები დააბრუნა უფალმა სამშობლოში, ისე შეკრებს კერამორღვეულ ქართველებსაც და კვლავ საკუთარ მიწა-წყალზე დაასახლებს. სწორედ ამას გულისხმობს ავტორის სიტყვები:

„იუდას ამბორიც, მეგობართა განდგომაც, დამცირებაც, სულში ჩაფურ-

თხებაც, წამებაც, გოლგოთის გზაც, ეკლის გვირგვინიც, ჯვარზე დალურსმვაც... ყველაფერი ღირს ამ ადგილად... ჩვენც გვაქვს სადღაც ისეთი ადგილი, რომლის გამოც ვიტყვით, რომ ეკლიანი გზა ამისთვის ღირდა...“ როგორც კი ბაქარი ამას გაიაზრებს, მის არსებაში ცის გახსნასავით ხდება უეცარი გარდატეხა და რწმენა უბრუნდება. ლიახვისპირელმა წამებულმა ზუსტად იცის, რომ, დღეს თუ ხვალ, მისი ერის ტანჯვა ისევე დასრულდება, როგორც ებრაელთა ხეტიალი დასრულდა უდაბნოში. ამაზე მეტყველებს მისი იმედიანი სიტყვები: „ვიგრძენი, როგორ ახლოს იყო ჩვენი ორმოცწლიანი ხეტიალის დასასრული“.

ასე ოპტიმისტურ ნოტაზე ამთავრებს მწერალი ორტომიან რომანს, რომლის ეპილოგშიც ვკითხულობთ: „ვეება ლოდებს შორის, ყველა კუნჭულში, ნატვრის წერილები იყო ღვთისთვის დატოვებული“.

ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რა წერილს დაუტოვებდა ბაქარი უფალს!



კაზუო იშიგურუ

დარშიც და ავდარშიც

ემილის, ჩემსავით, ძველი, პოპულარული, ამერიკული სიმღერები უყვარდა. უმეტესად, სწრაფი ტემპით შესრულებული ისეთი მელოდიები ხიბლავდა, როგორიცაა ირვინგ ბერლინის[1] „ლოყა ლოყასთან“ და კოლა პორტერის[2] „ბიგინი იწყება“. მე შედარებით უფრო ტკბილ-მწარე ბალადები მერჩივნა, მაგალითად: „წვიმიანი დღეა“ და „ეს არასოდეს მიფიქრია“. ბევრ რამეში ჩვენი გემოვნება ერთმანეთს ემთხვეოდა და, ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინდელი სამხრეთ ინგლისის უნივერსიტეტის კამპუსში საერთო ინტერესების მქონე ადამიანის პოვნა ნამდვილი სასწაული იყო. დღევანდელი ახალგაზრდები ყველა ტიპის მუსიკას უსმენენ. ჩემს ძმისშვილს, რომელიც ამ შემოდგომაზე უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება, არგენტინული ტანგოთი გატაცების პერიოდი აქვს. გარდა ამისა, ედიტ პიაფსაც ისეთივე ხალისით უსმენს, როგორც ინდის ანსამბლებს, მაგრამ ჩვენს დროში გემოვნება ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ჩემი თანაკურსელები ორ დიდ ბანაკად ვიყოფოდით: გრძელთმიანი, თავისუფალ ტანისამოსში ჩაცმული ჰიპები, „პროგრესული როკი“ რომ მოსწონდათ და აკურატულ ტვიდებში გამოპრანჭული გოგო-ბიჭები, რომლებსაც, კლასიკური მუსიკის გარდა, ყველა დანარჩენი აუტანელ გრუხუნად მიაჩნდათ. შესაძლოა, იშვიათად ჯაზის მიმდევარსაც გადაჰყროდით, თუმცა ყოველთვის აღმოჩნდებოდა, რომ მათაც შეცვლილი ორიენტაცია ჰქონდათ – უპირატესობას იმ დაუსრულებელ იმპროვიზაციებს ანიჭებდნენ, რომელთაც ყველაზე მთავარ საკითხთან, სიმღერის ლამაზ, პროფესიონალურ დონეზე შექმნილ მელოდიასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ასე რომ, ისეთ ვინმესთან შეხვედრა და მითუმეტეს გოგოსთან, რომელიც

1 ირვინგ ბერლინი (1888-1989) – დიდი ამერიკელი კომპოზიტორი და ლირიკოსი;

2 კოლა პორტერი (1891-1964) – ამერიკელი კომპოზიტორი;

„ამერიკული სიმღერების დიდ წიგნს“ აფასებდა, მართლაც იშვიათობას წარმოადგენდა. მეც და ემილიც ყველაზე ცნობილი სიმღერების დახვეწილ, ნამდვილ ვოკალური ინტერპრეტაციების ჩანაწერებს ვაგროვებდით. ასეთი დისკების იაფად შოვნა ძველმანების ფარდულში შეიძლებოდა, სადაც მათ ჩვენი მშობლების თაობის ადამიანები აბარებდნენ. ემილის საყვარელი მომღერლები სარა ვოენი[1] და ჩეტ ბეიკერი[2] იყვნენ, ჩემები – ჯული ლონდონი[3] ან პეგი ლი[4]. სინატრასა და ელა ფიცჯერალდის მიმართ ორივეს საკმაოდ ცივი დამოკიდებულება გვქონდა.

პირველ კურსზე ემილი კოლეჯთან ცხოვრობდა და ოთახში პორტატული ფირ-საკრავი ედგა, რომელიც იმ დროისთვის მოდაში იყო და დიდშლაპიან ყუთს ჰგავდა, რომელსაც ღია ცისფერი, ხელოვნური ტყავის ზედაპირი და შიგნით მოთავსებული მხოლოდ ერთი დინამიკი ჰქონდა. ფირ-საკრავის დისკის ამოსაღებად თავსახური უნდა აგეხადათ. თანამედროვე სტანდარტებთან შედარებით, ძალიან პრიმიტიული ხმა ჰქონდა, თუმცა, მის გარშემო გატარებული უამრავი მხიარული საათი მახსოვს, ერთი ფირფიტიდან ნემსს ფრთხილად ვიღებდით და მეორეზე ვდებდით. ერთი და იმავე მელოდიის სხვადასხვა ვარიანტების მოსმენა გვიყვარდა და მერე ან სიმღერის ტექსტზე ვკამათობდით ან კიდევ, შემსრულებელთა ინტერპრეტაციებს ერთმანეთს ვადარებდით – სინამდვილეში ესა თუ ის სტრიქონი ნამდვილად ირონიულად იყო დაწერილი თუ მხოლოდ მომღერალი მღეროდა ასე? ან კიდევ, „ჯორჯია ჩემს ხსოვნაში“-ს[5] უკეთესად შესრულება როგორ შეიძლებოდა: სიტყვა „ჯორჯიაში“ ქალის სახელს გულისხმობდნენ თუ შტატის? განსაკუთრებული სიამოვნება რეი ჩარლზის „დარშიც და ავდარშიც“ ჩანაწერის აღმოჩენამ მოგვანიჭა, სადაც ტექსტი მხიარული იყო, მაგრამ ნამღერი სევდიანად ჟღერდა.

ემილის ასეთი ჩანაწერებისადმი სიყვარული ისეთი აშკარა და ღრმა იყო, რომ ყოველთვის უკან ვიხევდი, როცა სტუდენტებთან რომელიღაც პრეტენზიული როკ-ჯგუფის ან კალიფორნიული, უაზრო მომღერალ-კომპოზიტორთა შესახებ საუბრისას, მოულოდნელად თავზე წავადგებოდი ხოლმე. დროდადრო, იმ რაღაც „კონცეპტუალურ“ ალბომზე კამათის მომენტში, სახეზე ზუსტად ისეთივე გამომეტყველება ეხატებოდა, როგორც მაშინ, ჩვენ ორნი, გერშვინსა და ჰაროლდ ალენზე[6] რომ ვსაუბრობდით. არ მსურდა ჩემი გაღიზიანება შეემჩნია და ტუჩებს მოვიკვნეტდი ხოლმე.

მაშინ ემილი მოხდენილი, ლამაზი გოგო იყო და უნივერსიტეტში მოსვლისთანავე ჩარლი რომ არ აერჩია, დარწმუნებული ვარ, უამრავი თაყვანისმცემელი ეყოლებოდა, მაგრამ ის

---

1 სარა ვოენი (1924-1990) – ამერიკელი ჯაზმომღერალი;

2 ჩესნი ჰენრი ბეიკერ ჯრ (1929-1988) –ამერიკელი ჯაზმესაყვირე და ვოკალისტი;

3 ჯული ლონდონი (1926-2000) – ამერიკელი მომღერალი და მსახიობი;

4 პეგი ლი (იგივე ნორმა დელორის ეგსტრომი 1920-2002) – ამერიკელი ჯაზისა და პოპმუსიკის მომღერალი, კომპოზიტორი, მსახიობი;

5 ჯორჯია ჩემს ხსოვნაში-სიმღერა, რომელსაც ასრულებდა პოპულარული ამერიკელი მომღერალი რეი ჩარლზი (1930-2004);

6 ჰაროლდ ალენი (1905-1986) – ამერიკელი პიანისტი, მომღერალი და კომპოზიტორი;

ტიპი არ იყო, ყველასთან ფლირტი რომ უყვართ. ამიტომ, რადგან მის ცხოვრებაში ჩარლი უკვე არსებობდა, სხვა დანარჩენ ბიჭებს შანსი აღარ ჰქონდათ.

– მე ჩარლი მხოლოდ ამისთვის არ მჭირდება, – სრულიად სერიოზულად გამომიცხადა ერთხელ და ჩემს გაოგნებულ გამოხედვაზე სიცილი წასკდა.

– გეხუმრები, ჩერჩეტო. ჩარლიზე ვგიჟდები, ჩემი სიყვარულია, ჩემი სიყვარული...

ჩარლი უნივერსიტეტის ჩემი საუკეთესო მეგობარი გახლდათ. პირველ კურსზე სულ ერთად დავეხეტებოდით და ემილიც მისგან გავიცანი. მეორე კურსზე ჩარლიმ და ემილიმ ქალაქში სახლის ერთი ნაწილი იქირავეს და, მათთან ხშირი სტუმრობის მიუხედავად, ემილის ძველი ფირ-საკრავის გარშემო გამართული საუბრები წარსულს ჩაბარდა. თავდაპირველად, როცა შინ შევუვლიდი, იქ სხვა სტუდენტებიც მხვდებოდნენ. ისხდნენ და ლაყბობდნენ. ახლა უკვე თანამედროვე სტერეოსისტემას გაუთავებლად უკრავდნენ და იძულებული ვხდებოდი, ხმისთვის ჩამეწია.

მთელი ეს წლები მე და ჩარლი ისევ მეგობრებად დავრჩით. შეიძლება, ერთმანეთი დიდი ხნით ვერც ვნახოთ, როგორც ერთხელაც დაგვემართა, მაგრამ ძირითადად იმიტომ, რომ მანძილი გვაშორებს. მე აქ, ესპანეთში, ისევე როგორც იტალიასა და პორტუგალიაში, უკვე რამდენიმე წელი გავატარე, ჩარლი კი ყოველთვის ლონდონში იყო მყარად დაფუძნებული. სასაცილოა, თუ ახლა ჩემი ნათქვამი ისე ჟღერს, თითქოს მე კოსმოპოლიტი ვიყო და ის კი შინაყუდა, რადგან ფაქტობრივად, ჩარლი ის ადამიანია, რომელიც სერიოზული საქმიანი შეხვედრებისთვის ყოველთვის ტეხასში, ტოკიოში და ნიუიორკში დაფრინავს, მაშინ, როცა მე, წლობით, რომელიღაც ნესტიანი შენობების კუთხეში ვარ შეყუჟული, მართლწერის ტესტებს ვასწორებ ან სულაც, ნელი ტემპით, ინგლისურ ენაზე ერთსა და იმავე დიალოგებს ვიმეორებ: მე რეი მქვია. თქვენ რა გქვიათ? გყავთ შვილები?

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხელი ინგლისურის მასწავლებლობას მოვკიდე. მომწონდა ასეთი ცხოვრება, თანაც თითქოს სტუდენტობის წლები გავიხანგრძლივე. ენების შემსწავლელი სკოლები მთელ ევროპაში სოკოებივით იყო მოდებული და, მასწავლებლის მოსაბეზრებელი რუტინის და ძალიან დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ახალგაზრდა ასაკში ეს არც თუ ისე საშინლად გეჩვენება. ბარებში გაუთავებლად დაყიალებ, მეგობრების ფართო წრეს იძენ და თავს მთელი სამყაროს ნაწილად გრძნობ. ისეთ ადამიანებს ხვდები, რომლებმაც ინგლისურის შესწავლა ეს-ესაა დაიწყეს; ზოგი პერუელია, ვიღაცა ტაილანდიდანაა და გგონია, რომ მთელ მსოფლიოს გარშემო უვლი. ნაცნობების წყალობით, სამუშაოს ყველაზე შორეულ კუთხეშიც კი იოლად იშოვი და სამუდამოდ იმ საიმედო, მოხეტიალე მასწავლებელთა დიდი ოჯახის წევრი ხდები, რომლებიც, სასმელთან ერთად, ყოფილი კოლეგების, სკოლის ფსიხოზიანი დირექტორებისა და ბრიტანეთის საბჭოს ექსცენტრიული თანამშრომლების შესახებ ერთმანეთს უამრავ ჭორებს უყვებიან.

80-იანი წლების მიწურულს ხმა გავარდა, რომ იაპონიაში მასწავლებლობით ბევრი ფული კეთდებაო და მეც გეგმების შედგენა დავიწყე, თუმცა იქ წასვლა ვერ შევძელი. ბრაზილიაზეც ვფიქრობდი. მის კულტურაზე რამდენიმე წიგნიც წავიკითხე და სამუშაოს მოთხოვნის აპლიკაციებიც შევავსე, მაგრამ ასე შორს წასვლა ვერ გავრისკე. იტალიის სამხრეთსა და პორტუგალიაში მოკლე ხანი დავყავი და ისევ ესპანეთში დავბრუნდი; მერე... უკან მოხედვას ვერ მოასწრებ და უკვე ორ-

მოცდაშვიდის ხარ, იმ ადამიანებსაც, ვისთან ერთადაც მთელი ცხოვრება მოდიოდი, თურმე ახალი თაობები ჩაენაცვლნენ, რომლებიც სრულიად განსხვავებულ რამეებზე ჭორაობენ, ნარკოტიკსაც განსხვავებულს იღებენ და მუსიკაც სხვანაირი მოსწონთ.

ამასობაში ჩარლი და ემილი დაქორწინდნენ და ლონდონში დასახლდნენ. ერთხელ ჩარლმა მითხრა, როცა შვილები გვეყოლება, ერთ-ერთის ნათლია შენ უნდა იყოო, თუმცა ეს ასე არ მოხდა. იმის თქმა მინდა, რომ აქამდე შვილი არ ეყოლათ და, ვფიქრობ, ახლა უკვე გვიანია. სიმართლე გითხრათ, ამის გამო ცოტა გულგატეხილიც ვარ, რადგან რომელიმე ბავშვის ნათლია რომ ვიყო, მათთან, ინგლისში და ჩემს საზღვარგარეთ ცხოვრებას შორის, უმნიშვნელო, მაგრამ საპასუხისმგებლო ძაფი გაიბმებოდა.

ასე იყო თუ ისე, ზაფხულის დადგომისთანავე ჩარლისა და ემილისთან დასარჩენად ლონდონში გავემგზავრე. წინასწარვე შევთანხმდით და, როცა სტუმრობამდე რამდენიმე დღით ადრე დავურეკე, ჩარლიმ მითხრა, რომ თავს არაჩვეულებრივად გრძნობდნენ. ამიტომაც ღრმად მჯეროდა, რომ ჩემი მაშინდელი ცხოვრების ბოლო თვეების განმავლობაში ამაზე უკეთესს ვერც ვერაფერს მოვიფიქრებდი და, ნებივრობისა და დასვენების გარდა, იქ სხვა არაფერი უნდა მეკეთებინა.

მართლაც, იმ მზიან დღეს, როცა ადგილობრივი მეტროდან თავი ამოვყავი, იმაზე ფიქრმა შემიპყრო, „ჩემი“ საძინებელი ოთახის სრულყოფისთვის რა შეიძლებოდა, რომ დაემატებინათ. ყოველი წინა ვიზიტის შემდეგ, წლების მანძილზე, იქ ცვლილებებს თითქმის მუდამ ვითხოვდი. ერთხელ, კუთხეში რაღაც მოკაშკაშე ელექტრომოწყობილობა დამახვედრეს, მეორედ – ოთახის მთლიანად შეცვლილი ინტერიერი და, როგორც უკვე წესად იყო ქცეული, „ჩემს“ ოთახს მდიდრული სასტუმროს ნომერივით მიმზადებდნენ: საწოლზე დაკეცილი პირსახოცები ელაგა, იქვე, დაბალ ტუმბოზე – ტკბილეულით სავსე ყუთი, ხოლო ტუალეტის მაგიდაზე – კომპაქტდისკების ნაკრები იდო. რამდენიმე წლის წინათ, ჩარლი ოთახში შემიძღვა და ელექტროჩამრთველები უდარდელი სიამაყით გადაატრიალა, საიდანაც ყველა მიმართულებით – საწოლის, ტანსაცმლის კარადის თავიდან და ა.შ. საძინებელი პატარა, უხილავი ლამპების სინათლით განათდა. მერე კიდევ ერთი ჩამრთველის ღილაკს თითი დააჭირა და ორივე ფანჯარაზე ჟალუზები ზუზუნით ჩამოუშვა.

– მისმინე, ჩარლი, ჟალუზები რად მინდა? – ვკითხე მაშინ. – ახალგაღვიძებულს გარეთ გახედვა მინდა. ჩვეულებრივი ფარდებიც საკმარისი იქნებოდა.

– ეს შვეიცარიული ჟალუზებია, – მიპასუხა მან და თითქოს ამით ყველაფერი ამიხსნა.

მაგრამ ახლა, როცა წინ მიმიძღვოდა, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა და უკვე ოთახში მივხვდი, რომ მებოდიშებოდა... და მერე საძინებელი ისეთ მდგომარეობაში დამხვდა, მანამდე რომ არასოდეს მენახა. საწოლზე ლოგინი არ ეგო, მთლიანად დალაქავებული ლეიბი ცერად იდო. იატაკზე ჟურნალებისა და რბილყდიანი წიგნების მთელი გროვა და ძველი ტანსაცმლის ფუთები ეყარა, ჰოკეის ჯოხი და გადაყირავებული რეპრუდოქტორიც აქვე ეგდო. ვიდრე ჩარლი ჩემი ჩანთის დასადებად სუფთა ადგილს ეძებდა, კართან შევყოვნდი და ნაგავს მივაშტერდი.

– ისე იყურები, თითქოს მენეჯერის მოთხოვნას აპირებდე, – მწარედ მითხრა მან.

– არა, არა. უბრალოდ ოთახის ასეთ უჩვეულო მდგომარეობაში დანახვა გამიკვირდა.

– არეულია, ვიცი. ნაგვითაა სავსე, –

ლეიბზე ჩამოჯდა და ამოიოხრა. მეგონა, დამლაგებელი გოგოები მოაწესრიგებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ისევ ისე დატოვეს, თუმცა, ღმერთმა იცის, რატომ.

ძალიან დაღონებული ჩანდა, მაგრამ უეცრად ისევ ფეხზე წამოხტა.

– მისმინე! მოდი, სადმე, ლანჩისთვის გავიდეთ. ემილის წერილს დავუტოვებ. შეგვიძლია, არც ვიჩქაროთ და, როცა დავბრუნდებით, შენი ოთახიც დალაგებული დაგვხვდება.

– ყველაფრის მოწესრიგება ემილის რატომ უნდა ვთხოვოთ?

– ოჰ, ამას თვითონ არც გააკეთებს. დამლაგებლებს მოიყვანს. თვითონ იცის, როგორც უნდა მოძებნოს. მე მათი ტელეფონის ნომრებიც კი არ მაქვს. მოდი, წავიდეთ, რაა, წავიდეთ. სამი თავი კერძი, ერთი ბოთლი ღვინო ავიღოთ... ყველაფერი ისე, როგორც წესია.

რასაც ჩარლი თავიაანთ სახლს ეძახდა, რეალურად ოთხსართულიანი სტანდარტული კორპუსის ბოლო ორი სართული იყო, მოწესრიგებულ, მაგრამ საშინლად ხმაურიან ქუჩაზე. სახლიდან გამოსვლისთანავე ხალხისა და ტრანსპორტის ზღვაში აღმოვჩნდით. ჩარლის მივყვებოდი. მაღაზიებსა და ოფისებს ჩავუარეთ და ერთ პატარა, კოპნია იტალიურ რესტორანს მივადექით. მაგიდა წინასწარ შეკვეთილი არ გვქონდა, მაგრამ მიმტანები ჩარლის მეგობრულად მიესალმნენ და მაგიდისკენ გაგვიძღვნენ. გარემო მოვათვალიერე... უმეტესად ჰალსტუხებსა და პიჯაკებში გამოწყობილი საქმიანი მამაკაცები შევნიშნე და თავი იმით დავიმშვიდე, რომ ჩარლისაც ჩემსავით დაუდევრად ეცვა.

მგონი, მიხვდა, რაზეც ვფიქრობდი, რადგან, როცა მაგიდასთან დავსხედით, მითხრა:

– ეჰ, დედაქალაქის ცხოვრებას გადაჩვეული ხარ, რეი. ისე, სხვათა შორის, აქ ყველაფერი შეცვლილია. საზღვარგარეთ უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც ცხოვრობ, – შემდეგ აღელვებულმა ხმამაღლა დაუმატა:

– ჩვენ წარმატებული ადამიანებივით გამოვიყურებით, ყველა სხვა დანარჩენი კი საშუალო დონის მენეჯერებს გვანან.

მერე ჩემკენ გადმოიხარა და შედარებით ხმადაბლა მითხრა:

– მისმინე, უნდა დავილაპარაკოთ. შენთან სათხოვარი მაქვს.

უკვე აღარც მახსოვდა, ჩარლიმ დახმარება ბოლოს როდის მთხოვა, თუმცა, რაც არ უნდა ეთქვა, თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და მოსასმენად მოვემზადე. მენიუ ხელში ცოტა ხანს ისევ ატრიალა და მერე გვერდით გადადო.

– სიმართლე რომ გითხრა, მე და ემილის ახლა უმნიშვნელოდ არასასიამოვნო პერიოდი გვიდგას. მოკლედ, ამ ბოლო დროს, ერთმანეთს გავურბივართ. ამიტომაც არ დაგხვდა შინ, როცა ჩამოხვედი. ვშიშობ, შენ ახლა ჩვენთან ურთიერთობა სათითაოდ მოგიწევს, იმ მსახიობის მსგავსად, სპექტაკლში ორ როლს რომ ასრულებს. ოთახში მეც და ემილისაც ერთდროულად ვერ გვნახავ. ბავშვურ საქციელს ჰგავს, ხო?

– ვხვდები, რომ ძალიან ცუდ დროს გესტუმრეთ. ლანჩის შემდეგ დაუყოვნებლივ გავემგზავრები. ფინჩლში დავრჩები, დეიდაჩემ ქეთისთან.

– რას ამბობ? არ მისმენ. ერთი წამის წინ გითხარი, რომ შენი დახმარება მჭირდება-მეთქი.

– მეგონა, გულისხმობდი...

– არა, იდიოტო! მაინცდამაინც სიტყვა-სიტყვით უნდა აგიხსნა, რაა. ფრანკფურტში მივდივარ, შეხვედრაზე. უკვე ნაშუადღევს მივფრინავ. ორ დღეში დავბრუნდები, არა უგვიანეს ხუთშაბათისა, მაგრამ შენ მთელი ეს დრო ჩვენთან დარჩები. სიტუაციას განმუხტავ და ყველაფერი ისევ კარგად იქნება. მერე მეც დავბრუნდები, მხიარულად მოგესალმებით, ჩემს საყვარელ ცოლს ვა-

კოცებ, ისე, თითქოს ბოლო ორი თვის მანძილზე სულაც არაფერი მომხდარა და კვლავ შევრიგდებით.

ამ დროს მიმტანი ჩვენი შეკვეთის წასაღებად მოგვიახლოვდა და მისი წასვლის შემდეგ, ჩანდა, რომ ჩარლის იმავე თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ სურდა. სამაგიეროდ, ჩემი ესპანეთში ცხოვრების შესახებ შეკითხვები დამაყარა და ყოველ ჯერზე, როცა რაიმეს ვპასუხობდი, ცუდსაც და კარგსაც, ოდნავ მჟავედ იღიმოდა და თავს ისე დამიქნევდა ხოლმე, თითქოს მის ყველაზე ცუდ შიშებს ვადასტურებდი. შევეცადე ამეხსნა, თუ როგორი კულინარი დავდექი, სრულიად მარტომ როგორ მოვამზადე საშობაო სუფრა ორმოცი სტუდენტისა და პედაგოგისთვის, მაგრამ სათქმელი შუაში გამაწყვეტინა.

– მისმინე, – მითხრა ჩარლიმ. – უიმედო მდგომარეობაში ხარ. კონტრაქტი დაუყონებლივ შეწყვიტე, თუმცა, ახალი სამუშაოს ძებნას უნდა შეუდგე. ეს სასოწარკვეთილი პორტუგალიელი შუაკაცად გამოიყენე. მადრიდში თანამდებობას მიიღებ, შემდეგ ბინაზე უარს იტყვი. უპირველეს ყოვლისა, ასე უნდა მოიქცე.

ხელი მაღლა ასწია და ჩემთვის რჩევების მიცემა თითებზე ჩამოთვლით დაიწყო. საჭმელი მოგვიტანეს, მაგრამ ჩარლის რამდენიმე თითი ჯერ კიდევ დაუთვლელი ჰქონდა და, ვიდრე არ დაასრულა, საჭმელი პირში არ ჩაიდო. მხოლოდ ამის მერე მითხრა:

– ვიცი, რაც გითხარი, აქედან არაფერსაც არ შეასრულებ.

– არა, არა. ძალიან ჯანსაღი აზრები გაქვს.

– დაბრუნდები და ისევ ისე გააგრძელებ. მერე, ერთი წლის შემდეგ, ერთმანეთს აქ შევხვდებით და იმავე რამეებზე იწუწუნებ.

– არ მიწუწუნია...

– იცი, რეი, სხვებს მხოლოდ რჩევების მოცემა შეუძლიათ. გარკვეული დროის შემდეგ, საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ შენ გეკისრება.

– კარგი, ასე ვიზამ, გპირდები, მაგრამ მეუბნებოდი, შენგან დახმარება მჭირდებაო.

– ოჰ, დიახ, – საჭმელს ჩაფიქრებული ღეჭავდა. – გულწრფელად რომ გითხრა, ზუსტად ამისთვის მოგიწვიე. რა თქმა უნდა, შენი ნახვა ყოველთვისაც მიხარია და ასეა, მაგრამ ახლა ჩემთვის მთავარია, რომ შენგან რაღაც მინდა. ბოლოს და ბოლოს ჩემი ძველი მეგობარი ხარ, დიდი ხნის მეგობარი...

უცბად ისევ ჭამა დაიწყო და გაოცებულმა შევამჩნიე, რომ ჩუმად ტიროდა. მაგიდაზე გადავიხარე და ხელი მხარზე მოვუთათუნე, მაგრამ ჩემკენ არც მოუხედია და პირში მაკარონის ჩატენას განაგრძობდა. რამდენიმე წუთს მოვიცადე და მხარზე ისევ შევეხე, მაგრამ ისევ ამაოდ. მერე მხიარული ღიმილით, მიმტანიც გამოჩნდა, რათა ჩვენთვის ანგარიში მოეტანა. ორივემ ვუთხარით, რომ ყველაფერი ჩინებული იყო და, როგორც კი გაბრუნდა, ჩარლი თითქოს გონებაზე მოვიდა.

– კარგი, რეი. მომისმინე. რის გაკეთებასაც გთხოვ, ძალიან იოლი შესასრულებელია. ერთადერთი, რაც შენგან მინდა, ისაა, რომ ჩემს დაბრუნებამდე ემილისთან რამდენიმე დღით დარჩე და გაამხიარულო. აი, სულ ეს არის.

– სულ ეს არის? მხოლოდ იმას მთხოვ, რომ მივხედო, ვიდრე დაბრუნდები?

– ზუსტად... ან სულაც, ემილიმ იზრუნოს შენზე. ბოლოს და ბოლოს, სტუმარი ხარ. შენთვის პროგრამა მაქვს შედგენილი. თეატრის ბილეთები ავიღე და ასე... ხუთშაბათზე გვიან არ დავბრუნდები. შენი დავალებაა, რომ ემილის გუნება გამოუსწორო და მოწყენის ნება არ მისცე. ასე, რომ, როცა შინ დავბრუნდები და ვეტყვი: „გამარჯობა, საყვარელო!“ და გულში ჩავიხუ-

ტებ, ის მიპასუხებს: „ოჰ, გამარჯობა, საყვარელო! კეთილი იყოს შენი დაბრუნება, როგორ იმგზავრე? და თვითონაც ჩამეხუტება. მერე ცხოვრებას ისევ ისე გავაგრძელებთ, როგორც ამ საშინელი ისტორიის დაწყებამდე. სულ ეს არის შენი დავალება. მეტი არაფერი.

– გამეხარდება, თუ ყველაფერს შევძლებ, – ვთქვი მე. – მაგრამ, ჩარლი, იცი, რაა? დარწმუნებული ხარ, რომ ის ახლა სტუმრების გართობის ხასიათზეა? როგორც ვხედავ, ორივეს კრიზისული პერიოდი გაქვთ. ისიც შენსავით გულგატეხილი უნდა იყოს. გულწრფელად რომ გითხრა, სულაც ვერ ვხვდები, რატომ დამპატიჟე ზუსტად ახლა.

– და გაუგებარიც რა არის? იმიტომაც მოგიწვიე, რომ ჩემი ძველი მეგობარი ხარ. დიახ, მე ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ, როცა გამიჭირდა, ძალიან ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ ერთადერთი შენა ხარ, ვინც ამ გასაჭირში გვერდით დამიდგება.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ სიტყვებმა ჩემზე საკმაოდ იმოქმედა, თუმცა ვგრძნობდი, საქმე მაინცდამაინც კარგად ვერ იყო. რაღაც ისეთი ხდებოდა, რასაც არ მეუბნებოდა.

– ორივეს შინ ყოფნის შემთხვევაში თუ დამპატიჟებდი, ალბათ, მივხვდებოდი, – ვუთხარი მე. – რეალობა ასეთია: თქვენ ერთმანეთთან გაბუტულები ხართ, ამიტომაც, სიტუაციის განსამუხტად, სტუმარს ეპატიჟები. მერე ორივე თავაზიანად იქცევით და დაძაბულობაც თანდათან ქრება, მაგრამ შენ გარეშე ამას აზრი არ ექნება, ვერ გამოვა.

– უბრალოდ გააკეთე ის, რასაც გთხოვ. ვფიქრობ, გაამართლებს. ემილი შენთან თავს ყოველთვის მხიარულად გრძნობდა.

– თავს მხიარულად გრძნობდაო? იცი, რაა, ჩარლი. შენი დახმარება ნამდვილად მინდა, მაგრამ მგონია, რომ ცდები. სიმართლე გითხრა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ემილი ჩემთან ერთად თავს კარგად მაშინაც არ გრძნობს, როცა ერთმანეთთან საუკეთესო ურთიერთობა გაქვთ. ამ ბოლო ხანს, თქვენთან რამდენჯერმე სტუმრობისას, მას... მას აშკარად ყელში ამოუვედი.

– იცი რაა, რეი... შეგიძლია, მენდო. ვიცი, რასაც ვაკეთებ.

როცა დავბრუნდით, ემილი შინ დაგვხვდა. უნდა ვაღიარო, რომ მის დანახვაზე სახტად დავრჩი. ჩემი მათთან ბოლოდროინდელი ვიზიტის შემდეგ, მხოლოდ წონაში არ მოემატებინა: ერთ დროს ბუნებრივი სილამაზით სავსე სახე საშინლად ჩამობერებოდა, ტუჩის კუთხეშიც ასაკისთვის შეუფერებელი ნაოჭები გასჩენოდა. სასტუმრო ოთახის დივანზე ჩამომჯდარიყო და „ფაინენშელ თაიმსს“ კითხულობდა. ჩემს დანახვაზე ფეხზე საკმაოდ შუბლშეკრული წამოდგა.

– შენი დანახვა გამეხარდა, რეიმონდ, – მითხრა მან და ლოყაზე სწრაფად მაკოცა, მერე ისევ დაჯდა. ისე იქცეოდა, რომ სურვილი გამიჩნდა, უდროო დროს სახლში შეჭრისთვის დიდი ბოდიში მომეხადა, მაგრამ, ვიდრე რამეს ვეტყოდი, დივანს თავის გვერდით ხელი გადაუსვა და მითხრა:

– აბა, რეიმონდ, გვერდით დამიჯექი და კითხვებზე მიპასუხე. მინდა, შენ შესახებ ყველაფერი ვიცოდე.

დავჯექი და ემილიმაც, ჩარლის მსგავსად, შეკითხვები დამაყარა. ამასობაში ჩარლი ბარგს იმზადებდა, ოთახში გადი-გამოდიოდა და წასაღებად სხვადასხვა ნივთებს ეძებდა. შევამჩნიე, რომ ერთმანეთს ზედაც არ უყურებდნენ, მაგრამ, ჩარლის სიტყვების მიუხედავად, რაც რესტორანში მითხრა, მათთვის ოთახში ერთად ყოფნა იოლი სულაც არ იყო. მართალია, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ, ჩარლი უცნაური მანერით, საუბარში შორიდან დროდადრო მაინც ერთვებოდა, მაგალითად, როცა ემილის ვუხსნიდი, რომ

მეგობრის შოვნა, რომელთან ერთადაც ბინის ქირას გავიყოფდი, როგორი რთული იყო, ჩარლიმ სამზარეულოდან გამომძახა:

– მისი ახლანდელი ბინა უბრალოდ ორ ადამიანზე არაა გათვლილი! მარტო ერთს თუ ეყოფა და თანაც ისეთს, რომელსაც რეიმონდზე ცოტა მეტი ფული აქვს!

ემილი ქმარს არ გამოპასუხებია, თუმცა ინფორმაცია მტკიცებულებად მიიღო, რადგან ცოტა ხნის შემდეგ დაამატა:

– ასეთი ბინა არ უნდა აგერჩია, რეიმონდ.

ასე გაგრძელდა დაახლოებით ოცი წუთი: ჩარლი რეპლიკებს ხან კიბიდან და ხანაც სამზარეულოდან მესროდა, უმეტესად რაღაც შენიშვნებს ხმამაღლა მიყვიროდა და მესამე პირში მომიხსენიებდა. უცბად ემილიმ თქვა:

– ეჰ, რეიმონდ, სიმართლე თუ გინდა, ყველას ნებას აძლევ გამოგიყენოს – ენების იმ საშინელ სკოლაშიც და შენი სახლის პატრონსაც, როგორც სულელს, ფულს რომ გცინცლავს და შენ თვითონ რიღას მაქნისი ხარ? ერთ თავცარიელ, ლოთ გოგოს გადაჰკიდებიხარ, ალკოჰოლის გარეშე ცხოვრება რომ არ შეუძლია, მაგრამ თვითონ სასმლის ფულის შოვნის თავიც არა აქვს. ისე იქცევი, თითქოს ჯიბრით ცდილობ იმ ადამიანებს ნერვები მოუშალო, ვისაც ჯერ კიდევ ფეხებზე არ ჰკიდიხარ.

– ამისთანები მალე წამოეგებიან ხოლმე! – ჩარლიმ შემოსასვლელიდან დაიყვირა. ჩემოდნის იქ გახოხების ხმაც მომესმა. – იმ პატარა ბიჭივით ცხოვრობ, ათი წლის წინათ ამ ასაკიდან რომ გამოვიდა, თუმცა ორმოცდაათისაც ისევ ისე აგრძელებ!

– მე მხოლოდ ორმოცდაშვიდის

ვარ...

– რა გინდა ამ „მხოლოდ“-ით რომ თქვა? ძალიან ხმამაღლა თქვა ემილიმ, მიუხედავად იმისა, რომ გვერდით ვუჯქი. – მხოლოდ ორმაცდაშვიდის. ზუსტად ამ „მხოლოდმა“ დაგინგრია ცხოვრება, რეიმონდ. მხოლოდ, მხოლოდ, მხოლოდ... მხოლოდ იმას ვაკეთებ,

რაც შემიძლია. ჯერ მხოლოდ ორმოცდაშვიდის ვარ. სულ ცოტაც და მხოლოდ სამოცდაშვიდიც მოგიკაკუნებს და მხოლოდ ისევ იმ დაწყევლილ წრეში აქეთ-იქით მიაწყ-მოაწყდები და, სულელი, თავისთვის თავშესაფრის პოვნას შეეცდები.

– მაგას ტრაკზე კარგად უნდა მოსცხო, – კიბიდან დაიყვირა ჩარლიმ. – ვიდრე ჭკუას არ ისწავლის და სისულელეების კეთებას თავს არ დაანებებს.

– რეიმონდ, რატომ არ გინდა, რომ წამით მაინც შეჩერდე და საკუთარ თავს ჰკითხო, ვინ ხარ? – მკითხა ემილიმ. – არ გრცხვენია, როცა შენს ყველა მონაცემზე ფიქრობ? აბა, შეხედე, როგორ ცხოვრობ! ეს... ეს უბრალოდ გასაცეცხლებელია! შენ გამო შეიძლება, ადამიანი ჭკუიდანაც გადავიდეს!

კართან ლაბადაში გამოწყობილი ჩარლი გამოჩნდა და ცოტა ხანს ორივე ერთდროულად რაღაცებს მიყვიროდა. მერე ჩარლიმ მოკეტა და ისეთნაირად გამოაცხადა, მივდივარო, რომ თითქოს ჩემი ატანა აღარ შეეძლო და გაუჩინარდა.

მისი წასვლის შემდეგ ემილიმაც შეწყვიტა ღვარძლიანი კრიტიკა და მეც ამით ვისარგებლე, წამოვდექი და ვთქვი:

– უკაცრავად, წავალ და ჩარლის ბარგის აწევაში მივეხმარები.

– დახმარება რაში მჭირდება? – ჰოლიდან გამომძახა ჩარლიმ – მხოლოდ ერთი ჩემოდანი მიმაქვს, თუმცა გაცილების ნება მაინც მომცა და ჩემოდანიც დამიტოვა, როცა თვითონ ტაქსის გასაჩერებლად ტროტუარს გაუყვა. მანქანები საერთოდაც არ ჩანდნენ, შეწუხებული ჩარლი წინ გადაიხარა და ხელიც სანახევროდ აწეული ჰქონდა.

ახლოს მივედი და ვუთხარი:

– ჩარლი, ვფიქრობ, არ გამოვა.

– რა არ გამოვა?

– ემილის ჩემი დანახვაც არ უნდა. სულ რაღაც რამდენიმე წუთითაც კი ვერ ამიტანა. სამი დღის შემდეგ რა იქნება? რატომ გგონია, რომ, როცა დაბრუნდები, შინ სიმშვიდე და კეთილგანწყობა დაგხვდება?

სათქმელი დამთავრებულიც არ მქონდა, რომ გონება უცბად გამინათდა და გავჩუმდი. ჩარლიმ ცვლილება შემამჩნია, მოტრიალდა და შემომხედა.

– მგონი, – ვთქვი ბოლოს. – ვხვდები, არჩევანი ჩემზე რატომაც შეაჩერე და არა სხვაზე ვინმე.

– აჰაა, მიხვდა რეი საქმე რაშიც არის?

– დიახ, მგონი, ასეა.

– და ამით რა იცვლება? ჩემი შენდამი თხოვნა იგივეა, ზუსტად იგივე, – თვალები ისევ ცრემლებით აევსო. – გახსოვს, რეი, ემილი ყოველთვის ამბობდა, რომ ჩემი სჯეროდა? წლების მანძილზე სულ ამას გაიძახოდა: „მე მჯერა შენი, ჩარლი. შენ ისეთი ნიჭიერი ხარ, რომ ყველაფერი გამოგივა“. სამი თუ ოთხი წლის წინათაც მისგან იგივე მესმოდა. იცი, ამას როგორი ძალისხმევა სჭირდებოდა? თავს ყველაფერს მართლაც კარგად ვართმევდი. ახლაც ასეა. კიდევ უფრო უკეთესადაც, მაგრამ ის თვლიდა, რომ მე უნდა გავმხდარიყავი... ღმერთმა უწყის, ეს წყეული მსოფლიოს პრეზიდენტი... ღმერთმა იცის! მე კიდე მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა ბიჭი ვარ, რომელსაც ყველაფერი კარგად გამოსდის, თუმცა ეს მას არ ესმის. ესაა საფუძველი, იმ ყველაფრის საფუძველი, რის გამოც ჩვენი საქმე უკან წავიდა.

საკუთარ ფიქრში ჩაძირული, ტროტუარზე ნელა მიდი-მოდიოდა. ჩემოდანთან სასწრაფოდ დავბრუნდი და გავაგორე. ქუჩა კვლავ ძალიან გადაჭედილი იყო, ამიტომ ვცდილობდი, რომ არც ჩარლის ჩამოვრჩენოდი და ფეხით მოსიარულეებისთვისაც ჩანთა არ გამეკრა, მაგრამ ჩარლი ყურადღებას არც მაქცევდა და იმავე ტემპით მიაბიჯებდა.

– ემილის ჰგონია,რომ გული ამიცრუვდა და აღარ ვცდილობ, – განაგრძობდა ის. – მაგრამ ასე არ არის. ყველაფერს ისევ ძალიან წარმატებულადაც ვართმევ თავს. უსასრულო მასშტაბები ახალგაზრდებისთვისაა, მაგრამ, როცა ჩვენს ასაკს მიაღწევ, საჭიროა, რომ... საჭიროა, რომ პერსპექტიული იყო. აი, ეს არის, რაც სულ თავში მიტრიალებს, როცა მისი ჩიჩინი უკვე აუტანელი ხდება. პერსპექტივა, მას პერსპექტივა სჭირდება და მეც საკუთარ თავს ვუმეორებ: „ყველაფერსაც მშვენივრად ვაკეთებ. აბა, ჩვენს ნაცნობებს შეხედე. რეის შეხედე. შეხედე, წუთისოფელი როგორ გამოაღამა. ემილის პერსპექტივა სჭირდება“.

– და ჩემი დაპატიჟებაც ამიტომ გადაწყვიტე, რომ იქნება და მისტერ პერსპექტივა გახდე.

ჩარლი, როგორც იქნა, შეჩერდა და თვალებში შემომხედა.

– ცუდად ნუ გამიგებ, რეი. მე არ ვამბობ, რომ შენ საშინლად წარუმატებელი ხარ ან რაღაც ამდაგვარი. ვხვდები, არც ნარკომანი ხარ და არც მკვლელი, მაგრამ საჭიროა, აღიარო, რომ, ჩემთან შედარებით, შენი მიღწევები არაფერია. ამიტომაც გთხოვ, ზუსტადაც შენ გთხოვ ჩემთვის ამის გაკეთებას. ლამის გაშორების ზღვარზე ვართ, არაფრის იმედი აღარ მაქვს. შენი შველა მჭირდება და ისეთსაც რას გთხოვ, ღმერთო ჩემო? უბრალოდ, ისევე ადამიანურად მინდა მოიქცე, როგორც ყოველთვის – არც მეტი, არც ნაკლები. უბრალოდ, გააკეთე ეს ჩემთვის, რეიმონდ. ჩემი და ემილის გულისთვის. ჩვენ შორის ჯერ კიდევ ყველაფერი არ დამთავრებულა, ვიცი. უბრალოდ, რამდენიმე დღე არსად არ წახვიდე, ვიდრე არ დავბრუნდები – ჩვეულებრივად მოიქეცი. ნუთუ ასეთი რთული შესასრულებელია, რასაც გთხოვ?

ღრმად ჩავისუნთქე და ვუთხარი:

– კარგი, კარგი... თუ თვლი, რომ ეს გიშველის... მაგრამ, ადრე თუ გვიან, ემილი მაინც არ მიხვდება?

– რას უნდა მიხვდეს? იცის, რომ ფრანკფურტში მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს. მის თვალში ყველაფერი ბუნებრივად გამოჩნდება. ის სტუმარს უმასპინძლებს, მხოლოდ ეს არის. მას ეს ეხალისება და შენ მიმართაც კარგადაა განწყობილი. აი, ტაქსიც გამოჩნდა.

ჩარლიმ ხელი გაშმაგებით დაუქნია და, როცა მძღოლი ჩვენკენ წამოვიდა, მკლავზე ჩამაფრინდა:

– გმადლობ, რეი. ეჭვიც არ მეპარება, რომ გვიხსნი.

შინ დაბრუნებულს ემილი სულ სხვანაირად შემხვდა. ოთახისკენ ხნიერი და უკვე დაჩაჩანაკებული ნათესავივით გამიძღვა. პირზე გამამხნევებელი ღიმილი ადგა და მკლავზე სათუთად მეხებოდა. როცა ჩაიზე დავთანხმდი, სამზარეულოში გამიყვანა, მაგიდასთან დამსვა, რამდენიმე წამით იდგა და დაფიქრებული მიყურებდა. ბოლოს რბილად მითხრა:

– მაპატიე, რეიმონდ. ასე არ უნდა დაგძგერებოდი. ასეთი ტონით საუბრის არანაირი უფლება არ მქონდა. მერე ჩაის დასაყენებლად მიტრიალდა და განაგრძო:

– უკვე წლები გავიდა, რაც სტუდენტები აღარ ვართ. მუდამ მავიწყდება. არც ერთ სხვა მეგობართან თავს უფლებას არ მივცემდი, ასე მესაუბრა, მაგრამ, რომ გიყურებ, ჩემი თავი ისევ სტუდენტი მგონია, ისევ ისეთი, მაშინ როგორებიც ვიყავით და, უბრალოდ, მავიწყდება ხოლმე. გულთან არ მიიტანო, რაა.

– არა, არა. საერთოდაც არ, მწყენია.

სულ ცოტა ხნის წინ ჩარლისთან დასრულებულ საუბარზე ვფიქრობდი და, ალბათ ფიქრებში წასული ვჩანდი. მგონი, ემილიმ სწორად ვერ გამიგო,

რადგან კიდევ უფრო მეტად ტკბილად მითხრა:

– ძალიან ვწუხვარ, რომ გაწყენინე, – ჩემს წინ, თეფშზე, ნამცხვრის ნაჭრებს საგულდაგულოდ ალაგებდა.

– საქმე ისაა, რეიმონდ, რომ მაშინ, ფაქტობრივად, ყველაფერი შეგვეძლო, შენთვის გვეთქვა, რაც ენაზე მოგვადგებოდა. შენ მხოლოდ გაიცინებდი, ჩვენც ვხარხარებდით და ყველაფერი ხუმრობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. სისულელეა ჩემი მხრიდან იმის გაფიქრება, რომ შენ ისეთივე ხარ, როგორიც მაშინ.

– ფაქტობრივად... მეტ-ნაკლებად ისევ ისეთი ვარ. არ მწყენია.

– ვერ მივხვდი, – გააგრძელა მან. ჩანდა, რომ არ მომისმინა. – თუ როგორი სხვანაირი ხარ, ახლა, საფრთხესა და უამრავ რისკთან როგორ ახლოს ხარ.

– მისმინე, ემილი, ასეთი ცუდიც არ ვარ.

– სავარაუდოდ, განვლილმა წლებმა სულ მთლად მშრალზე დაგტოვა. უფსკრულის პირას მდგომი ადამიანივით ხარ – ერთი პატარა ბიძგი და დაიმტვრევი.

– ჩავარდებიო, – ამის თქმა გსურდა.

ემილის ჩაიდანი უნდა აეღო, მაგრამ ჩემკენ მოტრიალდა, რომ ისევ სახეზე შემოეხედა.

– არა, რეიმონდ, ასე ნუ მელაპარაკები, ხუმრობითაც კი. არავითარი მსგავსის გაგონების სურვილიც კი არ მაქვს.

– არა, ვერ გამიგე. შენ მითხარი, რომ დაიმტვრევიო, მაგრამ, თუ უფსკრულის პირას ვდგავარ, ეს იმას ნიშნავს, რომ შიგ ჩავვარდები და არა დავიმტვრევი.

– ეჰ, შე საცოდაო... – ჩანდა, რომ ჩემი ნათქვამის გაგონება ისევ არ სურდა. – იმ ძველი რეიმონდის მხოლოდ ნაშთიღაა დარჩენილი.

ამჯერად გადავწყვიტე, რომ საუკეთესო გამოსავალი მისი უპასუხოდ დატოვება იყო და ცოტა ხანს ჩაიდნის ადუღებას ასე უსიტყვოდ ველოდით. მან მხოლოდ ერთი ფინჯანი გაავსო და წინ დამიდგა.

– ძალიან ვწუხვარ, რეიმონდ, მაგრამ ოფისში უნდა დავბრუნდე. ორი კრებაა დანიშნული და ვერც ერთს ვერ გავაცდენ. სხვა დროს გადავიტანდი, შენი სტუმრობის შესახებ რომ მცოდნოდა, მაგრამ ახლა აღარ შემიძლია. მელოდებიან. საწყალი რეიმონდი. მარტომ აქ რა უნდა აკეთო?

– გადასარევად ვიქნები. ნამდვილად. ფაქტობრივად, მოვიფიქრე კიდეც: შენ აქ არ ყოფნაში სადილი ხომ არ მომემზადებინა? შეიძლება, არც დაიჯერო, მაგრამ ძალიანაც კარგი მზარეული დავდექი. როცა საშობაოდ საჭმელების მომზადება დაგვჭირდა...

– ძალიან სასიხარულოა შენგან, ჩემი დახმარების სურვილი რომ გაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ შენთვის უკეთესი ახლა დასვენება იქნება. ბოლოს და ბოლოს, უცხო სამზარეულოში ტრიალი არც თუ ასე იოლია. მოდი, ისე იგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში – მცენარეული აბაზანა მიიღე, რამე მუსიკას მოუსმინე. როცა დავბრუნდები, სადილზე მე ვიზრუნებ.

– სულაც არაა აუცილებელი, რომ ხანგრძლივი სამუშაო დღის შემდეგ სადილის მომზადებაზე იფიქრო.

– არა, რეი. მიდი, დაისვენე... – საფიზიტო ბარათი ამოიღო და მაგიდაზე დადო. – აქ პირდაპირ ჩემთან დასაკავშირებელი ტელეფონის და მობილურის ნომრები წერია. ახლა უნდა წავიდე, თუმცა ნებისმიერ დროს შეგიძლია დამირეკო და, გახსოვდეს, რომ ჩემ მოსვლამდე არაფერი გააკეთო.

ამ ბოლო დროს სათანადოდ საკუთარ სახლშიც ვერ ვისვენებ. თუ მარტო ვარ, საშინელი მოუსვენრობა მჭირს; ის აზრი მაწუხებს, რომ სად-

ღაც რაღაც მნიშვნელოვან შეხვედრას ვაკლდები, მაგრამ, თუ უცხო სახლში მარტოდ ყოფნა მიწევს, მაშინ სიმშვიდის სასიამოვნო გრძნობა მეუფლება. სხვის დივანში ჩაფლობა და ხელში ნებისმიერი წიგნის აღება ასეთ დროს ჩემი საყვარელი საქმიანობაა და მაშინაც ზუსტად ასე მოვიქეცი, როცა ემილიმ კარი გაიხურა. ყოველ შემთხვევაში, „მენსფილდის პარკიდან“[1] ორი თავის წაკითხვა მაინც მოვასწარი, ვიდრე ასე, ოცი წუთით წავთვლემდი.

როცა გამეღვიძა, ოთახში შუადღის მზე ანათებდა. დივნიდან წამოდგომისთანავე ცხვირი აქეთ-იქით შევყავი. შესაძლოა, დამლაგებლები მართლაც მოვიდნენ, როცა ჩვენ ლანჩისთვის გავედით ან სულაც ასევე შესაძლებელია, რომ ემილიმ სახლი თვითონვე დაალაგა. ასე იყო თუ ისე, დიდი სასტუმრო ოთახი არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. სისუფთავის გარდა აქ თანამედროვე დიზაინის ავეჯი, ხელოვნების ნიმუშებიც დაემატებინათ, თითქოს, იმიტომ რომ ვინმე არაკეთილმოსურნეს ეთქვა: „ცხადია, ყველაფერი ეფექტის მოსახდენად არისო“. ჯერ წიგნები შევათვალიერე, მერე კომპაქტ-დისკების კოლექციით დავინტერესდი. ძირითადად თითქმის მხოლოდ როკი ან კლასიკა იყო, თუმცა, საბოლოოდ, მცირე ხნის ძებნის შემდეგ, ფრედი ასტერის[2], ჩეტ ბეიკერის და სარა ვოენის კოლექციებისადმი მიძღვნილ ბნელ კუთხეში შეყუჟულ, არც თუ ისე მოზრდილ განყოფილებას წავაწყდი. გამიკვირდა, რომ ემილის კომპაქტ-დისკებით თავისი საყვარელი ვინილის ფირების მხოლოდ მცირე ნაწილი ჩაენაცვლებინა, მაგრამ დიდხანს არ მიფიქრია და სამზარეულოსკენ წავედი.

კარადებში ნამცხვარსა და შოკოლადს ვეძებდი, როცა სამზარეულოს მაგიდაზე პატარა უბის წიგნაკი შევნიშნე. იისფერი ბალიშივით ამობურცული ყდა ჰქონდა, რომელიც სამზარეულოს თანაბარი, პრიალა, მინიმალისტური ავეჯის ზედაპირზე იოლი შესამჩნევი იყო. როცა ჩაის ვსვამდი, სამსახურში წასვლამდე, ემილიმ ჩანთა მაგიდაზე ამოაპირქვავა და შიგ სხვა ნივთები ჩაალაგა. სიჩქარისაგან უბის წიგნაკის უკან ჩადება დაავიწყდა და შეცდომით მაგიდაზე დარჩა, თუმცა, უცბად, თავში სხვა აზრმაც გამიელვა, რომ ეს იისფერი ბლოკნოტი რაღაც ინტიმურ დღიურს ჰგავდა და ემილიმ შეგნებულად დატოვა, რათა შიგ ჩამეჭვრიტა. ამა თუ იმ მიზნით, ჩემთან მეტი გულახდილობა ვერ შეძლო და გულში ნადების გაზიარება ასეთნაირად გადაწყვიტა.

ცოტა ხანს ასე ვიდექი – დღიურს მიშტერებული. მერე წინ გადავიხარე, საჩვენებელი თითი შუაში შევყავი და ფრთხილად გადავშალე. ემილის ჩაწიკწიკებული ხელნაწერის დანახვაზე ბლოკნოტიდან თითი უმალვე გამოვიღე და მაგიდას მოვშორდი; საკუთარ თავს ჩავძახოდი, რომ იქ ცხვირის ჩაყოფის უფლება მაშინაც კი არ მქონდა, ემილის დღიური ნამდვილად ჩემს დასანახად რომც დაეტოვებინა.

ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, დივანზე მოვეწყე და „მენსფილდ პარკის“ რამდენიმე ფურცელი წავიკითხე, თუმცა ვგრძნობდი, რომ კონცენტრირების უნარი არ მქონდა. ჩემი გონება ისევ იმ იისფერ უბის წიგნაკს დასტრიალებდა. იქნებ, ეს შემთხვევი-

---

1 „მენსფილდის პარკი“ – ცნობილი ინგლისელი მწერლის, ჯეინ ოსტენის (1775-1817) რომანი;

2 ფრედი ასტერი (1899-1987) – ამერიკელი მოცეკვავე, მომღერალი,მსახიობი და ქორეოგრაფი;

თობა სულაც არ არის ? იქნებ, ემილი ამას რამდენიმე დღეც გეგმავდა? იქნებ, გულმოდგინედ დაწერა, შეადგინა, რომ მე წამეკითხა?

ათი წუთის შემდეგ სამზარეულოში შევედი და იისფერ უბის წიგნაკს ისევ მივაშტერდი. მერე იქ დავჯექი, სადაც ბოლოს ჩაის ვსვამდი, ბლოკნოტი ჩემკენ მოვწიე და გადავშალე.

ერთ რამეს უმალვე მივხვდი: ეს რომ ის დღიური ყოფილიყო, რომელსაც ემილი საკუთარ ფიქრებს ანდობდა, მაშინ სადმე, სხვაგან შეინახავდა. ჩემ წინ, რაც კი შეიძლებოდა, საუკეთესო შემთხვევაში ყოფილიყო, მხოლოდ შელამაზებული სახით წარმოდგენილი შეხვედრების დღიური იდო: ემილის რომ არ დავიწყებოდა, თითოეული თარიღის ქვეშ შენიშვნები ჰქონდა მიწერილი; ზოგიერთ შემთხვევაში ეს მხოლოდ სურვილი იყო. ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერი მსხვილი ფლომასტერით იყო გაკეთებული: „თუ ჯერ არ დაგირეკავს მატილდასთვის, რა ჯანდაბას ელოდები???? დარეკე!!!!“

მეორე ასეთი იყო: „დაამთავრე წყეული ფილიპ როთის[1] კითხვა. დაუბრუნე მარიონს!“

მერე, გვერდების გადაფურცვლისას, ასეთ რამეს წავაწყდი: „ორშაბათს რეიმონდი ჩამოდის. ოჰ, უბედურება, უბედურება!“.

რამდენიმე ფურცელი კიდევ გადავშალე: „რეი ხვალ აქ იქნება. როგორ გადავიტანო?“

ბოლოს, ზუსტად იმ დილით, სხვადასხვა ყოველდღიური საქმეების გასწვრივ მიწერილი: „ღვინის ყიდვა წუწუნის პრინცისთვის“.

წუწუნის პრინცი? ცოტა ხანს იმაზე ფიქრი დამჭირდა, ეს სიტყვები ნამდვილად მე მეხებოდა თუ არა. სხვა შესაძლო ვარიანტების მოსინჯვასაც შევეცადე, მაგალითად, კლიენტი? სანტექნიკი, მაგრამ, თარიღიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემ მეტი სერიოზული კანდიდატი არ არსებობდა. უცბად, ჩემი ასე მოხსენიების გამო, უსამართლობის განცდა დამეუფლა და ისე, რომ, ვერც კი გავაცნობიერე, რას ვაკეთებდი, შეურაცხმყოფელი ფურცელი დავჭმუჭნე.

ეს რაიმე განსაკუთრებულად ფიცხი ქმედება სულაც არ იყო: ფურცელი არც კი დამიხევია. უბრალოდ, თითები იმპულსურად მოვუჭირე და მერე, სულ რამდენიმე წამში, როცა მივხვდი, რაც ჩავიდინე, უკვე გვიან იყო. მუჭა გავხსენი და დავინახე, რომ კიდევ ორი მომდევნო ფურცელიც ჩემი სიბრაზის მსხვერპლი გამხდარიყო. გასწორებას შევეცადე, მაგრამ ისე ჯიუტად იკუჭებოდნენ, თითქოს ქაღალდის ბურთის ფორმის მიცემის და მერე ნაგავში გადაგდების დიდი სურვილი ჰქონდათ. ამის მიუხედავად, რამდენიმე ხანი დაზიანებულ ფურცლებს ხელით ვასწორებდი და ვასწორებდი. ის-ის იყო თავის დანებებას ვაპირებდი, რადგან მივხვდი, რომ ჩემი ძალისხმევა ამაო იყო, რომ რომელიღაც ოთახში ტელეფონის ზარი გაისმა.

გადავწყვიტე, არ მეპასუხა. თავში ისევ ფურცლების გასწორებაზე ფიქრი მიტრიალებდა, მაგრამ მერე ავტომოპასუხე ჩაირთო და ჩარლის ხმა გავიგონე, მესიჯს მიტოვებდა. შეიძლება, ამ ზარში სასიცოცხლო მნიშვნელობის რამ ვიგრძენი ან, შეიძლება, უბრალოდ, ვინმესთვის ჩემი მდგომარეობის გაზიარება მსურდა, ფაქტი ის არის, რომ სასტუმრო ოთახში თავქუდმოგლეჯილი გავვარდი და მინის დაბალ მაგიდაზე ტელეფონს დავწვდი.

---

1 ფილიპ როთი(1933-2018) – ცნობილი ამერიკელი მწერალი;

– უი, აქ ყოფილხარ, – ჩარლი ცოტა გაღიზიანებული ჩანდა, შეტყობინება რომ ბოლომდე არ დავამთავრებინე.

– ჩარლი, მომისმინე... ეს-ესაა რაღაც დიდი სისულელე ჩავიდინე.

– აეროპორტში ვარ, – მითხრა მან. – ფრენა გადაიდო. მინდა, ფრანკფურტის ტრანსპორტის მომსახურების ფირმაში დავრეკო, რომ ტაქსი გამომიგზავნონ, მაგრამ მათი ნომერი თან არ მაქვს. ასე რომ, შენი დახმარება მჭირდება. იქნებ, ნომერი მიკარნახო?

მან ინსტრუქციების მოცემა დამიწყო, სად მეპოვა ტელეფონის წიგნი, მაგრამ შევაწყვეტინე:

– მომისმინე, ეს-ესაა რაღაც სისულელე დამემართა. არ ვიცი, რა ვქნა.

ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე მითხრა:

– შესაძლოა, ფიქრობ რეი, ალბათ, გგონია, რომ ვიღაც სხვა მყავს და სახლიდან სწორედაც მის სანახავად წამოვედი. თავში აზრმა გამიელვა, რომ შეიძლება ასეც ფიქრობდე. ბოლოს და ბოლოს, იმ ყველაფრის მერე, რაც ნახე, შეიძლება, ასეთი დასკვნაც გააკეთე. ემილის ქცევიდან გამომდინარე, როცა აქეთ მოვემგზავრებოდი და ყველა სხვა რამესთან ერთადაც, მაგრამ ცდები.

– დიახ, მესმის შენი, მაგრამ შენთან სხვა რამეზე მსურდა საუბარი...

– აღიარე ეს, რეი. შენ ცდები. სხვა ქალი არ არსებობს. ფრანკფურტში დანიშნულ შეხვედრაზე ჩვენი პოლონეთის სააგენტოს შეცვლის თაობაზე მივდივარ. აი, სად მივდივარ.

– კარგი, გასაგებია.

– სხვა ქალი არც არასოდეს მყოლია. სხვისთვის არც შემიხედავს, ოდნავ სერიოზულადაც კი. ეს სიმართლეა. წმინდა წყლის სიმართლეა და მეტიც არაფერი!

ჩარლი ყვირილზე გადავიდა. ალბათ, სამგზავრო დარბაზის ხმაური რომ გადაეფარა, მერე დადუმდა და ვცდილობდი, გამერკვია, ისევ ხომ არ ტიროდა, მაგრამ, აეროპორტის ხმაურის გარდა, ვერაფერი გავარჩიე. უცბად მითხრა:

– ვიცი, ახლა რასაც ფიქრობ. ფიქრობ: „კი ბატონო, სხვა ქალზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ ვინმე კაცი ხომ არაა საქმეში გარეული? გამოტყდი, ხომ ესაა, რაზეც ფიქრობ? მიდი, აღიარე!

– არა, თავში არასოდეს აზრადაც არ მომსვლია, რომ შეიძლება გეი იყო. მაშინაც კი, როცა გამოსაშვებ გამოცდებს მოვრჩით და ისე დათვერი, რომ თავს აჩვენებდი თითქოს...

– მოკეტე, იდიოტო! სხვა კაცში ემილის საყვარელი ვიგულისხმე! ემილის საყვარელი! ნეტა საერთოდაც ბუნებაში თუ არსებობს ასეთი წყეული ვინმე? ამის შესახებ მაქვს საუბარი და ჩემი გამოტანილი გადაწყვეტილების მიხედვით, არა, არა და არა! მთელი ეს წლები ის საკმაოდ კარგად გავიცანი, მაგრამ უბედურება იცი რაშია? ზუსტადაც იმიტომ, რომ მას ასე კარგად ვიცნობ, სხვა რამის თქმაც შემიძლია. შემიძლია გითხრა, რომ მან ამაზე ფიქრი უკვე დაიწყო. ეს ასეა, რეი, თვალი სხვა მამაკაცებისკენაც უჭირავს. მათ შორის ერთ-ერთი ის წყეული დევიდ ქორეია!

– ეგ ვინღაა?

– წყეული დევიდ ქორეი – მლიქვნელი, არამზადა ადვოკატი, თანდათან რომ იფურჩქნება. ზუსტად ვიცი, წარმატებებს აღწევს, რადგან ემილი მიყვება ხოლმე იმ აუტანელ დეტალებზე.

– შენ ფიქრობ,რომ... ისინი ერთმანეთს ხვდებიან?

– არა, შენ რაა? არ მისმენ? ასეთი ჯერ-ჯერობით არაფერია! წყეული დევიდ ქორეი მას ზედაც არ შეხედავს. ცოლად ერთი ლამაზმანი ყავს, რომე-

1 „მერილ ლინჩი“ – ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი;

ლიც „qondeé nast“-ში მუშაობს.

– მაშინ, არც უნდა გეშინოდეს...

– უნდა მეშინოდეს, იმიტომ რომ არსებობს კიდევ მაიკლ ედისონი და როჯერ ვან დერ ბერგი – „მერილ ლინჩის„ ამომავალი ვარსკვლავი, რომლის გარეშეც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი არც ერთ წელს ისე არ ჩაივლის...

– მომხედე, ჩარლი, მომისმინე, გეთაყვა. აქ უსიამოვნება შემემთხვა. უმნიშვნელო, რა თქმა უნდა, თუმცა, რაც არ უნდა იყოს,,მაინც არასასიამოვნოა. მომისმინე, გთხოვ.

როგორც იქნა, მოვახერხე და ვუთხარი, რაც დამემართა. რამდენადაც შემეძლო, ყველაფერი გულახდილად ვუამბე, თუმცა მხოლოდ გაკვრით ვახსენე ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ემილიმ უბის წიგნაკი ჩემ დასანახად შეგნებულად დატოვა.

– ვიცი, რომ ნამდვილად გავბრიყვდი, – დავუმატე ბოლოს. – მაგრამ უბის წიგნაკი პირდაპირ იქ იდო, სამზარეულოს მაგიდაზე.

– დიახ, – ჩარლი ცოტა დაწყნარდა. – დიახ, გასაგებია. საკუთარ თავს ცხვირის იქ ჩაყოფის ნება მიეცი.

მერე ჩარლიმ გაიცინა. ამით შეგულიანებულს, მეც გამეცინა.

– ალბათ, ეს ამბავი გულთან მეტისმეტად ახლოს მიმაქვს, – ვთქვი მე. – ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ პირადი უბის წიგნაკი არ არის?! უბრალოდ, ჩანაწერების ბლოკნოტია, მეტიც არაფერი...

მეტი აღარაფერი მითქვამს, რადგან ჩარლი არ ჩერდებოდა და სიცილი თითქოს ისტერიკაში გადაუვიდა, მერე შეწყვიტა და კატეგორიულად განაცხადა:

– ემილი რომ გაიგებს, ყვერებს დაგაჭრის!

წუთიერი დუმილი ჩამოვარდა, აეროპორტის ხმაური მესმოდა, მერე გაგრძელა:

– დაახლოებით, ასე, ექვსი წლის წინათ, მე თვითონაც გადავშალე ეს უბის წიგნაკი ან, შეიძლება, მაშინდელი სხვა... შემთხვევით, სამზარეულოში ვიჯექი და ემილი საჭმელს აკეთებდა. იცი? უბრალოდ, დაუდევრად გადავშალე, როცა რაღაცას ვამბობდი. ემილიმ მაშინვე შენიშნა და უკმაყოფილება გამოხატა. სწორედ მაშინ მითხრა, რომ ყვერებს დამაჭრიდა. თან ხელში ცომის გასაბრტყელებელი ეჭირა, ამიტომ შევნიშნე, რომ, რასაც მემუქრებოდა, კარგად ვერ გამოუვიდოდა. მერე ასე მითხრა: „ცომის საგორავი, მერე – ჯერ ყვერებს მოგაჭრი და მერე გაგაბრტყელებო“.

ყურმილში თვითფრინავში ჩასხდომის გამოცხადების ხმა გაისმა.

– რას მირჩევ? რა გავაკეთო? – შევეკითხე.

– რა უნდა ქნა? რა და ფურცლების ხელით დაუთოება განაგრძე. შეიძლება, ვერც შეამჩნიოს.

– ვეცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. არ არსებობს, არ შეამჩნიოს...

– მისმინე, რეი, თავში უამრავი აზრი მიტრიალებს. რის თქმასაც შენთვის ვცდილობ, ის არის, რომ ყველა ის მამაკაცი, რომლებზეც ემილი ოცნებობს, პოტენციური საყვარლები არ არიან. უბრალოდ, აღტაცებულია, რადგან მათში სრულყოფილებას ხედავს, ნაკლს ვერც კი ამჩნევს. მათ აშკარა, ცხოველურ ხასიათს. ნებისმიერ შემთხვევაში, მათთან საერთო არაფერი გააჩნია. საქმე ისაა, რომ, სამწუხაროა თუ სასაცილო, გულის სიღრმეში მე ვუყვარვარ. ისევ ვუყვარვარ. ამაში დარწმუნებული ვარ.

– ასე, რომ ჩარლი, ვერაფერს მირჩევ.

– არა! არ მაქვს ეს წყეული რჩევა! – ისევ მთელი ხმით მიყვიროდა: – შენ თვითონ მოიფიქრე! შენ შენს თვითმფრინავში ჩაჯექი, მე – ჩემსაში და ვნახავთ, რომელი მათგანი ჩამოვარდება!

ამ სიტყვებით ჩარლიმ ტელეფონი გამითიშა. დივანზე დავეცი და ღრმად ჩავისუნთქე. საკუთარ თავს შთავაგონე, რომ ასეთი უმნიშვნელო რამის საქმედ ქცევა და ნერვიულობა არ ღირდა, თუმცაღა, შინაგანად გულისამრევი პანიკის შეგრძნება დამეუფლა. თავში სხვადასხვა აზრმა გამიელვა. ერთი ის იყო, რომ უბრალოდ გავპარულიყავი და ჩარლისა და ემილისთან ყოველგვარი კონტაქტი გამეწყვიტა; მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მათთვის ფრთხილი, კარგად აწონ-დაწონილი სიტყვებით დაწერილი წერილი გამეგზავნა, მაგრამ ჩემს მაშინდელ მდგომარეობაში მყოფმაც კი, ამ გეგმაზე უარი ვთქვი, რადგან ზედმეტად სავალალოდ მივიჩნიე. უპრიანი იქნებოდა, რომ მათი ბარის სასმელები საგულდაგულოდ შემესწავლა და, როდესაც ემილი შინ მობრუნდებოდა, გალეშილი დავხვედროდი. მაშინ იოლად შევძლებდი მეღიარებინა, რომ მის დღიურს გადავხედე და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ფურცლები დავაზიანე. ფაქტობრივად, უზომოდ გამტყვრალს შემეძლო, დაზარალებული მხარის როლიც მომერგო, მეყვირა და სიტყვა გადამეკრა, თუ როგორ მწარედ მატკინა გული იმ ადამიანის მიერ დაწერილმა სიტყვებმა, რომლის სიყვარულსა და მეგობრობასაც ყოველთვის მნიშვნელობას ვანიჭებდი; მათ მაშინაც არ ვივიწყებდი, როცა იმ უცხო ქვეყანაში მარტოდმარტოდ ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი მედგა. პრაქტიკულად, ამ გეგმას განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ სადღაც, მის სიღრმეში, იქ, სადაც წამით შეჭვრეტაც კი არ მინდოდა, მარწმუნებდა, რომ ეს მიუღებელი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონმა დარეკა და ისევ ჩარლის ხმა გაისმა. როცა ყურმილი ავიღე, წინანდელთან შედარებით, წყნარად მესაუბრა.

– უკვე გასასვლელთან ვარ, – მითხრა მან. – ბოდიშს გიხდი, თუ წელან ცოტა აღშფოთებულმა გესაუბრე. აეროპორტებში ყოველთვის ასე ვარ. ვიდრე ასაფრენ ბილიკზე არ დავდგები, ვერ ვწყნარდები. რეი, მისმინე, რაღაც ახალი აზრი გამიჩნდა, ჩვენს სტრატეგიასთან დაკავშირებით.

– ჩვენი სტრატეგია?

– ჰო, ჩვენი საერთო სტრატეგია. რა თქმა უნდა, ხვდები, რომ საკუთარი თავის უკეთესად წარმოჩენის მიზნით, ჭეშმარიტების შელამაზების დრო სულაც არ არის. ამ სიტუაციაში უწყინარი ტყუილის თქმაც არაფრით არ შეიძლება. არა, არა. ეს დავალება რატომაც მოგეცი, ხომ არ დაგავიწყდა? მე შენ გენდობი, რეი. ისე მოიქეცი, როგორიც ბუნებრივად ხარ. ჩვენი სტრატეგია ამას საჭიროებს.

– მომისმინე, რაა. მე მგონი, მივხვდი, რომ მის თვალში დიდებული კერპივით უნდა გამოვჩნდე.

– დიახ, სიტუაციას სწორად აფასებ და ამისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ ეს-ესაა რაღაც სხვა აზრი მომივიდა – შენს რეპერტუარში ერთი პატარა რამ არის, ერთი უმნიშვნელო დეტალი, რომელიც შეიძლება, შენი როლისთვის არ გამოგადგეს. რეი, ემილი აღირებს, რომ შენ კარგი მუსიკალური გემოვნება გაქვს.

– ეჰ...

– ის ამას მხოლოდ იმ იშვიათი შემთხვევების დროს ამბობს, როცა ჩემთან რაიმე მაგალითისთვის სჭირდები. ეს ერთადერთი ის მცირე დეტალია, რომელმაც შესაძლოა, ხელი შეგიშალოს. ამიტომ, რეი, უნდა დამპირდე, რომ ემილის ამ თემაზე არ ესაუბრები.

– ოჰ, ღვთის გულისათვის...

– უბრალოდ, ჩემთვის გააკეთე ეს, რაა, რეი. ისეთს არაფერს გთხოვ. მის საყვარელ საესტრადო სევდიან მუსიკაზე არ ილაპარაკო, მეტი არაფერი და თუ ამ თემაზე საუბარს თვითონ დაიწყებს, გაატარე, ვითომ არ გესმის. სულ ესაა, რასაც გთხოვ. დანარჩენ შემ-

თხვევაში ჩვეულებისამებრ მოიქეცი. ასე რომ, რეი, შენს იმედად ვიყო, ხო?

– კარგი, ასე იყოს. ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი მაინც თეორიაა. რაღაც მგონია, რომ ამ საღამოს ჭორაობა სულაც არ მოგვიწევს.

– კარგია! ასე რომ, შევთანხმდით. მოდი, ახლა, ისევ შენს უმნიშვნელო პრობლემას დავუბრუნდეთ. შენთვის სასიამოვნო უნდა იყოს, ამაზე რომ ვიფიქრე და გამოსავალიც ვიპოვე. მისმენ?

– დიახ, გისმენ.

– ერთი წყვილია, დროდადრო გვაკითხავენ ხოლმე – ანჯელა და სოლი. ცუდი ადამიანები არ არიან, მაგრამ მეზობლები რომ არ იყვნენ, მათთან საერთო სულაც არაფერი გვექნებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ხშირად შემოგვივლიან ხოლმე ფინჯან ჩაიზე. საქმეც სწორედაც რომ ამაშია. დღის სხვადასხვა დროს გამოჩნდებიან ხოლმე, როცა ჰენდრიქსს ასეირნებენ.

– ჰენდრიქსი?

– ჰენდრიქსი ერთი აყროლებულსუნიანი, დაუმორჩილებელი, ადამიანის ნამდვილი მკვლელი ლაბრადორია, თუმცა ის ანჯელასა და სოლის შვილის მაგივრობას უწევს, რომელიც არ ჰყავთ ან ჯერ არ გაუჩენიათ. სრულიად სარწმუნოა, რომ ჯერ კიდევ ამის ასაკი არა აქვთ, მაგრამ, არა, მთავარია, რომ ძვირფასი, საყვარელი ჰენდრიქსი ჰყავთ და, როცა ისინი გვსტუმრობენ, საყვარელი ჰენდრიქსი, ყველაზე ბოროტი მძარცველის მსგავსად, ყველაფერს აფუჭებს, რასაც კი მისწვდება. ტორშერი გადმოაგდო. „ოჰ, ძვირფასო, ნუ ინერვიულებ, საყვარელო. ხომ არ შეგეშინდა?“ აი, ასეთი ამბებია. ახლა კი მომისმინე: გასულ წელს სახლში, დაბალ მაგიდაზე, ერთი ძვირადღირებული, ნახატების ფოტოებით სავსე სასაჩუქრე ალბომი გვედო, რომელზეც ჩრდილოეთ აფრიკის ციხესიმაგრესთან ახალგაზრდა გეების პოზიორობის ამსახველი ფოტოც იყო აღბეჭდილი. ემილის ალბომის განსაკუთრებით ეს გვერდი მოსწონდა და მაგიდაზეც ყოველთვის ასე გადაშლილს დებდა, რადგან თვლიდა, რომ დივნის ფერს შეეფერებოდა. ჭკუიდან შეიშლებოდა, თუ ალბომს სხვა გვერდზე გადაშლილს დატოვებდი. მიუხედავად ყველაფრისა, გასულ წელს ჰენდრიქსი გვესტუმრა და მთელი ალბომი დაღრღნა. ზუსტად ასე: ზუსტად იმ პრიალა ფოტოს ჩაავლო კბილები და, ვიდრე დედიკო დაარწმუნებდა, რომ უნდა გაჩერებულიყო, ასე, ოცამდე გვერდი მთლიანად პირში ჩაიდო და დაღეჭა. ხვდები, ხომ ამას რატომაც გიყვები?

– დიახ. ვხვდები, რომ რაღაცას გადაკრულად მეუბნები, მაგრამ...

– კარგი, მაშინ სიტყვა-სიტყვით, პირდაპირ გეტყვი. აი, რაც ემილის უნდა უამბო: კარზე დარეკეს, შენ გააღე. ზღურბლზე ეს წყვილი იდგა ჰენდრიქსთან ერთად, რომელიც გააფთრებული შემოვარდა. მათ გითხრეს, რომ სახლის პატრონის მეგობრები – ანჯელა და სოლი იყვნენ და ერთი ჭიქა ჩაის დალევა სურდათ. შენ ისინი შინ შემოიპატიჟე. ჰენდრიქსი გადარეული დარბოდა, უბის წიგნაკს დააცხრა და დაგლიჯა. მეტისმეტად დამაჯერებელია. რა იყო? მადლობას რატომ არ მეუბნები? თუ ეს ვარიანტი არ მოგეწონათ, სერ?

– ძალიანაც მადლიერი ვარ, ჩარლი. უბრალოდ, ჩავფიქრდი. მხოლოდ ერთი რამ არის... მაშინ რა ვქნა, თუ ისინი ნამდვილად გვესტუმრებიან? ვგულისხმობ, მაშინ, როცა ემილი უკვე შინ იქნება?

– შესაძლოა, რომ ასეც მოხდეს. მაშინ, ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, რომ ძალიან, ძალიან უიღბლო ყოფილხარ, თუ ასე მოხდა. „ხშირად სტუმრობაში“ მაქსიმუმ თვეში ერთხელ ვიგულისხმე. ასე რომ, რაღაც წვრილმანების კირკიტს

მორჩი და ჩემი მადლიერი იყავი.

– მაგრამ ჩარლი, ცოტა უცნაური ხომ არ არის, რომ ძაღლი მაინცდამაინც იმ უბის წიგნაკს მივარდა და ზუსტად ის გვერდები დაგლიჯა?

გავიგონე, როგორ ამოიოხრა.

– აი, ეს კი აღარ მიფიქრია, რომ ყველაფრის ახსნა დეტალურად მომიწევდა. ბუნებრივია, ოთახის უმნიშვნელოდ მომზადება დაგჭირდება. ტორშერს გადააყირავებ, სამზარეულოს იატაკზე შაქარს დაყრი. ისეთნაირად მოაწყობ, თითქოს ეს ყველაფერი ჰენდრიქსმა ჩაიდინა. უნდა წავიდე, თვითმფრინავში ჩასხდომა იწყება. უკვე გერმანიიდან დაგიკავშირდები.

როცა ჩარლის ვუსმენდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, როცა ვინმე თავის სიზმარს გიამბობს ან იმას გიხსნის, როგორ დაამტვრია ავტომობილის კარი. საუცხოოდ მოფიქრებული გეგმა იყო, გონივრული, მაგრამ არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა ან გამეკეთებინა, როცა ემილი შინ დაბრუნდებოდა და უფრო და უფრო ვნერვიულობდი, თუმცა, როცა ჩარლიმ ყურმილი დაკიდა, ვიგრძენი, მისმა საუბარმა ჩემზე ჰიპნოზის მსგავსი გავლენა მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ მის შემოთავაზებას იდიოტურად ვთვლიდი, მთელი არსებით გადაწყვეტილების შესასრულებლად მოვემზადე.

ტორშერი იატაკზე დავამხე. ვფრთხილობდი, არაფერი გამეტეხა და ჯერ აბაჟური მოვაძვრე და მხოლოდ მაშინ დავაფარე უკუღმა, როცა უკვე იატაკზე მქონდა წაქცეული. მერე წიგნის თაროდან ლარნაკი გადმოვიღე, ფარდაგზე დავდე და გარშემო ის გამხმარი ბალახები მიმოვაბნიე, რომლებიც შიგ ეწყო. დაბალ მაგიდასთან მოხერხებული პატარა ადგილი ავარჩიე, სადაც ქაღალდებით სავსე კალათა უნდა ამომეპირქვავებინა. ისე უცნაურად ვმოქმედებდი, თითქოს უსხეულო ვიყავი. იმედი არ მქონდა, რომ აქედან რამე გამოვიდოდა, მაგრამ მთელმა ამ პროცედურამ რაღაცნაირად დამამშვიდა. მერე გამახსენდა, რომ ეს ვანდალიზმი დღიურის გამო დამჭირდა და სამზარეულოსკენ გავწიე.

მცირე ხნის ფიქრის შემდეგ ჭურჭლის კარადიდან საშაქრე გამოვიღე, მაგიდაზე, იისფერ უბის წიგნაკთან ახლოს მოვათავსე და ფრთხილად ამოვატრიალე. ასე იქამდე დავტოვე, ვიდრე იქიდან შაქარი გადმოიყარა. ცოტა წვალება დამჭირდა, რომ წონასწორობა დამეცვა და საშაქრე მაგიდის ნაპირიდან იატაკზე არ გადაგორებულიყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოვახერხე. იმ დროისთვის ის შემაწუხებელი პანიკის შეგრძნებაც უკვე აღარ მტანჯავდა. ვერ ვიტყვი, რომ თავს ბოლომდე მშვიდად ვგრძნობდი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმას კი ვაცნობიერებდი, თუ როგორ სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, დივანზე წამოვგორდი და ჯეინ ოსტენის წიგნი გადავშალე. რამდენიმე ხაზის წაკითხვის შემდეგ, საშინელი დაღლილობა დამეუფლა და, ვერც მივხვდი, ისე ღრმად ჩამეძინა.

ტელეფონის ზარმა გამომაღვიძა. როცა ავტომოპასუხემ ემილის ხმით დაილაპარაკა, წამოვდექი და ყურმილი ავიღე.

– ღმერთო ჩემო! რეიმონდ, როგორც ჩანს, შინ ხარ. რას შვები, ძვირფასო? თავს როგორ გრძნობ? დასვენება თუ მაინც მოასწარი?

დავარწმუნე, რომ დავისვენე და მეძინა კიდეც.

– ოჰ, შე საწყალო! ალბათ, კვირეებია, რაც წესიერად არ გძინებია და, როგორც კი წათვლიმე, მეც დავრეკე! მაპატიე, თუ შეიძლება! და კიდევ იმიტომ უნდა მაპატიო, რომ შენი წყენინება მომიწევს. აქ, სამსახურში, უამრავი საქმეა და იმ დროს ვერ მოვალ, როგორც მეგონა. ფაქტობრივად, სულ

მცირე, აქ ჯდომა კიდევ ერთ საათს მომიწევს. უჩემოდ არ მოიწყენ, ხომ?

გავუმეორე, რომ დავისვენე და თავსაც ბედნიერად ვგრძნობდი.

– აშკარაა, ახლა გაცილებით მტკიცე ხმით მელაპარაკები. ძალიან ვწუხვარ, რეიმონდ, მაგრამ საქმე არ იცდის. ისე იგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში. ნახვამდის, ძვირფასო.

ყურმილი დავკიდე და გავიზმორე. უკვე ბინდდებოდა, ოთახებს ჩამოვუარე და სინათლე ავანთე. მერე ჩემს „გაფუჭებულ“ სასტუმრო ოთახშიც შევიხედე და, რაც უფრო დიდხანს ვუმზერდი, უწესრიგობა სულ უფრო და უფრო ზედმეტად არაბუნებრივად მეჩვენებოდა. შინაგანად კვლავ იმ პანიკურმა შიშმა მომიცვა.

ტელეფონი ისევ აწკრიალდა. ამჯერად ჩარლი რეკავდა. როგორც მითხრა, ფრანკფურტის აეროპორტში ბარგის ასაღებ მბრუნავ კონვეიერთან იდგა.

– დიდი დრო სჭირდება. ჯერ ერთი, ჩანთაც არავის აუღია. მანდ რას შვები? ქალბატონი ხომ არ დაბრუნებულა?

– ჯერ არა. მისმინე, ჩარლი, ის შენი გეგმა... არა მგონია, რომ გამოგვადგეს.

– ამით რისი თქმა გსურს? არ მითხრა, რომ მთელი ეს დრო, მოქმედების ნაცვლად, უსაქმოდ ჩხირკედელაობდი.

– არა, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მითხარი. ყველაფერი ავურდავურიე, მაგრამ რაღაც არადამაჯერებლად გამოვიდა. ძაღლის ნამოქმედარის ნაცვლად ნახატების გამოფენას უფრო დაემსგავსა.

ცოტა ხანს ჩუმად იყო, ეტყობოდა, რომ მთელი ყურადღება მბრუნავ კარუსელზე ჰქონდა გადატანილი. მერე მითხრა:

– მესმის შენი პრობლემის. სხვის საკუთრებაში ხარ. ხელს წესიერადაც ვერ ანძრევ. მისმინე, რამდენიმე ნივთს დაგისახელებ, რომლის გაფუჭებაც უზომოდ მინდა. გესმის, რეი? მინდა, რომ ის ნივთები დააზიანო. ის სულელური ფაიფურის ხარი, სი-დი პლეიერთან რომ დგას. იმ ოხრად დასარჩენი დევიდ ქორნეის ლაგოსიდან ჩამოტანილი საჩუქარია. ამით დაიწყე. ფაქტობრივად, სულაც ფეხებზე მკიდია, რას გააფუჭებ. თუ გინდა, ყველაფერიც დალეწე!

– ჩარლი, მგონი, უნდა დაწყნარდე.

– კარგი, კარგი. ეს სახლი ნაგვითაა გამოტენილი. ჩვენს ამჟამინდელ ოჯახურ ცხოვრებას ჰგავს. ძველმანებითაა გადატენილი. კიდევ ის წითელი ფუმფულა დივანიც. ხვდები, რომელზეც გეუბნები, რეი?

– დიახ. ეს ესაა მასზე მეძინა.

– დიდი ხნის წინათ უნდა მოგვესროლა. რატომ არ გინდა, რომ გადასაკრავი გაარღვიო და მისი შიგთავსი ოთახში დაყარო?

– ჩარლი, თავი ხელში უნდა აიყვანო. ასე მგონია, თითქოს სულაც არ გინდა, რომ დამეხმარო. უბრალოდ, შენი გაცოფებისა და იმედგაცრუებიდან თავის დასაღწევ იარაღად მიყენებ...

– ოჰ, მოკეტე, რაა. სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! რა თქმა უნდა, ვცდილობ, რომ დაგეხმარო და, რა თქმა უნდა, ჩემი გეგმაც კარგია. გარანტიას გაძლევ, რომ გამოგადგება. ემილის ის ძაღლი ისევე ეზიზღება, როგორც ანჯელა და სოლი. ასე, რომ მათი კიდევ უფრო მეტად შეზიზღების შანსს ხელიდან არ გაუშვებს. მისმინე: – უცბად ჩურჩულზე გადავიდა. – ერთ სანდო დარიგებას მოგცემ, საიდუმლოს, რომელიც ემილის ყველაზე მეტად დაარწმუნებს. ამაზე ცოტა ადრე უნდა მეფიქრა. რამდენი დრო დაგრჩა?

– დაახლოებით ერთი საათი.

– მშვენიერია. ყურადღებით მომისმინე. სუნი... აი, რაც უნდა მეთქვა. სახლი ძაღლის სუნად უნდა ყარდეს. მაშინვე, რა წამსაც ემილი კარის ზღურბლს გადმოაბიჯებს, ამ სუნს იგრძნობს, თუნდაც ქვეცნობიერად მაინც. ოთახში შემოვა, იატაკზე ძვირფასი დევიდის ნაჩუქარ, ჩინური ფაიფურის ხარის

ნამსხვრევებს დაინახავს, იმ წითელი დივნის ყველგან მიმოფანტულ ჭუჭყიან შიგთავსს თვალს მოჰკრავს...

– იცი, რაა, მე არ მითქვამს, რომ...

– მოიცა, მისმინე! ყველა ამ ნამსხვრევ-ნამტვრევს დაინახავს და მყისიერად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მათ ძაღლის სუნთან დააკავშირებს. სიტყვის სათქმელად პირის გაღებასაც ვერ მოასწრებ, რომ თვალწინ მაშინვე ჰენდრიქსი დაუდგება მთელი თავისი შემოქმედებით. ამაშია მთელი მშვენიერება!

– რაღაცას ნუ მიედ-მოედები რა, ჩარლი. კარგი და, ძაღლის სუნი რანაირად უნდა დავაყენო?

– როგორ და ზუსტად ვიცი... – ისევ იმ გაღიზიანებული ჩურჩულით ლაპარაკობდა: – ზუსტად ვიცი, რაც უნდა გააკეთო, რადგან მე და ტონი ბარტონი მეექვსე კლასში ასე ვაკეთებდით ხოლმე. მას ამის რეცეპტი ჰქონდა, მაგრამ მე უფრო დავხვეწე.

– მაგრამ, რატომ?

– რატომ? იმიტომ, რომ მისი რეცეპტით მიღებული სუნი მყრალი კომბოსტოსას უფრო ჰგავდა, ვიდრე ძაღლისას.

– არა, მინდოდა მეთქვა, თუ რამ მოგაფიქრა... კარგი, ჰო, დაივიწყე. შეგიძლია, მიკარნახო. მხოლოდ თუ გარეთ გასვლა და ქიმიური რეაქტივების ყიდვა არ დამჭირდება.

– კარგი. როგორც იქნა, მიხვდი, რეი. კალამი მოიმარჯვე. ჩაიწერე და აი, ისიც მოდის, როგორც იქნა.

ტელეფონი, ალბათ, ჯიბეში ჩაიდო, რადგან რამდენიმე წუთით მხოლოდ მისი მუცლის ბუყბუყი მესმოდა. მერე ისევ გავიგონე:

– ახლა უნდა წავიდე. ასე რომ, ჩაიწერე. მზად ხარ? აიღებ საშუალო ზომის ქვაბს. ალბათ, უკვე ქურასთან ახლოს, ლითონის თაროზე იდება, ჩაასხამ ასე, დაახლოებით, ერთ პინტამდე წყალს, დაუმატებ საქონლის ხორცის ორ კუბიკ ნახარშს, ერთ დესერტის კოვზ კვლიავს, ერთ სუფრის კოვზ წიწაკას, ორ სუფრის კოვზ ძმარს, დიდი რაოდენობით დაფნის ფოთოლს. ყველაფერი გასაგებია? ახლა შიგ ტყავის ფეხსაცმელი ან ბათინკი ისე მოათავსე, თავდაყირა, რომ ლანჩი მთლიანად არ ჩაიძიროს, თორემ დამწვარი რეზინის სუნს მიიღებ. შემდეგ ქურას ჩართავ, სითხეს ადუღებამდე მიიყვან, ცოტა ხანს ნელი ცეცხლი მიეცი და ძალიან მალე სუნსაც იგრძნობ. საზიზღარი სუნი სულაც არა აქვს. ტონი ბარტონისეულ რეცეპტში ბაღის მოლუსკებიც შედიოდა, მაგრამ ჩემი უფრო დახვეწილია. ზუსტად ძაღლის სუნს ჰგავს. ვიცი, რომ მკითხავ, ინგრედიენტები სად ვიშოვოო. ყველა სანელებელი და საჭირო ინგრედიენტი სამზარეულოს კარადაშია, ხოლო კიბის ქვეშ, საკუჭნაოში ძველ ბათინკებს ნახავ. ბათინკები და არა ჩექმები. მხედველობაში გაცვეთილი წყვილი ბათინკი მაქვს, ყოველ დღე მეცვა ხოლმე. ახლა უკვე გაცვდა და გადასაყრელია. იქიდან ამოარჩიე. რა დაგემართა? იცი, რა, რეი, ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გითხარი, კარგი? საქმეს მიხედე. გეუბნები, გაბრაზებული ემილი საშინელებაა-მეთქი. ახლა უნდა წავიდე და გახსოვდეს, რომ შენი გასაოცარი მუსიკალური ცოდნით თავი არ უნდა მოიწონო.

ალბათ, მკაფიო და გასაგები, თუმცა არასანდო ინსტრუქციის გამო იყო – როცა საუბარი დავამთავრე, მაშინვე დავმშვიდდი და საქმიანი განწყობა დამეუფლა. ზუსტად ვიცოდი, რაც უნდა მექნა. სამზარეულოში შევედი და სინათლე ავანთე. საშუალო ზომის ქვაბი მართლაც ლითონის თაროზე დამხვდა და გამოსაყენებლადაც მზად იყო. წყლით ნახევრამდე ავავსე და ისევ ქურაზე დავდგი. როცა ამას ვაკეთებდი, მივხვდი, რომ რაღაც სხვა რამეც უნდა გამეთვალისწინებინა, უფრო ზუსტად, უნდა განმესაზღვრა, ამ ყველაფრის

მოსასწრებად რა დრო დამჭირდებოდა.

სასტუმრო ოთახში შევედი და ემილის სამსახურის ტელეფონის ნომერი ავკრიფე.

მისმა ასისტენტმა მიპასუხა და მითხრა, რომ ემილი შეხვედრაზე იყო. ისეთი მეგობრული, თუმცა მტკიცე, დაჟინებული ტონით ვთხოვე ემილისთან დალაპარაკება, რომ იძულებული გახდა, შეხვედრიდან გამოეყვანა (თუ ის ნამდვილად იქ იყო). მალე ემილის ხმაც გავიგონე:

– რეიმონდ, რაშია საქმე? რამე მოხდა?

– არაფერიც არ მოხდა. უბრალოდ, მაინტერესებს, როგორა ხარ.

– რეი, რაღაც უცნაური ხმა გაქვს. რაშია საქმე?

– უცნაურ ხმაში რას გულისხმობ? უბრალოდ, მინდა ვიცოდე, როდის დაბრუნდები. შენი აზრით, უსაქმური ვარ, მაგრამ დღის განრიგი ჩემთვის მაინც რაღაცას ნიშნავს.

– კარგი, კარგი, რეიმონდ. გასაბრაზებელი აქ არაფერია. ახლავე გეტყვი. ასე, ალბათ, ერთ საათში... შესაძლოა, საათ-ნახევარშიც. საშინლად ვწუხვარ, მაგრამ აქ იმდენი საქმეა, რომ...

– ერთი საათიდან ოთხმოცდაათ წუთამდე. მშვენიერია. სულ ეს არის, რისი გაგებაც მსურდა. კარგი, მალე გნახავ. შეგიძლია, ახლა ისევ შენ საქმეს მიხედო.

მგონი, ემილი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ყურმილი დავკიდე და ისევ სამზარეულოსკენ გავემართე, რადგან გადაწყვეტილების შეცვლის შემეშინდა. ფაქტობრივად, აშკარად გავხალისდი და თავადაც ვერ ვიგებდი, სულ ცოტა ხნით ადრე, სასოწარკვეთილება რატომ დამეუფლა. კარადებში შევძვერი და ლითონის შემოსადგმელზე ყველა საჭირო ბალახეული და სანელებელი აკურატულად ჩამოვამწკრივე. შემდეგ მათი ზუსტი რაოდენობა გავზომე, წყალში ჩავყარე, სწრაფად მოვურიე და ბათინკების მოსაძებნად საკუჭნაოსკენ გავეშურე.

კიბის ქვეშა საკუჭნაოში ნახმარი და გაცვეთილი ფეხსაცმელების მთელი გროვა დამხვდა. რამდენიმეწუთიანი გულმოდგინე ძებნის შემდეგ, ზუსტად ის ბათინკები ვიპოვე, რომელიც ჩარლიმ აღმიწერა: განსაკუთრებული ნიმუში, რომლებსაც ქუსლთან ძველისძველი ტალახი ისევ შერჩენოდა. ბათინკები ორ თითზე ჩამოვიკონწიალე, სამზარეულოში შევიტანე და წყალში ფრთხილად ჩავდე, ისე, რომ ლანჩები ჭერს უყურებდნენ. მერე ქვაბს საშუალო ცეცხლი მივეცი, მაგიდასთან მოვკალათდი და წყლის გაცხელებას დაველოდე. როცა ტელეფონმა დარეკა, ქვაბის მიტოვება არ მინდოდა, მაგრამ ჩარლი ავტომოპასუხეზე რაღაცას გაუთავებლად ბუზღუნებდა. იძულებული გავხდი, ცეცხლისთვის ჩამეწია და ტელეფონთან მივედი.

– მანდ რას ამბობდი? – ვკითხე. – მგონი, რაღაცაზე ბუზღუნებდი, მაგრამ დაკავებული ვიყავი და ვერ გიპასუხე.

– სასტუმროში ვარ. მხოლოდ სამვარსკვლავიანია. მოგვატყუეს! ასეთმა დიდმა კომპანიამ! ჩემი ნომერი კედლის კარადის ხელაა!

– ჰო, მაგრამ მანდ ხომ მხოლოდ ორი ღამე უნდა გაათენო...

– მისმინე, რეი. რაღაც ისეთის თქმა მინდა. ადრე რომ ვერ გითხარი. ეს ჩემი მხრიდან უსინდისო საქციელია. ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის ირჯები, მეხმარები, ცდილობ, რომ ემილისთან შემარიგო, სიტუაცია განმუხტო, მე კიდე შენთან გულახდილი არ ვარ.

– თუ ძაღლის სუნის რეცეპტს გულისხმობ, უკვე გვიანია. ყველაფერი მზად მაქვს, თუმცა, ცოტაოდენი სხვა მცენარეების ან რაღაცის დამატება ისევ შემიძლია...

– თუ ბოლომდე ყველაფერი გულახდილად არ გითხარი, ეს იმიტომ, რომ

საკუთარ თავსაც ვუმალავდი, მაგრამ, ახლა, რაც სახლიდან წამოვედი, ფიქრი უკეთესად შემიძლია. რეი, გითხარი, რომ არავინ არა მყავს-მეთქი, მაგრამ ეს ასე არ არის. ერთი გოგოა. დიახ, დიახ, გოგო. ასე, ოცდაათამდე იქნება. მსოფლიოს განვითარებასთან ერთად, ძალიან აინტერესებს განათლების მდგომარეობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში სამართლიანობის დამკვიდრების საკითხები. საქმე მისადმი სექსუალურ სწრაფვაში არაა. უბრალოდ, შუალედური პროდუქტია. მთავარი მისი შეულახავი იდეალიზმია. ჩვენ, ყველა, როგორებიც ვიყავით, ის დრო გამახსენა. შენც ხომ გახსოვს, რეი?

– უკაცრავად, ჩარლი, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, განსაკუთრებულად იდეალისტი არასოდეს ყოფილხარ. აი, ეგოისტი და ჰედონისტი, კი ბატონო, ყოველთვის იყავი...

– გეთანხმები. შესაძლოა, ჩვენი უმრავლესობა მაშინ უგერგილო დოყლაპიები ვიყავით, მაგრამ სადღაც, ჩემს შიგნით, სხვა ადამიანი ყოველთვის იყო და თავის დაღწევა სურდა. აი, ზუსტადაც ეს არის, მისკენ რომ მიბიძებს.

– ჩარლი, ეს როდის იყო? ეს როდის მოხდა?

– რა როდის მოხდა?

– ეს რომანი.

– არავითარი რომანი არ ყოფილა! სექსის მსგავსი ჩვენ შორის არაფერი ყოფილა. მასთან ერთად მაგიდასთანაც არ ვმჯდარვარ. მე, უბრალოდ... უბრალოდ, ისე მოვახერხე, რომ მხედველობიდან არ დამეკარგა.

– ამით რისი თქმა გსურს? – ამ დროისთვის ისევ სამზარეულოში ვიყავი და ჩემს ნაზავს ყურდღებით მივშტერებოდი.

– იმის, რომ მხედველობიდან არ დამიკარგავს, – თქვა მან. შეხვედრებზეც შევთანხმდით.

– ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მეძავია?

– არა, არა... ხომ გითხარი, სექსი არასოდეს გვქონია-მეთქი. არა, სტომატოლოგია. მე მასთან დავდიოდი, მიზეზებს ვიგონებდი: ხან ვითომ კბილი მტკიოდა, ხან, ვითომ ღრძილების პრობლემა მქონდა. მკურნალობას ვიხანგრძლივებდი, ხო ხვდები? და, რა თქმა უნდა, ბოლოს ემილი მიხვდა. ერთი წამით... – ჩარლი ლამის სლუკუნით დაიხრჩო. მერე ამოაფრქვია: – მან გაარკვია... მან გაარკვია... რადგან კბილების საწმენდი ძაფებით მეტისმეტად გავერთე... – ჩარლი ახლა კივილზე გადავიდა. – მან მითხრა: „არასოდეს, არასოდეს მიგიხედავს შენი კბილებისთვის, ასე ძალიან“.

– მაგრამ ეს სისულელეა. რაც უფრო კარგად უვლი კბილებს, სულ უფრო ნაკლები მიზეზი გაქვს სტომატოლოგთან მისასვლელად...

– მერე ვის ჰგონია, რომ ასე არ არის? უბრალოდ, მსურდა, რომ მესიამოვნებინა!

– მისმინე, ჩარლი, მასთან ერთად არ გივლია, სექსიც არ გქონია, მაშ, რა პრობლემაა?

– პრობლემა ისაა, რომ ასეთი ვინმე ძალიან მინდოდა, ვინმე, რომელიც იმ ჩემში დამალულ მეორე „მეს“ გარეთ გამოიყვანდა.

– ჩარლი, მისმინე. შენი ბოლო ზარის მერე ცოტა დავმშვიდდი და გულწრფელად გეუბნები, რომ შენც უნდა დაწყნარდე. როცა დაბრუნდები, ამ ყველაფერზე მერე ვისაუბროთ, მაგრამ ემილი ასე, ნახევარ საათში უკვე შინ იქნება და ყველაფერი მზად უნდა მქონდეს. აქ, ახლა, ამ პროცესის კონტროლის უმაღლეს წერტილში ვიმყოფები, ჩარლი. ალბათ, ხმაზეც მეტყობა.

– შესანიშნავია! პროცესის კონტროლის უმაღლეს წერტილში ხარ. დიდებულია! მეგობარიც ასეთი უნდა...

– ჩარლი, მე მგონი ხასიათზე იმიტომ არ ხარ, რომ სასტუმროს ნომერი არ მოგწონს, მაგრამ აუცილებლად უნდა დამშვიდდე. სიტუაციას ცოტა უფ-

რო ოპტიმისტურად შეხედე და ვაჟკაცობას მოუხმე. პროცესის კონტროლის უმაღლეს წერტილში ვარ. ძაღლთან დაკავშირებულ საქმიანობას მოვრჩები და მერე მთლიანად შენს საქმეს მივხედავ. „ემილი...“ – ვეტყვი მე. – „ემილი, აბა, შემომხედე, შემომხედე, როგორი საცოდავი ვარ და მხოლოდ მე არ ვარ ასეთი, ადამიანების უმრავლესობა ასეთი უბადრუკები ვართ, მაგრამ ჩარლი სულ სხვაა. ჩარლი სხვა კატეგორიას ეკუთვნის“.

– ასეთი რამის თქმა არ შეიძლება. ძალიან ხელოვნურად ჟღერს.

– არა, იდიოტო. რა თქმა უნდა, ასეთი სიტყვებით არ ვეტყვი. მე მომანდე. ყველაფერს მე თვითონ მივხედავ. ასე, რომ დამშვიდდი. ახლა უნდა წავიდე.

ყურმილი დავდე და ქვაბს ჩავხედე. სითხე დუღდა და ორთქლიც უხვად ასდიოდა, თუმცა ძაღლის სუნი სრულებითაც ვერ ვიგრძენი. ცეცხლს ავუწიე, რომ უფრო ძალიან ადუღებულიყო.

სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა მომინდა და, რადგან მათი ტერასიანი სახურავი ჯერაც არ მენახა, სამზარეულოს კარი გამოვაღე და იქით გავეშურე.

ადრეული ივნისის, ინგლისისთვის უჩვეულოდ სურნელოვანი საღამო იდგა. ოდნავ ცივი სიო რომ არ ყოფილიყო, თავი ესპანეთში მეგონებოდა. ბინდი ჯერ კიდევ არ ჩამოწოლილიყო, მაგრამ ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. კედლის უკან, რომელიც ტერასას გარს ერტყა, მეზობელი სახლების უამრავი ფანჯარა და უკანა ეზოები შევნიშნე. ბევრი ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა, ხოლო ცოტა უფრო შორს მდგარი სახლების ფანჯრებში, თუ თვალებს ოდნავ მოჭუტავდით, ვარსკვლავებით სავსე ცის გაგრძელება გეგონებოდათ. ეს ტერასიანი სახურავი დიდი არ იყო, თუმცა მასში რაღაც რომანტიკული ნამდვილად იგრძნობოდა. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ თბილ საღამოს მოსეირნე წყვილი: გარშემო ქალაქის ყურისწამღები ხმაური ისმის, ისინი კი, მკლავგაყრილნი, აქ, ქოთანში ჩარგული ბუჩქების გარშემო დასეირნობენ და ერთმანეთს იმ დღეს თავსგადახდენილ ამბებს უყვებიან.

შემეძლო, უფრო დიდხანს დავრჩენილიყავი, მაგრამ დროის დაკარგვის მეშინოდა. სამზარეულოში დავბრუნდი და პირდაპირ მდუღარე ქვაბთან მივედი. სასტუმრო ოთახის კარის ზღურბლთან შევჩერდი და ჩემს ადრინდელ ნამოქმედარს თვალი შევავლე. ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა, როგორც მივხვდი, ის იყო, რომ ოთახი ისე არ ავურდავურიე, როგორც ამას ცხოველი და ამ შემთხვევაში ჰენდრიქსი იზამდა, სჭირო იყო, რომ ამ საქმისთვის ძაღლის გონებით და თვალით შემეხედა.

როცა საქმეს ამ პოზიციიდან შევხედე, არა მარტო საკუთრად ჩემი, არამედ ჩარლის ბევრი რჩევაც არასაიმედოდ მეჩვენა. ნუთუ გამხეცებულ ძაღლს შეეძლო, რომ მუსიკალური აპარატურის შუა მოთავსებულ ფაიფურის ხარის მომცრო სტატუეტკას მისწვდომოდა, ჩამოეგდო და ნამსხვრევებად ექცია? და დივნის დაჭრის და იქიდან შიგთავსის გადმოყრაც ასევე იდიოტური იდეა იყო. მაშინ, ჰენდრიქსს სამართებელივით მჭრელი კბილები უნდა ჰქონოდა, რომ ყველაფერი ასე მომხდარიყო. სამზარეულოში გადმოყირავებული საშაქრე მშვენიერი იყო, მაგრამ სასტუმრო ოთახს კი, როგორც მივხვდი, მთლიანად გადაკეთება ესჭიროებოდა.

ოთახში შევედი და შევეცადე, რომ ყველაფერი ჰენდრიქსის თვალით დამენახა. დაბალ მაგიდაზე დახვავებული პრიალა ჟურნალების ხილვამ მაშინვე იდეა გამიჩინა და ზუსტად იმ ტრაექტორიით, როგორც ეს ძაღლის პირს შეეძლო, დავწვდი და იატაკზე გადმოვყარე. ძირს დაყრილი ჟურნალები სავსებით დამაჯერებლად გამოიყურებოდა. წახალისებული, მუხლებზე დავდექი, ერთ-ერთი მათგანი გადავშალე

და გვერდი ისე დავჭმუჭნე, რომ, როცა ემილი უბის წიგნაკს ნახავდა, განსხვავება თვალში მოხვედროდა, მაგრამ ამჯერად შედეგმა არ დამაკმაყოფილა: აშკარად ადამიანის ხელის კვალი ძაღლის მიერ დამჩნეული კვალისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ისევ წინა შეცდომა გავიმეორე: საქმეს ჰენდრიქსის თვალით არ შევხედე.

ამიტომ ოთხზე დავდექი, თავი იმავე ჟურნალთან დავხარე და კბილებით გვერდებს დავეძგერე. სუნამოს სუნი ჰქონდა და არასასიამოვნო საერთოდაც არ იყო. მეორე ჟურნალიც შუაში გადავშალე და იგივე გავიმეორე. ტექნიკა, როგორც მივხვდი, ზუსტად ბაზრობის თამაშის მსგავსია, როცა ხელით არ უნდა შეეხო და წყალში მოცურავე ვაშლი პირით უნდა ამოიღო. რაც ყველაზე მეტად დამეხმარა, მსუბუქი, ღეჭვითი მოძრაობები იყო. უბრალოდ, მთელი პროცესის განმავლობაში ყბები მოქნილად უნდა ამოძრაო. მათი საშუალებით გვერდები ზიანდება და მშვენივრადაც იჭმუჭნება. მეორეს მხრივ, გამეტებით კბენის შემთხვევაში, ფურცელი მხოლოდ იხვრიტება და სასურველ ეფექტს ვერ იძლევა.

ჩემი მახვილგონივრობით ისე ვიყავი გატაცებული, რომ ემილი ვერც კი შევამჩნიე, რომელიც ჰოლში იდგა და კარის ზღურბლიდან მიყურებდა. როგორც კი გავაცნობიერე, რომ შინ იყო, პირველად არც შიში მიგრძვნია და არც დაბნეულობა, უფრო მეწყინა, რადგან ისე დაბრუნდა, წინასწარ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. სულ რამდენიმე წუთის წინ ოფისში დავურეკე, ზუსტადაც იმიტომ, რომ იმ არასასიამოვნო სიტუაციიდან თავის დაღწევას ვცდილობდი, რომელშიც ჩემდაუნებურად აღმოვჩნდი და, როგორც კი ეს გავაცნობიერე, საკუთარ არსებაში წინასწარგანზრახული სიცრუის მსხვერპლი აღმოვაჩინე. ალბათ, ამის საპასუხოდ, ფეხზე მაშინვე არ წამოვდექი და მხოლოდ დაღლილმა ამოვიოხრე. ჩემს ამოოხვრაზე ემილი მაშინვე ოთახში გაჩნდა და ზურგზე ხელი ნაზად დამადო. არ მახსოვს, თვითონაც მუხლებზე დადგა თუ არა, მაგრამ ეს სიტყვები ზუსტად ყურთან ახლოს მითხრა:

– რეიმონდ, დავბრუნდი. მოდი, დავსხდეთ, კარგი?

ემილიმ ფეხზე ფრთხილად წამომაყენა და მეც ვცდილობდი, რომ მისთვის ძალა არ დამეტანებინა.

– რაღაც უცნაურად მეჩვენება, – ვუთხარი მე. – სულ რაღაც რამდენიმე წუთის წინ შეხვედრაზე აპირებდი შესვლას.

– ასე იყო, მაგრამ შენი ზარის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი შინ მოსვლა საჭირო იყო.

– „საჭიროში“ რას გულისხმობ? ემილი, გეთაყვა, ჩემი ხელი ასე ნუ გიჭირავს, წაქცევას არ ვაპირებ. რას ნიშნავს „ჩემი შინ მოსვლა საჭირო იყო?“

– შენი სატელეფონო ზარიდან გამომდინარე, მივხვდი, რატომაც მირეკავდი – ეს დახმარების თხოვნა იყო.

– არაფერი მსგავსი არ ყოფილა. უბრალოდ, მინდოდა... აქ კი შევყოყმანდი, რადგან შევამჩნიე, რომ ემილი ოთახს გაოცებული ათვალიერებდა.

– ოჰ, რეიმონდ... – თითქმის თავისთვის ჩაიბუტბუტა მან.

– აქ ცოტა რაღაცები ავურ-დავურიე. დალაგებას ვაპირებდი, მაგრამ ძალიან ადრე დაბრუნდი.

ძირს დაგდებული ტორშერისკენ გადავიხარე, მაგრამ ემილიმ შემაჩერა.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს, რეი. სრულებითაც არაფერია. მოგვიანებით ორივემ ერთად დავალაგოთ. უპრიანია, დაჯდე და დაწყნარდე.

– მისმინე, ემილი. მესმის, რომ ეს შენი სახლია, მაგრამ ასე ჩუმად რატომ შემოიპარე?

– არ შემოვპარულვარ, ძვირფასო. როცა შემოვედი, დაგიძახე, მაგრამ არ ჩანდი. ამიტომაც ცოტა ხნით ტუ-

ალეტში შევედი და, როცა გამოვედი, შენც უკვე აქ დამხვდი, მაგრამ ასეთი წვრილმანები რაში გჭირდება? საქმე ამაში სულაც არაა. მე უკვე აქ ვარ და საღამოსაც დასვენებას მივუძღვნით. დაჯექი, რეიმონდ, გეხვეწები. ჩაის მოვამზადებ.

ამის თქმა იყო და სამზარეულოსკენაც წავიდა. ტორშერის აბაჟურთან ჯახირი დავიწყე და, როცა გამახსენდა, ემილის სამზარეულოში რაც დახვდებოდა, უკვე გვიან იყო. მივაყურადე, მაგრამ მხოლოდ სიჩუმე იყო. ბოლოს აბაჟურს თავი დავანებე და სამზარეულოს კარისკენ გავწიე.

ქვაბი ისევ მშვენივრად დუღდა, ბათინკის ლანჩი მთლიანად დაორთქლილიყო. სუნი, რომელსაც აქამდე ძლივს ვგრძნობდი, სამზარეულოში მკვეთრად ტრიალებდა. ძალიან მწარე და ცხარე სანელებლის არომატი ჰქონდა. ყველაზე მეტად იმ სუნს გაგახსენებდა, რომელიც ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ცხვირში გეცემა, როცა ოფლში გაწურულ ფეხს ბათინკიდან ამოიღებ.

ემილი ღუმლიდან მოშორებით იდგა, რაც შეიძლება უსაფრთხო მანძილიდან კისერი წაეგრძელებინა, რათა კარგად დაენახა, ქვაბში რაც ხდებოდა. ნანახით ისე იყო მონუსხული, რომ, როცა წყანარად გავიცინე, არც ჩემკენ მოტრიალებულა და ზედაც არ შემოუხედავს.

მის ზურგს უკან გავძვერი და სამზარეულოს მაგიდასთან ჩამოვჯექი. ბოლოს ემილი კეთილგანწყობილი ღიმილით ჩემკენ მოტრიალდა.

– რა საყვარლად მოგიფიქრებია, რაიმონდ, საშინლად საყვარლად.

მერე, თითქოს საკუთარი სურვილის მიუხედავად, ისევ ღუმელს მიაშტერდა.

გადმოყირავებული საშაქრე დავინახე, დღიურიც და საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. მოთმინების ფიალა საბოლოოდ გადამევსო და გადავწყვიტე, რომ თამაშისთვის თავი უნდა დამენებებინა და ყველაფერი მეღიარებინა. ღრმად ჩავისუნთქე და დავიწყე:

– მისმინე, ემილი. ალბათ, სახლის სიტუაცია უცნაურად გეჩვენება. ყველაფერი შენი დღიურის გამო მოხდა. აი, ამის გამო... – დაზიანებულ გვერდზე გადავშალე და დავანახე. – ჩემი ბრალია, დამნაშავე მე ვარ და ძალიანაც მრცხვენია. შემთხვევით გადავშალე და ფურცლები დამიზიანდა. აი, ასე.

ფურცლის გაფუჭების, ადრინდელთან შედარებით, ნაკლებად ბოროტული იმიტირება მოვახდინე, მერე ემილის შევხედე.

ჩემდა გასაოცრად, დღიურს თვალი მხოლოდ ოდნავ შეავლო და ისევ ქვაბისკენ მიტრიალდა.

– ოჰ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ უბრალო უბის წიგნაკია. არაფერი პირადული აქ არ წერია. ამაზე არ ინერვიულო, რეი... – ქვაბს რამდენიმე ნაბიჯით კიდევ უფრო მიუახლოვდა, რადგან ყველაფერის უკეთესად გაგება სურდა.

– ამით რისი თქმა გსურს? „არ ინერვიულოში“ რას გულისხმობ? როგორ შეგიძლია, ასე ილაპარაკო?

– რა დაგემართა, რეიმონდ? ჩვეულებრივი უბის წიგნაკია, რომ რაღაცები არ დამავიწყდეს.

– მაგრამ ჩარლიმ მითხრა, რომ ჭკუიდან შეიშლებოდი!

კიდევ უფრო მეტად აღვშფოთდი, რადგან ამას ისიც დაემატა, რომ აშკარად ჩანდა, ემილის სულმთლად დაავიწყდა, დღიურში ჩემზე რაც დაწერა.

– მართლა? ჩარლიმ გითხრა, რომ გავბრაზდებოდი?

– დიახ! მისი თქმით, შენ ერთხელ უთხარი, რომ ყვერებს დააჭრიდი, თუ ცხვირს ამ უბის წიგნაკში ჩაყოფდა!

ზუსტად არ ვიცი, რატომ ჰქონდა ემილის გაოცებული მზერა: ჩემმა სიტყვებმა იმოქმედა თუ ისევ ქვაბი აინტერესებდა? გვერდით მომიჯდა და მცირე ხანს ჩაფიქრდა.

– არა... – თქვა ემილიმ ბოლოს. –

საქმე სხვა რამეში იყო. ახლა ზუსტად გამახსენდა. გასულ წელს, დაახლოებით ამ დროს, ჩარლი რაღაცის გამო იყო გულგატეხილი და მკითხა, რას ვიზამდი, თავი რომ მოეკლა. უბრალოდ მცდიდა. მას ასეთი რამისთვის გამბედაობა არ ეყოფა, მაგრამ მკითხა და ვუპასუხე, რომ ასეთ შემთხვევაში ყვერებს დავაჭრიდი. ეს მხოლოდ ერთხელ ვუთხარი. ასეთ რამეებს ყოველ წუთს არ ვისვრი.

– ვერ გავიგე. თუ ის თავს მოიკლავს, ასე მოექცევი? იმის მერე?

– რეიმონდ, ეს გადატანილი მნიშვნელობით იყო. უბრალოდ, ავუხსენი, თუ როგორ ძალიან არ მომწონდა მისი ასეთი განზრახვა. მინდოდა, სცოდნოდა, როგორ ვაფასებდი.

– ჩემს შეკითხვას პასუხი მაინც არ გაეცი. თუ მერე ამას იზავ, ამით მას მაინც ვერ შეაკავებ, ხომ ასეა? ან შეიძლება, მართალი ხარ, ეს იქნებოდა...

– რეიმონდ, მოდი, რა, დავივიწყოთ. ყველაფერი დავივიწყოთ. გუშინდელი ნახევარი ქვაბი ბატკნის კესეროლი დამრჩა. გუშინ გემრიელი იყო, დღეს კიდევ უფრო გემრიელი იქნება და შეგვიძლია, ერთი ბოთლი ბორდოც გავხსნათ. ვხედავ, რომ ჩვენთვის რაღაცის მომზადებას ცდილობდი. ეს შენგან ძალიან საყვარლობაა, მაგრამ, მგონი, კესეროლი უკეთესია ამაღამ, არა?

ახლა ახსნას აზრი აღარ ჰქონდა.

– კარგი, კარგი. ბატკნის კესეროლი... დიდებულია... კარგი, კარგი...

– ასე რომ... ამას ახლა გადავდებთ?

– დიახ, დიახ. გეთაყვა. გადავდებთ, დიახ.

წამოვდექი და სასტუმრო ოთახში შევედი, რომელიც, რა თქმა უნდა, ისევ არეული იყო, თუმცა დალაგების თავიც არ მქონდა. დივანზე მივწექი და თვალები ჭერს გავუშტერე. მერე ემილი შემოვიდა, შევნიშნე და მეგონა, რომ ჰოლისკენ წავიდოდა, მაგრამ ჩემგან მოშორებით, კუთხეში ჩაკუზულიყო და მუსიკალურ აპარატურასთან რაღაცას ჯახირობდა. მერე ოთახი სიმების სასიამოვნო აკორდებით, სევდიანი მელოდიით აივსო და სარა ვოენის ხმაც გაისმა, რომელიც „შეყვარებულებს“ მღეროდა.

სიმშვიდისა და სიამოვნების განცდა ერთდროულად დამეუფლა. ნელ რიტმებს ავყევი, თვალები დავხუჭე და მახსენდებოდა, მრავალი წლის წინათ, როცა კოლეჯში ვსწავლობდით, ემილისთან ერთად, ლამის მთელ საათზე მეტ ხანს, როგორ ვკამათობდით, ამ სიმღერას ბილი ჰოლიდეი[1] უკეთ ასრულებდა, თუ სარა ვოენი.

ემილი მხარზე შემეხო და წითელი ღვინით სავსე ჭიქა გამომიწოდა. საქმიან პიჯაკზე ფურფუშებიანი წინსაფარი ეკეთა და ხელში თვითონაც ღვინის ჭიქა ეჭირა. დივნის ბოლოში დაჯდა, ჩემი ფეხების გვერდით და ღვინო მოწრუპა, მერე პულტით ხმას ცოტა ჩაუწია.

– საშინელი დღე მქონდა, – თქვა მან. – მარტო სამსახურს არ ვგულისხმობ, იქ ყოველთვის საქმე თავზე მაყრია. ჩარლის გამგზავრება და საერთოდაც ყველაფერი მაქვს მხედველობაში. არ იფიქრო, ამაზე გული არ მწყდება: საზღვარგარეთ ისე წავიდა, რომ არ შევრიგდით და ამ ყველაფრის დასასრულს, შენც ყოველგვარ ზღვარს გადახვედი... – მან ღრმად ამოიოხრა.

– არა, ნამდვილად არა, ემილი, ყველაფერი ისე ცუდად არაა, როგორც შენ გგონია. ჯერ ერთი, ის, რომ ჩარლი შენზე მაღალი აზრისაა, მე რაც შემეხება, თავს მშვენივრად ვგრძნობ, ნამდვილად მშვენივრად.

– მტკნარი სიცრუეა.

– არა, მართლა. თავს მშვენივრად ვგრძნობ...

– ჩარლი რომ ჩემზე მაღალი აზრი-

1 ბილი ჰოლიდეი(1915-1959) – აფრო-ამერიკელი ჯაზ მომღერალი;

საა, ის ვიგულისხმე.

– ოჰ, გასაგებია. მაშინ, რადგან ფიქრობ, რომ ეს სიცრუეა, ძალიან, ძალიანაც სცდები. ვიცი, რომ ჩარლის ახლა ისე უყვარხარ, როგორც არასოდროს.

– საიდან იცი, რეიმონდ?

– ვიცი, იმიტომ, რომ... კარგი. დავიწყოთ იქიდან, რომ ლანჩის დროს თვითონ რაღაც ამგვარი მითხრა. შეიძლება, ზუსტად ამ სიტყვებით არა, მაგრამ მე ასე გავიგე. მომისმინე, ემილი, ვიცი, რომ ახლა უმნიშვნელოდ უსიამოვნო პერიოდი გაქვთ, მაგრამ, შენ, თუ შეიძლება, მთავარი რამ დაიმახსოვრე – ის, რომ მას ისევ ისე ძალიან, ძალიან უყვარხარ.

ემილიმ ისევ ამოიოხრა.

– იცი, საუკუნეა ამ დისკისთვის არ მომისმენია – ჩარლის გამო. როგორც კი ასეთ მელოდიას ჩავრთავ, მაშინვე აბუზღუნდება ხოლმე.

ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით, სარა ვოენს ვუსმენდით. მუსიკალური პაუზის დროს, ემილიმ მითხრა:

– რეიმონდ, ვფიქრობ, ამ სიმღერის მისი ეს ვარიანტი გირჩევნია. მხოლოდ ფორტეპიანოსა და ბასზე შესრულებული.

არაფერი მიპასუხია, მხოლოდ თავი ოდნავ წამოვწიე, რომ ღვინო უკეთესად მომეწრუპა.

– სანაძლეოს დაგიდებ, რომ ასეა, – თქვა მან. – ის ვარიანტი გირჩევნია, არა, რეიმონდ?

– კარგი, – მე ვუთხარი. – ნამდვილად არ ვიცი. სიმართლე გითხრა, ის ვარიანტი არც მახსოვს.

ვიგრძენი, რომ ემილიმ დივანზე ადგილი შეიცვალა.

– ხუმრობ, რეიმონდ.

– თუ გინდა, გაიცინე, მაგრამ ამ ბოლო დროს ამ ტიპის მუსიკას იშვიათადღა ვუსმენ. გულწრფელად რომ გითხრა, თითქმის ყველა თავიდან ამომივარდა. ზუსტად არც ის ვიცი, ეს რა სიმღერაა... – მსუბუქად გავიცინე, მაგრამ, მგონი, სიცილი ბუნებრივად არ ჟღერდა.

– რას ამბობ? – მის ხმაში უცბად გაბრაზება ვიგრძენი. – უბრალოდ სასაცილოა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება, რომ დაგვიწყებოდა – ლობოტომიას თუ გაგიკეთებდნენ.

– იცი, მრავალი წელი გავიდა. ყველაფერი იცვლება.

– რას ამბობ? – ხმაში უკვე შიშიც შეეპარა. – არ შეიძლება, რომ ყველაფერი ასე ძალიან იცვლებოდეს.

საუბრის თემა აუცილებლად უნდა შემეცვალა. ამიტომაც ვუთხარი:

– ძალიან ვწუხვარ, რომ სამსახურში მთელი დღე ბევრი საქმე გაქვს.

ემილის არანაირი რეაქცია არ ჰქონია.

– და, რა გინდა, რომ ამით თქვა? რომ ასეთი სიმღერები აღარ გიყვარს? გინდა, რომ გამოვრთო, ხო?

– არა, არა, ემილი, გეთაყვა... მშვენიერია. ის... წარსულს მახსენებს. გთხოვ, მოდი, ისევ ისე წყნარად დავსხდეთ და განვიტვირთოთ, როგორც რამდენიმე წუთის წინ.

მან ისევ ამოიოხრა და, როცა დამელაპარაკა, უკვე მშვიდი ხმა ჰქონდა:

– მაპატიე, ძვირფასო. ისევ დამავიწყდა. არავითარ შემთხვევაში შენთვის არ უნდა დამეყვირა. ღმერთო ჩემო, ბოდიშს გიხდი.

– არა, არა, ყველაფერი კარგადაა. – წამოვჯექი. – იცი, ემილი, ჩარლი წესიერი ბიჭია. ძალიან წესიერი ბიჭი და უყვარხარ. უკეთესს ვერც იპოვი, ხომ იცი.

ემილიმ მხრები აიჩეჩა და ღვინო ისევ მოსვა.

– შეიძლება, მართალი ხარ. უკვე ახალგაზრდები აღარ ვართ. ერთმანეთის შესაფერისებიც ვართ. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გაგვიმართლა, თუმცა მაინც ყოველთვის უკმაყოფილონი ვართ. არ ვიცი, რატომ. როცა ამაზე ფიქრს ვიწყებ, ვხვდები, რომ ნამდვილად სხვა არავინ მინდა.

ცოტა ხანს ღვინოს წრუპავდა და მუსიკას უსმენდა. მერე მითხრა:

– იცი, რეიმონდ, დავუშვათ, რომ წვეულებაზე ხარ, სადაც ცეკვაცაა. ნელ საცეკვაო მუსიკას უკრავენ, შენი მეწყვილეც ზუსტად ისაა, ვისთან ყოფნასაც ისურვებდი და აუცილებელია, რომ ყველა დანარჩენნი ოთახიდან გაუჩინარდნენ, მაგრამ ის არ უჩინარდება. არ უჩინარდება და მორჩა! შენ იცი, რომ შენს პარტნიორზე მშვენიერი იქ არავინაა და მაინც... ოთახი მაინც ხალხითაა სავსე. მარტო არ გტოვებენ – ყვირიან, ხელებს იქნევენ და ისეთ რამეებს აკეთებენ, რომ ყურადღება მიაქციო. „ოჰ, რანაირად შეიძლება, რომ ამით კმაყოფილი იყო?! შენ უკეთესს იმსახურებ! აბა, იქით გაიხედე!“ – ალბათ, ყოველთვის ასეთ რამეებს გაჰყვირიან და შენც ხასიათი გიფუჭდება. პარტნიორთან წყნარად ცეკვაც აღარ გამოგდის. ხვდები, რასაც ვგულისხმობ, რეიმონდ?

ცოტა ხანს დავფიქრდი და ისე ვუპასუხე:

– კარგი. მე ისე არ გამიმართლდა, როგორც შენ და ჩარლის. შენნაირი პარტნიორი მე არ მყავს, თუმცა შენი რაღაც დონეზე მაინც მესმის. ძნელია, მიხვდე, რისთვის გაჩერდე ან ვისთან გაჩერდე.

– ცამდე მართალი ხარ. ძალიან მინდა, რომ ყველა ამ მიუტევებელმა მრჩეველმა თავი დაგვანებოს. თავი დამანებონ და ისე ვიცხოვროთ, როგორც ვცხოვრობთ.

– იცი, ემილი, მართლა არ მიხუმრია. ჩარლი ძალიან გაფასებს. განიცდის, რომ ამ ბოლო დროს ერთმანეთში უსიამოვნება გაქვთ.

ზურგით სანახევროდ მომიტრიალდა და დიდხანს არაფერი უთქვამს. შემდეგ სარა ვოენმა თავისი მშვენიერი, მაგრამ შეიძლება „აპრილი პარიზში“ ძალიან ნელი ვერსია იმღერა და ემილი უცბად შეკრთა, თითქოს სარა ვოენმა დაუძახა, შემდეგ ჩემკენ მოტრიალდა და თავი დამიკრა.

– ამასთან შეგუებას ვერასოდეს შევძლებ, რეი. ვერასოდეს შევეგუები, რომ შენ ასეთ მელოდიებს აღარ უსმენ. ჩვენ მაშინ სულ ამ ჩანაწერებს ვუკრავდით ხოლმე. იმ პატარა ფირსაკრავზე, დედამ რომ მიყიდა, ვიდრე სტუდენტი გავხდებოდი. ამის დავიწყება როგორ შეგიძლია?

წამოვდექი და ღვინის ჭიქით ხელში ფრანგული ფანჯრისკენ წავედი. როცა ტერასას გავხედე, მივხვდი, რომ თვალები ცრემლით მქონდა სავსე. კარი გამოვაღე და გარეთ გავედი, რადგან არ მინდოდა, ჩემი ცრემლები ემილის დაენახა და თვალები მოვიწმინდე, მაგრამ უკან გამომყვა და, ალბათ, შემამჩნია, არ ვიცი.

სასიამოვნოდ თბილი საღამო იდგა და სარა ვოენის და მისი ორკესტრის ხმები ტერასაზეც ისმოდა. ვარსკვლავები, ადრინდელთან შედარებით, უფრო მეტად ანათებდნენ და მეზობლების სახლის ფანჯრებიც ღამის ცის გაგრძელებასავით ბრწყინავდნენ.

– მიყვარს ეს სიმღერა, – თქვა ემილიმ. – მგონი, შენ ესეც არ გახსოვს, მაგრამ, თუ არ გახსოვს, მასზე ცეკვა ხომ მაინც შეგიძლია?

– დიახ. ვფიქრობ, რომ შემიძლია.

– ფრედი ასტერსა და ჯინჯერ როჯერსს[2] დავემსგავსებით.

– დიახ, შეიძლება.

ღვინის ჭიქები ქვის მაგიდაზე დავდგით და ცეკვა დავიწყეთ. განსაკუთრებულად კარგად ვერ ვცეკვავდით. მუხლებით ერთმანეთს ვეჯახებოდით, მაგრამ ემილი მაგრად მყავდა მიხუტებული და მთელი სხეული მისი ტანსაცმლის, თმის, კანის სურნელით ამევსო. ასე ჩახუტებულმა, კიდევ ერთხელ მივხვდი, წონაში როგორ მოემატებინა.

– შენ მართალი ხარ, რეიმონდ, – წამჩურჩულა ყურთან. – ჩარლი კარგია. უნდა შევრიგდეთ.

– დიახ. აუცილებლად.

– ნამდვილი მეგობარი ხარ, რეიმონდ. უშენოდ რა გვეშველებოდა?

– თუ ასეა, მიხარია, რადგან სხვა არაფერში ვარგივარ. ფაქტობრივად, ვერაფერში გამომიყენებ, ნამდვილად.

მხარზე ძლიერი მოქაჩვა ვიგრძენი.

– ასე ნუ ამბობ, – წამჩურჩულა მან. – ასე ნუ ლაპარაკობ.

ცოტა ხნის შემდეგ, ისევ გაიმეორა:

– შენი ისეთი კარგი მეგობარი ხარ, რეიმონდ.

ეს სარა ვოენის „აპრილი პარიზში“ 1954 წლის ვერსია იყო, კლიფონ ბრაუნის[2] მიერ საყვირზე შესრულებული. რაც ვიცოდი, სულ ის იყო, რომ გრძელი ჩანაწერი იყო, ასე, რვა წუთამდე და ეს ძალიან მსიამოვნებდა, რადგან ვიცოდი, რომ სიმღერის დასრულების შემდეგ აღარ ვიცეკვებდით, კესეროლის საჭმელად წავიდოდით. ასევე ვეჭვობდი, დაფიქრების შემდეგ, ჩემი უბის წიგნაკისადმი ასეთი მოქცევის გამო, ემილი გადაწყვეტდა, რომ სადილს იოლად მისატევებლად არ ვიმსახურებდი. შემეძლო კი, რაიმეში დარწმუნებული ვყოფილიყავი? მაგრამ მომდევნო რამდენიმე წუთს, საფრთხე არსაიდან გველოდა და შეგვეძლო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ცეკვა გაგვეგრძელებინა.

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ბოლაშვილმა

---

1 ჯინჯერ როჯერსი (1911-1995) – ამერიკელი მსახიობი, მოცეკვავე და მომღერალი;

2 კლიფონ ბრაუნი (1930-1956) – ამერიკელი ჯაზ მესაყვირე.

გიორგი ხულორდავა

შუა საუკუნეების სპარსული პოეზიის ნიმუშები

აბუ საიდი

●

აურზაური ამა სოფლის რაში გჭირდება?
ტყუილუბრალოდ ღვარო ოფლი, რაში გჭირდება?
ეძებე სატრფო, ვინც მარტოდენ იქნება შენი,
სატრფო, ათასთა ხელში მყოფი, რაში გჭირდება?!

●

შენ უწყი გულის სალმობა და მარადი ზრზენა,
გულგატეხილთა ურვა გემცნო, ცრემლების დენაც,
ალმოდებული მკერდის კვნესას მაინც გაიგებ,
ხმა რომ არ დავძრა, კარგად იცი მუნჯების ენა.

●

სალბუნი არ მაქვს, რომ ჩემს ვარამს ვუწამლო რამით,
მწველ დაღზე მეტად მტანჯავს სულ სხვა ნაღველის შხამი:
ვით თვალის გუგა დღეცისმარე თვალში მიზიხარ
და შენი ხილვა ვერ შევძელი ვერც ერთი წამით.

●

სატრფო მწველ ნესტარს გულში მისობს დღეა თუ ღამე,
– ნუ მგმირავ-მეთქი, – თვალის უპე ცრემლებით ვნამე,

რადგან ამ გულში, სატრფოს გარდა, არვინ ბინადრობს,
ვაჰთუ, იმ ნესტრით საკუთარ თავს მოსწიოს რამე.

ბაბა თაჰერი

●

მე თვალთა შენთა სილრმე მგმირავს დანაბინდები,
ზილფთა კავებში გავები და ვეღარ ვმშვიდდები,
რაში გჭირდება მშვილდ-ისარი ჩემს მოსაკლავად,
წამწამიც კმარა, მოზიდული წარბის მშვილდებით.

●

ჩემი სიშლეგით ურწმუნოსგან მესმის ყვედრება,
ისე ვარ ხელი, მიმავიწყდა ღვთისთვის ვედრება,
სანთლის ალებით ფრთებდამწვარი ფარვანის ხვედრი
ჩემს დაწყევლილ ბედს სანახევროდ ვერც კი ედრება.

ნასერ ხოსროვი

●

ავისმზრახველთა ბოღმა და ლიზღი
სულაც არ მიჭერს გულზე მარწუხებს,
ცის კაბადონზე აზიდულ ღრუბელს
ძაღლთა წკავწკავი რაში აწუხებს?!

ფირდოუსი
ფრაგმენტი „შაჰ-ნამედან“

ახლა კი დროა, მჭევრმეტყველო, სიტყვის მსახურო,
ერთი დასთანის მოყოლითაც გვეჭირნახულო.

თუ სიტყვა მთქმელის სიბრძნეს გვამცნობს, დიდებით
მოსილს,
ეს ჭეშმარიტი ზეობაა ყოველი მგოსნის.

სიტყვას თუ ბიწი შეეპარა ყოვლის მდაღველი,
ამ ბიწისაგან მიეგება მგოსანს ნაღველი.

თუნდაც ჯვარს ეცვას, დაატანოს კალამსაც ძალა,
ბრძენკაცის თვალში ეღირება ყოველთვის ჩალად.

თუმც, ამა ქვეყნად ვის უცვნია თავისი ნაკლი,
თითქოს, თავს გვედგას შარავანდი, ციური ბაკმი.

...დეჰყანისაგან შემონახულს მოვყვები დასთანს,
იჭეშმარიტე მონათხრობი გარდასულ დასთა.

ამ ამბებს ჟამთა კვალობაზე ეფარვის ნავლი,
გახელახლდება, დავიწყების გასულა ყავლი.

თუ ჩემი ყოფა ღმერთმა ქვეყნად დიდხანს ინება,
ხამს ამა საქმეს შევალიო გულმოდგინება.

ხე დავრგე დიდი, მსხმოიარე მერმის დროისთვის,
რომლის ნაყოფსაც უშურველად ყველა მოისთვლის.

ხაყანი შირვანელი

●

შენს ღაწვთან მთვარის სხივმფინარე ალი სად არი?
მეტრფეთა თვალში ტკბილი ძილის კვალი სად არი?
მზე, შენი ხილვით რეტდასხული, ამასღა ამბობს:
მე შენმა ცეცხლმა დამბუგა და წყალი სად არი?!

●

ამ ქვეყანაზე მკერდი არ არის,
რომ არა ახრჩობდეს ნაღველის შხამი,
ოქროზე მეტად ფასობს ნუგეში –
მაამებელი ჭმუნვის და ვამის.
დღეს ერთგულების ფშუტე თაველსაც
კაცთა ყანაში ვერ ნახავ წამით,
სურვილის ყანა გვიშრება, რადგან
იმედის ღრუბელს არ ახლავს ნამი.
ქვეყნად ვინ ჰპოვა ლხინი ისეთი,
თანვე არ ახლდეს ვარამის შხამი,
ხაყანი, სოფლის მოშორდი სუფრას,
მასპინძელს ლხენის არ უყვარს ჟამი.

საადი შირაზელი
ფრაგმენტები „ბუსთანიდან“

●

დარიოს დიდი, ვინც მომხდურნი საფლავს ჩალალა,
ნადირობისას უცაბედად მოწყდა ამალას.

მწყემსმა შენიშნა, გაექანა მისკენ შორიდან,
მაგრამ, როგორც კი მბრძანებელმა თვალი მოჰკიდა,

მტრად იგუმანა, მოსისხარი ეგონა ფლიდი,
იქვე კაპარჭი მოიმარჯვა, შემართა მშვილდი.

ქაიანური მშვილდ-ისარი შემართა რისხვით
და წამისწამად განიზრახა გაქრობა მისი.

მწყემსმა შესძახა: ხელმწიფეო ირან-თურანის,
ღმერთმა გაშოროს ავი თვალი და სამდურავი.

მე ის ვარ, ვისაც შაჰინშაჰმა ცხენები ანდო
და ამ მინდვრებზე საბალახოდ გამომყავს ამ დროს.

ხელმწიფეს გული გაუსარკდა, ეჭვებით სავსე,
და თავის მონას ღიმმორევით მიმართა ასე:

თვით ანგელოზმა დაგიფარა ამ ველზე მდგარი:
თორემ წერა ხომ გახდებოდი მოზიდულ ლარის.

მწყემსმა მიუგო ღიმილითვე მეფეს მეფეთა:
კარგია, თუკი კეთილისმქმნელს რჩევას შეჰბედავ.

ეს რა სიბრძნეა, არ როგორი ღვთიური მადლი,
თუ მტერ-მოყვარეს ვეღარ არჩევს ხელმწიფე ცხადლივ.

თუ მეფე ხარ და ცათა მპყრობელს ეთანადები,
უნდა გესმოდეს ხელქვეითთა გულის ნადებიც.

სამეფო კარზე მონას შენსას მხედავ, წლებია,
და არაერთხელ რემის ნახვაც გინებებია.

შენკენ მოვსრბოდი, არც მქონია შიშის მისხალი,
შენ კი ჩამთვალე დუშმნად დღემდე შეურისხალი.

ძალმიძს, მეფეო, ნუ შეიტანს ეჭვსაც ნურავინ,
ათასთა შორის გამოვიცნო ჩემი ქურანი.

თუკი მე ძალმიძს არ მოვაკლო ჩემს რემას ხემსი,
მეფევ, შენც იყავ ყმათა შენთა კეთილი მწყემსი.

იმ სახელმწიფოს მწუხარება ეპატრონება,
სად მწყემსის ჭკუას ჩამორჩება მეფის გონება.

●

ერთ მეტრფეს ჰკითხეს, ვინაც წლები ტრფობით გალია:
სამოთხე გსურს, თუ ჯოჯოხეთი უფრო ძალიან?

უთხრა: ნუ მკითხავ, სატრფოთი ვარ მარად ურვილი,
რასაც ინებებს, ის იქნება ჩემი სურვილი.

ჯალალ ედ-დინ რუმი

●

სულო ჩემო, სულო ჩემო, სულისთქმავ და თილისმავ,
ჩემი ხარ და მეფინები მოშვიდფერე ირისად.

შაჰო ჩემო, საკადრისო ჩემი ტრფობა-კაეშნის,
ყანდო ჩემო, საკადრისო ჩემი ბაგე-კბილისა.

ჩემიცა და უკვდავების წყაროს თვალიც შენა ხარ,
ბროლ-ბაკმულად მომენათლე, როგორც სხივი დილისა.

წამით თვალი შეგავლო და ვარდმა სოსანს გასძახა:
მოვიდაო საროსტანა, ბაღნარს მოეთილისმა.

შენი ზილფის კავ-ქამანდი გულის ბორკილ-ბანდია,
ნიკაპის ჭამ ტყვედ მიგდო და სევდას ვკემსავ გვირისტად.

შუშპარ-შუშპარ, საით მიხვალ, ვისკენ მიეშურები?
მოდი ჩემთან, ჩემო ვარდო, გადაშლილო ცისპირად.

ჰაფეზი

●

სატრფოზე ურვით გულის ცეცხლისგან
დაიწვა მკერდი მწველი ალებით,
გულის ღადარმა მისივე ბუდე
დაბუგა გზნების მგვრელი ალებით.

ჩამომეღვენთა მთელი სხეული,
სატრფოს სიშორით ცვილად ქცეული
და ღაწვთა მისთა გზნებით ძლეული
დამეწვა სულიც ნელი ალებით.

შეხედე! გული ცრემლით ნაზავი,
როგორ ნაცრდება ფრთების სავსავით,
წუხელ სანთელიც ფარვანასავით
ჩემთვის იწვოდა განაწვალები.

თუკი მოყვარემ ნუგეში გამცა,
აქ საკვირველი იქნება არც რა,

როს ჩემი თავი ვაქციე ნაცრად,
უცხოს ეწვოდა გული წვალებით.

საღვთისმოსაო ჩემი ფლასები
ხარაბათის წყალს გაჰყვა სავსებით,
უკვე დაიწვა გონების სახლიც
სარდაფის ცეცხლის შემოძალებით.

გულიც დამემსხვრა, ვითარცა თასი,
როდესაც აღთქმა გავტეხე ასი
და ტიტასავით დამეწვა არსი,
გადახუნძლული სოფლის ვალებით.

შეეშვი ზღაპრებს ჭკუანათელი,
ჰაფეზ, ღვინოა შენი სათნევი,

ჩაიწვა ზღაპრად ჩვენი სანთელი
ჩამოღვენთილი მქრალი ალებით.

●

ახლა, ბაღიდან როცა მოქრის სამოთხის ქარი,
ღვინო და სატრფო მენატრება, ჰურიის დარი.

დღეს მათხოვარი სულთნობასაც რად არ ინებებს,
ოდეს თავს კარვად დასდგომია ღრუბელთა ჯარი.

ხასხასა მდელო ყვება ამბებს ორდიბეჰეშთის,
ნაღდს ვინც ნისია ამჯობინა, სჯობს იყოს მკვდარი.

ეგ გული ღვინით გაიმაგრე, რადგან საწუთრო
იმას ესწრაფვის, ჩვენგან ბელტი მოთხარონ ბარით.

ჩვენ ნუ გაგვკიცხავ, ვინ რა უწყის წერამწერალმა
როგორი ხვედრი მიუსართა, რა ცრემლის ღვარი.

ჰაფეზის ცხედრის გაცილება ნუ გენანება,
სამოთხედ მიდის ცოდვის ზღვაში ყელამდე მდგარი.

სპარსულიდან თარგმნა
გიორგი ხულორდავამ

Иосеб ჭუმბურიძე

ШИНДИСИС ГМИРОБИДАН – „ШИНДИСИС“ ТРИУМФАМДЕ

ორი სრულიად განსხვავებული ფილმი.

ორივე „ოსკარზე“ წარდგენილი.

პირველი – „შინდისი“; რეჟისორი – დიმიტრი ცინცაძე;

მეორე – „და ჩვენ ვიცეკვეთ“. რეჟისორი – ლევან აკინი.

ერთი – ქართული, მეორე – ქართულ-შვედური.

ერთი – ქართველთა ტრადიციულ გმირობაზე, თანაც არა წარსულში, არამედ, აგერ, ჩვენს თვალწინ ჩადენილზე;

მეორე – ქართველი ბიჭების არატრადიციულ ორიენტაციაზე;

პირველი – ყველასათვის მისაღები;

მეორე – ბევრისთვის აღმაშფოთებელი;

პირველზე ერეკლე საღლიანი ტელევიზიით იტყვის: „ჩვენი ბავშვები სწორედ ასეთ ფილმებზე უნდა აღიზარდონ.“

მეორეს უამრავი დაგმობს და გააპროტესტებს.

ტრადიციების შეურაცხყოფაა. უზნეობის პროპაგანდაა...

არადა, არაფერი მსგავსი, პირიქით...

როგორც ვატყობ, ასეთ შეფასებას „ცისკრის“ რედაქტორიც არ ეთანხმება და ჩემთან სერიოზულ პოლემიკას აპირებს.

მზად ვარ და, შესაძლოა, ჩვენი მწვავე დიალოგი ჟურნალის ერთ-ერთ უახლოეს ნომერშიც იხილოთ.

დღეს კი პირველ ფილმზე ვისაუბრებთ, უფრო სწორად, მის დიდ საერთაშორისო აღიარებაზე.

●

„ასეთი რამ ფილმშიც არ გვინახავს!“ – წერდა გაზეთი „კვირის პალიტრა“ ომიდან შვიდი წლის შემდეგ.

ომი კი იყო გუშინ – 2008 წელს.

თარიღი ასე უფრო შთამბეჭდავია: 08.08. 08, ანუ: 2008 წლის 8 აგვისტო.

რა ცუდად აგვიხდა ეს „სამმაგი პალინდრომი!“

არადა, თითქოს ბედნიერების, სიხარულის, გამარჯვების მანიშნებელი უნდა ყოფილიყო...

●

ომი წავაგეთ.

მაგრამ...

თერთმეტი წლის იყო ჩემი ვაჟი, როცა ასე ახსნა ლადო ასათიანის ცნობილი სტრიქონი: „თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ მარაბდა!“ – „არსებობს დამარცხებული დამარცხება და არსებობს გამარჯვებული დამარცხება. მარაბდის ომი გამარჯვებული დამარცხება იყო, აფხაზეთის ომი კი დამარცხებული დამარცხება, რადგან იქიდან გამოვიქეცით“.

●

აგვისტოს ომზე კი ამას ვერავინ იტყვის, რადგან ბავშვმაც კი იცის ის, რაც 2008 წლის 11 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ შინდისში მოხდა – სენაკის ბატალიონის მეორე ბრიგადამ მტერს ზურგი არ უჩვენა და მედგარი ბრძოლა გაუმართა.

ამ უთანასწორო ბრძოლაში ჩვიდმეტი გმირი დაიბადა.

ერთ-ერთი მათგანი, ოცდაერთი წლის მიხეილ დვალიშვილი, თურმე, ლექსებს წერდა.

გმირული სიკვდილის შემდეგ წასაკითხი ლექსი გულის ჯიბით უტარებია:

ჩვენ ვართ გმირები, არ ვართ ლაჩრები,
გულის კაცები და ვაჟკაცები,
ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიდევს,
სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს,
„ბევრი ვიყავით, ერთი სამარე
თხილის გულივით გავინაწილეთ“.

●

„მარცხენა გულის ჯიბეში ქართული იები მაქვს (სათუთად გახვეული უბის წიგნაკის ფურცლებში, თინამ გამომიგზავნა ისინი თბილისიდან), კრწანისში თუ კოჯორში, ოქროყანაში თუ დიღმის ველზე უნდა იყვნენ მოკრეფილნი და მე მათში ვგრძნობ ქართული მიწის სუნსა და სიახლოვეს“, – იწერებოდა მირზა გელოვანი ფრონტიდან

ეს ბიჭები მირზა გელოვანზე უფრო ბედნიერნი იყვნენ, რადგან არა სხვის ომში, არამედ საკუთარი სამშობლოს დასაცავად იბრძოდნენ და მშობლიური მიწის სურნელს უბეში დამჭკნარი იებით კი არა, თვითონ ამ მიწიდან შეიგრძნობდნენ. ძალასაც ეს მიწა აძლევდათ.

●

რუსული ტანკები ქართული დროშებით შესულან სოფელში და ძველი რკინიგზის სადგურთან ჩასაფრებულან. იცოდნენ, იმ გზაზე ქართველებს უნდა გაევლოთ. სენაკის ბატალიონის მოახლოებისთანავე ააფეთქეს პირველი და ბოლო მანქანა, რითაც გასასვლელები ჩაკეტეს. ქართველი ბიჭები რკინიგზის მეორე მხარეს გადავიდნენ და მტერს უთანასწორო ბრძოლა გაუმართეს, მაგრამ, როცა ტყვია-წამალი გაუთავდათ...

ალეკო ონიანმა თავი აიფეთქა და გულში ჩახუტებული, სასიკვდილოდ დაჭრილი ნათლული არ მიატოვა. ემუდარებოდა, თურმე, ნათლული: ეგ არ ქნა, მე მაინც არაფერი მეშველება და თავს შენ მაინც უშველეო. ნათლიამ კი სწორედ ეს არ ქნა. მოძღვარს ურეკავდა, შენდობა რომ ეთხოვა და ეს თვითმკვლელობად არ ჩათვლოდა.

ცხრა დღე და ცხრა ღამე ესვენა ცხედრები ღია ცის ქვეშ. მხოლოდ პატრიარქის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი მათი გადმოსვენება.

„ერთი ყუმბარა მუდამ თან გვიდევს“ – წერდა მიხეილ დვალიშვილი.

მაგრამ, შეუძლებელია, ლადო ასათიანის ეს ლექსიც არ სცოდნოდა:

„თავს არ მოიკლავს ქართველი არა, ის შეიძლება, ბრძოლაში მოკვდეს.“

ის კი საფიქრებელია, გალაკტიონის განსაცვიფრებელი ახსნა ჯერ გაცნობიერებული რომ არ ჰქონოდა:

ახლა კი ჩემთვის ნათელია, თუ ივერიის

მცირეზე მცირე, რიცხობრივად პატარა ერი,

მარად ყოველმხრივ შემორტყმული უამრავ მტერით

როგორ გადარჩა და გადარჩა ის, როგორც ერი.

აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება...

საქართველო სიგიჟემდე მიყვარსო, – ხშირად ამბობდა, თურმე, მიხეილ დვალიშვილი.

●

„ასეთი რამ ფილმებშიც არ გვინახავს!“ – წერდა გაზეთი „კვირის პალიტრა“ შვიდი წლის შემდეგ.

უკვე შეგვიძლია, ვნახოთ.

ბევრმა ნახა კიდეც.

მე, სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოვასწარი.

თუმცა შანსი მქონდა, რომ მენახა.

არსებობს თბილისში რევაზ ინანიშვილის სახელობის სკოლა.

იქ ქართულის არაჩვეულებრივი პედაგოგი ჰყავთ – მარინე ბედოშვილი.

მოსწავლეები წაიყვანა ფილმის სანახავად.

მეც მათთან ერთად უნდა მენახა.

ძალიან ვნანობ, რომ ვერ მოვახერხე.

არადა, ფილმსაც ვნახავდი და მოზარდთა ემოციებსაც.

ბუნებრივია, ქალბატონი მარინეს აზრით დავინტერესდი:

„მსახიობები კარგად თამაშობენ. ცოტა უკმარისობის განცდა დამრჩა. სამაგიეროდ, ბევრი ვიტირე. ბავშვებიც დაოსდნენ“.

ტელევიზიით თემურ ჩხეიძის კომენტარი მოვისმინე. მანაც მსახიობთა კარგ თამაშზე გაამახვილა ყურადღება. ელდარ შენგელაიამ კი ფილმის რეჟისურაც შეაქო და მსახიობთა თამაშიც.

და აი, ორი სასიხარულო ცნობაც.

პირველი – „შინდისი“ წარდგენილია „ოსკარზე“;

მეორე – „შინდისმა“ ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის გრან-პრი მოიპოვა, ხოლო დიმიტრი ცინცაძე საუკეთესო რეჟისორად აღიარეს.

ქუთაისელი პროფესორი მანანა მიქაძე ამ ამბავს პოლონეთში შეესწრო და ფეისბუქში მეტად ემოციური პოსტი გამოაქვეყნა:

„ახლა ვარშავაში ვარ. ოთხ ადგილას განთავსებულ უზარმაზარ ბილბორდებზე ქართული ფილმის – „შინდისის“ კადრებს უჩვენებენ. კარგა ხანია, ასეთი ბედნიერება არ მიგრძვნია. მინდა, ვიყვირო, რომ მეც ქართველი ვარ და ასე მოგვდგამს ბრძოლა მშობლიური მიწისთვის. გამარჯვებას ვუ-ლოცავ ქართულ ფილმს. ჩვენი სავიზიტო ბარათი მთელ მსოფლიოში ჩვენი უნიკალური კულტურაა და რაოდენ დაფასება სჭირდება მას. გილოცავ, საქართველო! ყველა ის პოლონელი მიყვარს, ბილბორდის ქვეშ ცრემლს რომ იწმენდს“.

●

პირველად ვწერ ფილმზე, რომლის მხოლოდ ფრაგმენტები მაქვს ნანახი.

როგორ ვნანობ, რომ ამისი შანსი ხელიდან გავუშვი.

ახლა ამერიკული ჩვენებების დასრულებას უნდა ველოდო.

არა უშავს, მთავარია „ოსკარით“ დაგვიბრუნდეს.

რამდენი ბრწყინვალე ქართული ფილმი შექმნილა:

„მაგდანას ლურჯა“, „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „იყო შაშვი მგალობელი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ვერის უბნის მელოდიები“, „პირველი მერცხალი“...

პრესტიჟულ კინოფესტივალებშიც გაუმარჯვიათ, მაგრამ „ოსკარი“ არ რგებიათ. თუ „შინდისი“ მოიპოვებს, ეს მათი „ოსკარიც“ იქნება.

●

აქ თემატიკაზე ვერავინ იდავებს.

მსახიობთა ოსტატობაც ოდნავადაც არ მაეჭვებს.

სხვა რამ უფრო მაინტერესებს.

მაინტერესებს, ჩანს თუ არა ფილმში ახალგაზრდა პოეტი, რომელიც მირზა გელოვანს გვაგონებს, მაგრამ გულის უბეში, დამჭკნარი იების ნაცვლად, სიკვდილის შემდეგ წასაკითხი ლექსი უდევს?

მაინტერესებს, როგორ იხატება ფილმში არა უბრალოდ ომი, არამედ ომის ქართული სული?!

სხვათა შორის, ფილმის სათაური არ მომწონს.

ვიცი, რომ „შინდისის გმირებს“ ვეღარ დაარქმევდა, რადგან ამ სახელწოდებით უკვე არსებობდა დოკუმენტური ფილმი.

მაინც შეიძლებოდა, უფრო მეტყველი სათაურის მოძებნა.

მე, მაგალითად, „შინდისის სიას“ დავარქმევდი, მაგრამ მე რეჟისორი არ ვარ და თქვენთვის მხოლოდ სიის, გმირების სიის გაცნობა შემიძლია: ილია გაბუნია, მარონელ ბარამია, თეიმურაზ ბერიძე, მიხეილ დვალიშვილი, რომან ზოიძე, ფელიქს კაკაურიძე, ზვიად კაცაძე, კახა კოშაძე, ბაჩი (შმაგი) კუპატაძე, ლევან მელქაძე, ალექსანდრე ონიანი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, ილია შეყლაშვილი, ემზარ წილოსანი, რუსლან წულაძე, ირაკლი ჯანელიძე, ვეფხვია ჯიშკარიანი.

●

ირაკლი კაკაბაძემ მეორე ფილმზე თავისი გამოხმაურება ასე დაასათაურა: „და ჩვენ ვიტირეთ.“

პირველ ფილმზე მარინე ბედოშვილმა და მისმა მოწაფეებმა იტირეს.

ორივე ჩვენი სატირალია.

ორივე აუცილებლად სანახავია.

პირველი შთამაგონებელი და სამაგალითოა;

მეორე – მწარედ დასაფიქრებელი.

ღმერთმა ქნას, ორივეს „ოსკარი“ ერგოს.

დაპირებულ დიალოგს მაინც შემოგთავაზებთ.

მე პირველ ფილმს განვიხილავ კრიტიკულად, „ცისკრის“ რედაქტორი – მეორეს.

გაკრიტიკება „ოსკაროსნებისაც“ შეიძლება...

ასე რომ, ამ პუბლიკაციით მომავალ დილოგსა და პოლემიკას ვაანონსებთ.